


12

ფასი 2 ლარი

# პერიოდი

1134 /2  
2017



2017/იანვარი

1 (255)

სადა ჯიჩი

# გურჯილი



## სარჩევი

- თარგმანი 1 დევიდ გრეგი | „მე“-ს დანაწევრება  
სარა კეინის პიესების სრული კრებულის წინასიტყვაობიდან  
ინგლისურიდან თარგმნა დავით გაბუნიაშვილი
- 4 სარა კეინი | წყურვილი  
ინგლისურიდან თარგმნეს დავით გაბუნიაშვილი და  
დავით ხორბალაძე
- 17 მაქს ფრიში | აფთიაქარ ისიდორის ამბავი  
გერმანულიდან თარგმნა მაია ფანჯიკიძე
- პროზა 20 ივა ფეზუაშვილი | ბატონი
- პოეზია 33 რატი ამალღობელი
- 39 ბექა ახალაია
- 43 ირმა ბერიძე
- მუსიკა 45 ტიმ პეიჯი | საჩუქარი, რომელიც ჯონ კეიჯმა მოგვიძღვნა  
ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძე

გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი

# არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია  
"არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "Arili"

რედაქტორები  
მალხაზ ხარბედია  
შადიმან შამანაძე

მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი ინა არჩუაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა თამაზ ჩხაიძე

პროექტის მენეჯერი ეკა ხარბედია

სარედაქციო საბჭო

რატი ამალღობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე,  
ლაშა ბულაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე,  
ზურაბ კიკნაძე, ვასილ მალღაფერიძე,  
ზვიად რატიანი, ჯიმშერ რეხვიაშვილი,  
ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე,  
ბაკურ სულაკაური, ირმა ტაველიძე,  
ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.

არილი - დასასვენებელი სინამდვილე

სულხან-საბა

არილი - მზის შუძი, რამეზე დამდგარი

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

არილი - თანამედროვე ქართული ლიტერატურის  
მარილი

ხალხური

ელექტრონული ფოსტა: [info@arilimag.ge](mailto:info@arilimag.ge)  
ვებგვერდი: [arilimag.ge](http://arilimag.ge)

გამოდის 1993 წლიდან

© ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება  
"არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია

ჟურნალი გამოდის  
საქართველოს კულტურისა და  
ძეგლთა დაცვის სამინისტროს  
ფინანსური მხარდაჭერით






დევიდ გრეგი

# „მე“-ს დანაწევრება

სარა კეინის პიესების სრული კრებულის წინასიტყვაობიდან

ინგლისურიდან თარგმნა დავით გაბუნიაშ





სარა კეინის სახელი მისი კარიერის დასაწყისსა და დასასრულს უკავშირდება. დასაწყისში საოცრად წინააღმდეგობრივი გამოხმაურება მოჰყვა მისი პირველი პიესის, „აფეთქებულის“ დადგმას; დასასრულს კი, ავტორის თვითმკვლელობის შემდეგ, დაიდგა მისი უკანასკნელი პიესა „4:48 ფსიქოზი“. ორივე დადგმა შოკისმომგვრელი და გარდამტეხი მომენტი იყო ბრიტანული თეატრისათვის; კეინის ტექსტების ნებისმიერ მკითხველს ამ მოვლენების ჩრდილი მუდამ დააწვება. მაგრამ, დასაბოლოო იქნება, მხოლოდ ამ ბიოგრაფიულ ფაქტებს თუ შევნიშავთ კეინის ხუთივე პიესის მხატვრულ ღირებულებას, ავტორის მითოლოგიზების ხარჯზე, ყურადღებას არ მივაქცევთ იმ ამაფეთქებელი ძალის თეატრალურობას, ლირიზმს, ემოციურ ძალასა და პირქუშ იუმორს, რასაც ეს ტექსტები შეიცავს.

„აფეთქებული“, „ფედრას სიყვარული“, „განმენდილნი“, „წყურვილი“ და „4:48 ფსიქოზი“ ის ნაწარმოებებია, რომელთაც უმოწყალოდ დაამსხვრიეს ნატურალიზმის საზღვრები ბრიტანულ თეატრში. თითოეული პიესა ახალი ნაბიჯია იმ მხატვრულ გზაზე, სადაც კეინმა მოიწონა უბნელესი და დაუნდობელი შინაგანი პეიზაჟები: ძალადობის, მარტოობის, ძალაუფლების, ფსიქიკური კოლაფსისა და, რაც მთავარია, სიყვარულისა.

„აფეთქებულის“ დადგმამ კეინი ტაბლოიდებისა თუ ყველა სერიოზული გამოცემის პირველ გვერდებზე მოახვედრა. თუ სხვა დრამატურგებისათვის ამგვარი გამოხმაურება მხოლოდ მისასალმებელი იქნებოდა, კეინისთვის ეს რთული აღმოჩნდა, დეპრესია კიდეც უფრო გაუღრმავდა. პიესის მარტივი კონცეფცია, რომელიც გულისხმობდა, რომ ლონდონის ფეშენებელური სასტუმროს ნომერში მომხდარი გაუპატიურება კავშირშია სამოქალაქო ომის გამანადგურებელ, ჯოჯოხეთურ შედეგთან, ბევრმა აღიქვა, როგორც მაყურებლის შოკში ჩაგდების ბავშვური, უმნიშვარი მცდელობა. 1998 წელს, „წყურვილის“ დადგმამდე, კეინის ტექსტებზე საზოგადოებრივი რეაქციები ვერ გასცდა „აფეთქებულის“ მიერ გამოწვეულ მძაფრ, წინააღმდეგობრივ შეფასებებს. მას დიდი ხნით მიაკრეს „სკანდალური“ ავტორის იარლიყი.

შემდეგი პიესა, „ფედრას სიყვარული“ იყო ფედრას მითის ერთგვარი გადაწერა/გადაახრება. კეინმა პიესა თავად დადგა და კვლავ განაგრძო ნატურალიზმის ფრაგმენტაციის კვლევა. თუმცა, ამჯერად ტკივილის წყარო სამოქალაქო ომიდან შიდაოჯახურ კონფლიქტამდე დავიწროვდა. სამეფო ოჯახში განვითარებულ

ტრაგედიაში კეინი პირველად შეეხო იმას, რაც მოგვიანებით მისი მთავარი თემა გახდა - ეს არის სიყვარული. ფედრასა და იპოლიტოსის სახით კეინმა წარმოგვიდგინა ორი პოლუსი, ორი უკიდურესობა, თუ როგორ რეაგირებს ადამიანი სიყვარულზე. მწარე ირონია კი იმაში მდგომარეობს, რომ ეს ორი პოლუსი ერთმანეთისკენ ილტვის და ერთმანეთს ანადგურებს. ტექსტის შავი იუმორი ავტორისეული გაუცხოებითაც აიხსნება. თავგაბებრებული და ხშირად ცინიკური იპოლიტოსი ლამის ერთადერთ ხმად წარმოგვიდგება პიესაში.

„განმენდილნი“ კიდეც ერთი ნაბიჯი იყო ნატურალიზმისგან გათავისუფლების გზაზე. ბიუხნერის გავლენით (მისი შედევი, „ვოიცეკი“ სარა კეინმა 1997 წელს დადგა), ტექსტს მოსცილდა ახსნა-განმარტებითი ნარატივის მექანიკურობა და მაყურებლის წინაშე წარდგა პოეტური სახეების წყება და ლაკონური, დაწურული დიალოგები. პიესაში მოქმედი პირობები სადისტი ფსიქიატრის, ტინკერის მეთვალყურეობის ქვეშ გამოკეტილნი არიან გაურკვეველ დაწესებულებაში. პიესის გმირებს ერთმანეთი უყვართ, ტინკერი კი ამით სარგებლობს და ცდილობს, სადისტური ექსპერიმენტების გამოყენებით დაადგინოს, რამდენ ტკივილს გაუძლებს ადამიანი სიყვარულისთვის. თეატრალური თვალსაზრისით პიესა უაღრესად რთული განსახორციელებელია, რასაც კეინს ხშირად საყვედურობდნენ. საერთოდ არის კი შესაძლებელი ამ ტექსტების სცენაზე დადგმა? ლირიკული სახეების განსხეულება ეჭვქვეშ აყენებს მათ სცენაზე ფიზიკურად გადმოტანას („ვირთხები კარლის ტერფებს მიათრევენ“, ან „იატაკიდან ამოსკდება მზესუმზირის ყვავილი“). ამგვარი რემარკები კეინის შემოქმედების გასაღებს გვაძლევს. იგი რეჟისორებისგან რადიკალურ სადადგმო გადაწყვეტებს მოითხოვს, მათ უნდა მოიფიქრონ, როგორ გამოხატონ ფიზიკური ძალადობა „აფეთქებულში“, ან რა ვიზუალურ კონტექსტში მოაქციონ ხმები/პერსონაჟები „წყურვილში“. კეინის ყველა პიესაში ასეა: ავტორი მოითხოვს, მაგრამ არ გთავაზობს გადაწყვეტას.

სარა კეინს ღრმად სწამდა, რომ თუკი შესაძლებელია რაღაცის წარმოსახვა, მისი ჩვენებაც შესაძლებელი უნდა იყოს. ამგვარი რადიკალიზმით იგი აიძულებდა დამდგმელ რეჟისორებს, თავიანთი თეატრალური წარმოსახვის საზღვრებს გასცდნოდნენ, პოეტური და ექსპრესიონისტული გადაწყვეტები მოეფიქრებინათ. მისი სცენური სახეები თავისთავად თეატრს არ უქმნის პრობლემას, მაგრამ ჟურნალისტური გაგებით ნატურალიზმზე მიჯაჭვე-



ლი თეატრისთვის ნამდვილად დიდი თავის ტკივილია. არადა, კეინის ტექსტში არაფერია იმაზე უცნაური, რასაც, დავუშვით შექსპირის ერთ-ერთი რემარკა ითხოვს „ზამთრის ზღაპარში“: როცა „ქანდაკება ცოცხლდება“. „განწმენდილნი“ არის პიესა, რომელშიც ავტორი გვაიძულებს, დადგმაც ისეთივე პოეტური იყოს, როგორიც თავად ტექსტია.

შემდეგი პიესა, „წყურვილი“ კეინმა მარი კალვედონის ფსევდონიმით გამოაქვეყნა. ეს ერთგვარი ხუმრობაც იყო და, ამავდროულად, სერიოზული მცდელობაც, როგორმე, დროებით მაინც, დაეღწია თავი ყბადაღებული სკანდალური ავტორის რეპუტაციისათვის.

„წყურვილი“ ოთხ ხმად იყოფა, ისინი მხოლოდ ასოებით (A, B, M და C) არიან აღნიშნულნი. ხმები კონკრეტული კონტექსტის გარეშე ლაპარაკობენ და მხოლოდ ძალიან ფრაგმენტული მინიშნებაა საერთო ნარატივზე. ხმები აღწერენ თავიანთ სურვილებს, იხსენებენ წარსულში განცდილ დანაკარგს და ფსიქოლოგიური ტრავმების ფონზე, ეჭვქვეშ აყენებენ სათუო მომავალს. „განწმენდილნი“ მსგავსად, აქაც ტექსტს აერთიანებს კვლევა-ძიება იმისა, თუ როგორ ზემოქმედებს სიყვარული ადამიანის „მეს“ მთლიანობაზე. კეინი ბევრგვარ სიყვარულს ეხება: ეს არის პირველადი, სექსუალური ვნებით მართული სიყვარული, დედობრივი სიყვარული და ძალადობრივი სიყვარული. თუმცა, „განწმენდილნიგან“ განსხვავებით, „წყურვილში“ მკითხველი გრძნობს კეინის მწერლური ნიჭის სრული გათავისუფლების შედეგად მოგვრილ თრობას; პერსონაჟებს შორის საზღვრები ერთიანად იშლება, მწერლური სახეები ფიზიკურიდან ტექსტუალურ რეალიზაციაში გადადიან და პირიქით.

სცენაზე განხორციელების შემთხვევაში პიესა მოულოდნელ მუსიკალურ ეფექტს იძლევა. ტექსტი ითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას რიტმისადმი, რადგან შინაარსები სტრიქონ-სტრიქონ კი არ ვლინდება, არამედ სიმებიანი კვარტეტის მსგავსად, სხვადასხვა ხმებისა და თემების ერთიან ჟღერადობაში იბადება. ოთხი ხმა იქცევა ერთად. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ოთხი ხმა, ფაქტობრივად, ერთი ადამიანის ცხოვრების შინაგანი და გარეგანი ჟღერადობაა. თუმცა სცენაზე მაინც ოთხი ფიზიკური, რეალური სხეული დგას. პირველ დადგმაში ეს სხეულები იყვნენ შუა ხნის მამაკაცი, შუა ხნის ქალი, ახალგაზრდა მამაკაცი და ახალგაზრდა ქალი. პიესის ფორმა და მისი ცენტრალური და ერთადერთი სახე – ოთხი სხეული, რომელიც ერთ ცხოვრებაშია მოქცეული – ერთმანეთს ერწყმის და

„მეს“ ფრაგმენტირების, დანაწევრების ძლიერ სურათს ხატავს.

„წყურვილში“ გაბნეული, ნაწყვეტ-ნაწყვეტი მინიშნებები კონკრეტულ ფაქტებზე ცხადყოფს, რომ ავტორი წერისას მეტწილად საკუთარი გამოცდილებიდან სარგებლობდა. თუმცა, მხატვრული ოსტატობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ეს ფაქტი მაყურებელს ხელს არ უშლის აღქმაში. მაგალითად, A-ს მიერ წარმოთქმული უნაზესი სასიყვარულო მონოლოგი მიგვანიშნებს, რომ ჩამოთვლილი ვნებები, სურვილები იმდენად კონკრეტული და სახიერია, რომ უთუოდ მწერლის გამოცდილებას ეყრდნობა. და მაინც, ამგვარი დეტალიზაციის მოულოდნელი ეფექტი სწორედ ისაა, რომ საბოლოოდ მონოლოგი ნამდვილად განზოგადებულ ჟღერადობას აღწევს. თითქოს, კეინი საკუთარ თავს ამოთხრის, გამოფენს დამთვალიერებლის წინაშე და ნაცვლად იმისა, რომ გამოგონილი პერსონაჟის ცნობიერება წარმოგვიდგინოს, მაყურებელს სთავაზობს სივრცეს, რომელშიც მას საკუთარი თავის ან გამოცდილების მოთავსება შეუძლია.

„წყურვილს“ ედინბურგის ფესტივალზე კრიტიკოსთა მხრიდან დიდი აღიარება მოჰყვა. ალბათ, კრიტიკოსებმა დააფასეს, რომ სტილის ცვლილებით კეინმა მათ საკუთარ ნამუშევრებთან უფრო იოლად მიახლოების საშუალება მისცა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ „წყურვილში“, ახალი გზის ძიებასთან ერთად, ნათლად იკვეთება იმ ფორმალური თუ თემატური ძიებების გაგრძელება, რასაც ავტორი წინა სამ პიესაში ეწეოდა.

„წყურვილში“ ტექსტის მდინარება, პოეტური ხმა და აშკარა გადაძახილი პირად გამოცდილებასთან, ალბათ, გვაფიქრებინებს, რომ ავტორი უბრალოდ საკუთარ ქვეცნობიერში ქექვით და სიტყვების დაუბრკოლებელი ამოფრქვევით ქმნიდა ტექსტს. მაგრამ არ უნდა დავავიწყდეს, რომ სარა კეინი იყო მწერალი, რომელსაც ძალიან კარგად ჰქონდა გააზრებული თავისი ნამუშევრების კონტექსტი, მათი ადგილი თეატრის ისტორიაში. მისი ხმა, მართალია, უნიკალური და ძლიერია, მაგრამ ძალიან ბევრს უმაღლის ისეთ დრამატურგებს, ვისაც კეინი აღმერთებდა: გეორგ ბიუხნერი, სემუელ ბეკეტი, ედვარდ ბონდი, მარტინ კრიმპი და ჰოვარდ ბარკერი ამ ავტორებიდან რამდენიმეა.

„წყურვილი“ სრულდება „სინათლეში ვარდნის“ მოტივით. ეს ორაზროვანი ხსნაა. ორაზროვნება კი იმაში მდგომარეობს, რომ ვარდნა საკუთარი „მესგან“ გათავისუფლებასაც გულისხმობს და ასევე, სიკვდილს, როგორც თვითგანადგურებას.



სარა კეინი

# ნეურვილი

ედვინება მარკს

ინგლისურიდან თარგმნეს დავით გაბუნიამ და დავით ხორბალაძემ





პერსონაჟები:

C  
M  
B  
A

ავტორის შენიშვნა:

პუნქტუაცია გადმოსცემს ტექსტის მდინარებას და არ ემორჩილება გრამატიკის წესებს.

წილადის ნიშანი (/) მიუთითებს ურთიერთგადამ-  
ფარავ რეპლიკებში მეორე ხმის შემოსვლის ადგილს.

- C შენ ჩემთვის მკვდარი ხარ.  
B ჩემს ანდერძში ასე წერია: არ შემისრულებთ და დედას გიტყვით, მთელი თქვენი დარჩენილი ცხოვრება ჩემი აჩრდილი მოგელანდებათ.  
C უკან დამყვება.  
A რა გინდა?  
B სიკვდილი.  
C სადღაც, ქალაქგარეთ, დედაჩემს ვუთხარი, შენ ჩემთვის მკვდარი ხარ-მეთქი.  
B არა, ეგრე არაა.  
C ნეტავ შემეძლოს შენგან გავთავისუფლდე, ოღონდ ისე, რომ არ დაგკარგო.  
A ზოგჯერ ეგ შეუძლებელია.  
M სულ ვეუბნები ყველას, რომ ორსულად ვარ. მე-კითხებიან, როგორ მოახერხე, რას იღებო? მე ვეუბნები, ერთი ბოთლი პორტვინი დავლიე, რამდენიმე ღერი მოვნიე და უცნობთან ვიტყნაურე-მეთქი.  
B სულ ტყუილები.  
C ისე სჭირდება საიდუმლო, მაგრამ თავს ვერ იკავებს და ყვება. ასე ჰგონია, ჩვენ არ ვიცით. დამიჯერე, ვიცით.  
M ხმა უდაბნოში.  
C ჩემ შემდეგ მომავალი.  
M გზაში რაღაც გხვდება.  
A ისევე აქ.  
C სამი ზაფხულის წინ დავობოდი. არავინ მომკვდარა, მაგრამ დავკარგე დედა.  
A მან ის დაიბრუნა.  
C იუბილეები მნიშვნელოვანია. მჯერა, რომ მაინც შეიძლება გამეორდეს განწყობა, თუნდაც ამ განწყობის გამომწვევი მოვლენა ტრივიალური ან დავინწყებული იყოს. ამ შემთხვევაში არც ერთია და არც მეორე.  
M დავბერდები და ვიზამ, ან იქნება, ან რაღაც  
B იმდენს ვეწევი, სანამ გული არ ამერევა.  
A შავი თეთრზე და ლურჯი.  
C როცა ვიღვიძებ, მეჩვენება, თითქოს თვითონ უკვე დამენყო, ან არც არასოდეს შეჩერებულა, იმიტომ, რომ მხოლოდ სამი დღის წინ დამიმთავრდა.  
M სიცხისგან ვიცლები.  
C გულისგან ვიცლები.  
B ვერაფერს ვგრძნობ, ვერაფერს.  
C ვერაფერს ვგრძნობ.  
M ეს შესაძლებელია?  
B უკაცრავად?  
A მე არა ვარ სექსუალური მოძალადე.  
M დევიდ?  
(წამი-პაუზა)  
B ჰო.  
A მე პედოფილი ვარ.  
M გახსოვარ?  
(წამი-პაუზა)  
B ჰო.  
C გარეგნობით გერმანელს ჰგავს,

- A ლაპარაკობს ესპანელივით,  
C და ეწევა სერბივით.  
M დაგინწყებია.  
C ყოველთა ვექმენ ყოველად.  
B არა მგონია  
M ჰო.  
C რა დამავინწყებდა.  
M გეძებდი. მთელს ქალაქში.  
B მე მართლა არ  
M ჰო. ჰო.  
A შენ კი.  
M ჰო.  
C გთხოვთ შეწყვიტეთ.  
M და აი, ახლა გიპოვებ.  
C ვიღაც მოკვდა, ვინც არ მომკვდარა.  
A და აი, ახლა მეგობრები ვართ.  
C ჩემი ბრალი არაა, არც არასოდეს ყოფილა ჩემი ბრალი.  
M ყველაფერი, რაც ხდება, აუცილებლად მოსახდენია.  
B სად იყავი?  
M ხან აქ – ხან იქ.  
C ნადი.  
B სად?  
C ახლავე.  
M იქ.  
A იმიტომ, რომ სიყვარული თავისი ბუნებით ელტვის მომავალს.  
C ის ქალი რომ წასულიყო  
M შვილი მინდა.  
B ვერაფრით დაგეხმარები.  
C არაფერიც არ მოხდებოდა.  
M დრო გადის და მე კი დრო არა მაქვს.  
C საერთოდ არაფერი.  
B არა.  
C საერთოდ.  
A ავტოსადგომზე, ჩქაროსნულ ტრასასთან, რომელიც ქალაქიდან გამოდის, თუ ქალაქში შედის, გააჩნია, საიდან შეხედავ – პატარა, შავგრემანი გოგო ზის გაჩერებული მანქანის წინა, მგზავრის სავარძელში. ბებერი ბაბუამისი შარვალს იხსნის და საცვლებიდან ის გამოხტება – დიდი და ანთლებული.  
C ვერაფერს ვგრძნობ, ვერაფერს.  
A და როცა გოგონა ატირდება, მამამისი უკანა სავარძლიდან ბოდიშს იხდის, ჩვეულებრივ ასე არ იქცევაო.  
M ჩვენ აქ ადრეც ხომ ვყოფილვართ?  
A და თუმცა გოგონას არ ახსოვს, მაგრამ არც ავინწყდება.  
C და მთელი ეს დრო იმ წამიდან გაგიჟებით ცდილობს გაქცევას.  
B მოხვალ ჩემთან და შემაცდენ? აუცილებლად ასაკოვანმა ქალმა უნდა შემაცდინოს.  
M მე ასაკოვანი ქალი არ ვარ.  
B ჩემზე ასაკოვანი-მეთქი, და არა ზოგადად ასაკოვანი.  
C ვიღაც ისეთი შეგყვარებია, ვინც არ არსებობს.  
A ტრაგედია.  
B ნამდვილად.  
M ო, დიახ.  
A რა გინდა?  
C სიკვდილი.  
B ძილი  
M სხვა არაფერი.  
A და ავტობუსის მძღოლს ეკეტება, ავტობუსს შუა



გზაზე აჩერებს, გადმოდის კაბინიდან, ტანსაცმელს ბოლომდე იხდის და ქუჩას ჩაუყვება, პატარა, კოხტა ტრაკი მზეზე უელავს.

B იმდენს ვსვამ, სანამ გული არ ამერევს.

C სადაც არ უნდა წავიდე, ყველგან მას ვხედავ. ნომერი ვიცი, მანქანაც ვიცი, ჰგონია, არ ვიცი?

A არასოდეს ხარ ისეთი ძლევამოსილი, როგორც მაშინ, როცა იცი, რომ უძლური ხარ.

B მაკანკალებს, როცა არა მაქვს.

M სისხლდენა

B ტვინი მილღვება, როცა მაქვს.

M სოფელში, ბაბუაჩემის სახლის უკან, ყაყაჩოებიანი მინდორი გადმოვირბინე და სამზარეულოს კარში როცა შევევარდი, დავინახე, ბაბუას კალთაში ბებია ეჯდა. ტუჩებში კოცნიდა და ძუძუებზე ეფერებოდა. მოტრიალდნენ და დაბნეული რომ დამინახეს, ჩაელიმთ. ათი წლის შემდეგ, დედაჩემს ეს ამბავი რომ მოუყევი, გაოგნებულმა შემომხედა და მითხრა: „ეგ შენ არ გადაგხდენია. მე დამემართა. მამაჩემი შენს დაბადებამდე გარდაიცვალა. როცა ეს ამბავი მოხდა, შენზე ვიყავი ორსულად, მაგრამ მისი დასაფლავების დღემდე არ ვიცოდით.“

C ჩვენ ამ ნიშნების გამტარები ვართ.

M სადღაც ვიღაც ჩემთვის ტირის, ტირის ჩემი სიკვდილისთვის.

B ჩემი თითები მასში, ჩემი ენა მის პირში.

C საკუთარ თავთან ვიცხოვრებდი.

A უმონმეებოდ.

M და თუ აქედან აზრი გამოგაქვს, ესე იგი, შესანიშნავად გესმის.

A ეს ის არაა, რაც შენ გგონია.

C არა, არაა.

M სირივით სულ ერთი და იგივე თავის მართლება.

C წადი.

A დაბრუნდი.

ერთად: დარჩი.

C კიდევ ერთხელ ამას ველარ ავიტან.

A გაოგნებული.

B დაბოლილი.

M მხარე მაქვს ბნელი, ძალიან ბნელი. ერთი ნათელიც, შენ რომ არ ელი.

B ერთი ჭიქა სასმელი, ერთი სიგარეტიც.

M ზოგჯერ ჩემი თავის ფორმა მაშფოთებს. როცა თვალს მოვკრავ ხოლმე მატარებლის ჩაბნელებულ ფანჯარაში, ზედ ჩემი თავის ანარეკლში როგორ გაიქროლებს პეიზაჟი. განა რამე ისეთი უჩვეულოა ან... შემამფოთებელი... ამ ჩემი თავის ფორმაში, მაგრამ მაინც... მაშფოთებს.

A ამას რატომ აკეთებ?

C შემამფოთებლად მეჩვენება.

M ისე ცოტა დროა.

C მძულს ჩემი ოჯახის სუნი.

B ბაზა 1

ბაზა 2

ბაზა 3

ბინგო.

C მკვდარს უკეთესი სუნი გექნება, ვიდრე ახლა გაქვს.

A ერთმა ამერიკელმა ქალმა ერთი რომანი თარგმნა ესპანურიდან ინგლისურად. თავის ესპანელ კლასელს ჰკითხა აზრი ამ ნაშუქვეარზე. თარგმანი ძალიან ცუდი იყო. კაცმა უთხრა, დაგეხმარებო და ქალმა ამ დროს ანაზღაურებად ფული შეაძლია. კაცმა უარი თქვა. მაშინ ქალმა სადილად დაპატიჟება შესთავაზა. კაცისთვის ეს მისაღები აღმოჩნდა და დათანხმდა. მაგრამ ქალს დაავინწყდა. ეს ესპანელი კი ახლაც ელოდება რესტორანში სადილს.

B El dinero viene solo<sup>1</sup>.

C მარტო.

M ნეტავ სიყვარული მოვიდოდეს.

B უბრალოდ, ეს მე არ ვარ.

A არასოდეს მოგვლია აზრად, რომ არასწორ ადგილას ეძებ?

M ახლა.

B არასოდეს.

C არა.

B ძალიან კარგია. მეც გამიკეთებ ეგეთს?

M კვერცხის ნაჭუჭებისა და ბეტონისგანაა გაკეთებული.

B მეც გამიკეთებ ეგეთს?

M ბეტონი, საღებავი და კვერცხის ნაჭუჭები.

B მე არ მიკითხავს, რისგანაა გაკეთებული, გკითხე, ეგეთს მეც თუ გამიკეთებ-მეთქი.

M რამდენჯერაც კვერცხს ვჭამ, იმდენჯერ ვანებებ ნაჭუჭს მანდ და საღებავს ვასხურებ.

C კედლებს მიღმა ხედავს.

B მეც. თუ. გამიკეთებ. ეგეთს. მეთქი.

C სხვა ცხოვრებებს.

A დედა სასტიკად სცემს თავის შვილს, იმიტომ, რომ ის მანქანას წინ გადაუხტა.

M ნულარ ფიქრობ საკუთარ თავზე, „მე“-ზე კი არა, „ჩვენზე“ იფიქრე.

B წამო უბრალოდ ლოგინში / დავნვეთ

C არა არა არა არა არა არა არა არა არა

A სურვილის დათრგუნვა.

C უმიზეზო ბლავილი.

M სანამ ჯერ კიდევ ქალაქში ხარ, ხელთათმანები უნდა გეკეთოს.

B ლესბოსელი ხარ?

M აუ, გთხოვ რა.

B ვიფიქრე, იქნებ შვილები ამიტომ არა გყავს-მეთქი.

A რატომ?

M ვერ შევხვდი სანდო კაცს.

C რა რატომ?

B მე მენდობი?

M შენ საერთოდ არაფერ შუაში ხარ.

C რა რატომ?

M შენ არ მაინტერესებ.

C რა რატომ? რა რატომ?

M ვერ წარმოიდგენ, როგორ მაგრა მკიდიხარ.

A არ ვსვამ. მძულს მონევა. ვეგეტარიანელი ვარ. უაზროდ არ დავტყნაურობ. ბოზთან არასოდეს ვყოფილვარ და ვენერიული დაავადებები არასოდეს მქონია, რძიანას თუ არ ჩავთვლით. დიდი ეჭვი მაქვს, ამ ყველაფრის გამო იშვიათი ექსპონატი ვარ, მთლად უნიკალური თუ არა.

B შეხედე.

C უსმინე.

C შეხედე. ჩემი ცხვირი.

M რა ჭირს.

B შენ როგორ ფიქრობ?

C გატეხილია.

B ძვალი არასოდეს მქონია გატეხილი.

A ქრისტესი არ იყოს.

B მამაჩემს – კი. თვრამეტი წლისამ ავტოავარიამი ცხვირი მოიხრია. მე კიდევ ასე მაქვს. გენეტიკურად შეუძლებელია, მაგრამ, აჰა! ჩვენ ამ ნიშნებს იმაზე სწრაფად გადავცემთ ხოლმე, ვიდრე გვგონია და ისეთი გზებით, შეუძლებლად რომ მიგვაჩინია.

C მე რომ ვყოფილიყავი

მე რომ

მე რომ ვყოფილიყავი



M გთხოვთ დაუჩქაროთ დროა  
B და როგორ ფიქრობ, გაუპატიურების შედეგად ჩა-  
სახული ბავშვი არ დაიტანჯება?  
C მაგრამ ასეა და.  
M შენ გგონია გაგაუპატიურებ?  
C ხო.  
A არა.  
B ხო.  
M არა.  
A არა  
B ხო.  
C ხო.  
M ეს შესაძლებელია?  
C ველარაფერ კარგს ველარ ვხედავ ველარავისში.  
B კაი, მე ვიყავი, კაი, მე ვიყავი, კაი კაი. მე ვიყავი,  
კაი, ორი ადამიანი, კარგი?  
A კაი.  
B ამ დღეებში,  
C მალე ძალიან მალე,  
M ახლავე.  
A მაგრამ გარეგნობა ყველაფერი არაა.  
B უბრალოდ, ეს მე ვარ.  
A პატარა ბიჭმა წარმოსახვითი მეგობარი გაიჩინა.  
მიჰყავდა ეს გოგო პლაჟზე და ზღვაში თამაშობ-  
დნენ. წყლიდან ვილაღ კაცი გამოვიდა და გოგონა  
ნაიყვანა. მეორე დღით პლაჟზე გამორიყული გო-  
გონას გვამი იპოვეს.  
M ეგ საერთოდ რა შუაშია?  
A მუჭში სილა ჩაებლუჯა.  
B ყველაფერი.  
C საერთოდ რა შუაშია რაიმე რაიმესთან?  
M არაფერში.  
A ზუსტად.  
B ყველაზე ცუდიც ეგაა.  
M არაფერში.  
C ვითომ სულ ეგაა?  
სულ ეგაა?  
M კიდევ რამდენ ხანს  
B კიდევ რამდენჯერ  
A კიდევ რამდენად  
C გაფუჭებული თუ უუნარო.  
B მე ვერ ვივარგებ ვერავისთვის ბედის საჩუქრად.  
A მაპატიე.  
C ნადი აქედან.  
M ახლავე.  
C ნადი აქედან.  
B მაპატიე.  
C ნადი აქედან.  
A მაპატიე, მაპატიე, მაპატიე, მაპატიე.  
C რა გაპატიო?  
M ოდესმე ვინმე გაგიუპატიურებია?  
A მაპატიე, რომ უკან დაგყვები.  
B არა.  
M რატომ არა?  
A უარესებიც ხდება, ვიდრე ორმოცდაათი წლის ასაკ-  
ში გასუქებაა.  
M რატომ არა?  
A ოცდაათი წლის ასაკში სიკვდილი.  
M მე ისეთი ქალი ვარ, რომელზეც ხალხი ლაპარა-  
კობს, ვინ იყო ეს ქალიო.  
A საკითხავი ისაა, სად ცხოვრობ და სად გინდა ცხოვ-  
რება?  
M არყოფნას სძინავს შენობებს შორის შუალამისას.  
C არ მოკვდე.  
B ეს ქალაქი ისე მაგრა მიყვარს, სხვაგან ვერ ვიცხოვ-  
რებდი, ვერ შევძლებდი.  
M სად პოულობ?

C სად ვინყებ?  
A თავის ვირტუალურ გოგოზე შეყვარებული იაპო-  
ნელი კაცი.  
B საკმაოდ ბედნიერად გამოიყურები უბედური ადა-  
მიანის კვალობაზე.  
M სად ვერდები?  
A მახვილები აურზაურში.  
B აქ.  
C ვეძებ დროსა და ადგილს, სადაც არაფერი დაცო-  
ცავს, არც დაფრინავს და არც ინესტრება.  
M შიგნით.  
A აქ,  
M იყავი ის ერთადერთი.  
C ის ქალი რომ წასულიყო –  
M არ მინდა ისე დავბერდე და შემცივდე და გავლა-  
რიბდე, რომ თმის შეღებვაც ვერ მოვახერხო.  
C არეული ნიშნები იმიტომ მოგდის, რომ მე გრძნო-  
ბები არეული მაქვს.  
M არ მინდა 60 წლის ასაკში ერთოთახიანში ვცხოვ-  
რობდე და გამათბობლის ჩართვა მეშინოდეს, იმი-  
ტომ, რომ გადასადახდს ვერ გადავიხდი.  
C შენთან დანაშაულის გრძნობა მაკავებს.  
M არ მინდა, მარტო მოვკვდე და ვერ მიპოვონ, სანამ  
ძვლები არ გამიშიშვლდება და ბინის ქირას არ და-  
ვაგვიანებ.  
C არ მინდა დარჩენა.  
B არ მინდა დარჩენა.  
C არ მინდა წასვლა.  
M ნეტავ სიყვარული მოვიდოდეს.  
A მიუშვი, მოხდეს.  
C არა.  
M გამომტოვა, დავავინყდი.  
B არა.  
C არა.  
M კი.  
B არა.  
A კი.  
C არა.  
M კი.  
B გამიშვი.  
C აღარ მინდა, შენთვის საშობაო საჩუქრები მქონ-  
დეს საყიდელი.  
B სახელი მაინც რომ მცოდნოდა, კარგი იქნებოდა.  
M ძალიან გულუბრყვილო ხარ, თუ გგონია, რომ ასე-  
თი არჩევანი კიდევ გექნება.  
B ზურგი მტკივა.  
C თავი მტკივა.  
A გული მტკივა.  
M რადიატორთან ახლოს ნუ გძინავს.  
B აბა სად დავიძინო?  
M გინდა მასაჟი?  
C არ შემეხო.  
M ამას არ უნდა ვაკეთებდე.  
A ერთი შეხება.  
B შარში გაეხვევი?  
A დამოუკიდებელი ქმედება.  
M არა, მე... არავის არ უნდა მივეჯაჭვო.  
A ეს ხომ ბუნებრივია.  
B შეამჩნიო როგორი შენუხებულია სხვა ადამიანი.  
C მე ვგრძნობ  
უბრალოდ ვგრძნობ  
M შენ მთხოვე, შემაცდინეო.  
B და არა – დამაბი-მეთქი.  
A მაღლობელი იყავი.  
C ბავშვობაში ნოხზე ვფსამდი ხოლმე. ნოხი ღებო-  
და და მე ძალს ვაბრალებდი.  
M უძლური ვარ გიცნობდე.



- C არ გინდა, მიცნობდე.  
 M პირდაპირ შეუცნობელი.  
 A ისევ აქ.  
 M შვილი მჭირდება.  
 B სულ ეგაა?  
 C ეს ყველაფერია.  
 M სულ ესაა.  
 B Meni ni iz džepa, ni u džep.<sup>11</sup>  
 C დედა.  
 A მეფე მოკვდა, გაუმარჯოს მეფეს.  
 B ეს რომ სიყვარულის აქტი იყოს.  
 C ვერ ვიხსენებ.  
 B ვისი  
 C უკვე ვეღარ  
 A შენი აზრით, რატომ არის ასე?  
 C თავი ცარიელი მაქვს.  
 M რა გაციხნებს?  
 C ვილაც მოკვდა.  
 B შენ გგონია, ვიციანი?  
 M რა გატირებს?  
 C შენ ჩემთვის მკვდარი ხარ.  
 B შენ გგონია, ვტირი?  
 C მე ვტირებ თუ შენ გეციხნება.  
 B დედად მეკუთვნი.  
 M მე არა ვარ დედაშენი.  
 A პატარავ.  
 M ახლავე ახლავე ახლავე ახლავე ახლავე  
 C მე ზედმეტი გართულება ვარ?  
 B შიგადაშიგ ნარკომანი.  
 A შენ გარდა არავინ.  
 B ავადმყოფობაზე დამოკიდებული.  
 A შენ კი არა, მე ვარ.  
 C ყოველთვის მე ვარ.  
 A მინდა შენ გვერდით მეძინოს და შენს საყიდლებზე დავდიოდე და შენს ჩანთებს ვათრევდე და გეუბნებოდე როგორ მომწონს შენთან ყოფნა მაგრამ ისინი მაიძულებენ სისულელეები ვაკეთო.  
 M მე კი არა, შენ ხარ.  
 B უაზრო ტყნაური.  
 M აღრიცხვის ფურცელი.  
 C ექვსი თვის გეგმა.  
 A მინდა დამალობანა ვითამაშო და ჩემი ტანსაცმელი მოგცე და გითხრა რომ მომწონს შენი ფეხსაცმელი და საფეხურებზე ვიჯდე სანამ შენ აბაზანაში ხარ და კისრის მასაჟი გაგიკეთო და ტერფები დაგიკოცნო და შენი ხელი მეჭიროს და საჭმლის მოსატანად წავიდე და არ ვიყო წინააღმდეგი როცა ჩემს ულუფას შემიტამ და შეგხვდე „რუდისტან“ და ვილაპარაკო ამ დღეზე და ვბეჭდო შენი წერილები და ვათრიო შენი ყუთები და ვიციხო შენს პარანოიაზე და მოგცე ფირფიტები რომელთაც არასოდეს უსმენ და ვუყურო გენიალურ ფილმებს და ვუყურო ნაგავ ფილმებს და ვინჩუნო რადიოგადაცემებზე და სურათები გადაგიღო სანამ შენ გძინავს და ავდე და ყავა და ბეიგელები და დანიური ფუნთუშები მოვიტანო და „ფლორენტი“ წავიდე და ყავა დავლიო შუალამისას და მოგაპარინო ჩემთვის სიგარეტები და ველარასოდეს შევძლო ასანთის პოვნა და მოგიყვე ტელეგადაცემებზე წინა ღამით რომ ვუყურე და ნაგიყვანო თვალის კლინიკაში და არ ვიციხო შენს ზუმრობებზე და მინდოდე დილაობით მაგრამ ცოტა ხანს ძილს გაცდიდე და ზურგზე გკოცნიდე და შენს კანს ვეფერებოდე და გეუბნებოდე როგორ ძლიერ მიყვარს შენი თმა შენი თვალები შენი ტუჩები შენი კისერი შენი ძუძუები შენი ტრაკი შენი და ვიჯდე საფეხურებზე და ვენეოდე სანამ შენი

მეზობელი შინ დაბრუნდება და ვიჯდე საფეხურებზე და ვენეოდე სანამ შენ შინ დაბრუნდები და ველავდე როცა აგვიანებ და მიკვირდეს როცა ადრე მოდიხარ და მზესუმზირის ყვავილებს გჩუქნიდე და შენს წვეულებაზე მოვდიოდა და ვცეკვავდე სანამ არ გავითიშები და ბოდიშის ვიხდიდე როცა მტყუანი ვარ და ბედნიერი ვიყო როცა მპატიობ და ვათვლიერებდე შენს ფოტოებს და ვნატრობდე რატომ მთელი მარადისობა არ გიცნობდი და ყურში შენი ხმა ჩამესმოდა და ვგრძნობდე შენი კანის შეხებას ჩემსაზე და მეშინოდეს როცა ბრაზდები და ცალი თვალი გინთლდება და მეორე თვალი გილურჯდება და თმა მარცხნივ გადაგეყრება და სახე გაიღმოსავლურდება და გეუბნებოდე რომ გადასარევი ხარ და გეხუტებოდე როცა ღელავ და გეხვეოდე როცა მტკენ და მინდოდე როცა შენი სუნი მცემს და ჩემი შეხებით შეურაცხყოფას გაყენებდე და ვყმუოდე როცა შენ გვერდით ვარ და ვყმუოდე როცა არა ვარ შენ გვერდით და შენს ძუძუებზე ნერწყვი მადგებოდეს და ღამეში გგუდავდე და მციოდეს როცა საბანს წამართმევ და მცხელოდეს როცა დამიტოვებ და ვლღევოდე როცა მილიმი და ვდნებოდე როცა იცინი და არ მესმოდა რატომ გგონია რომ თავიდან გიშორებ მაშინ როცა არ გიშორებ და მიკვირდეს როგორ გაიფიქრე რომ ოდესმე მოგიშორებდი და ვერ ვხვდებოდე ვინ ხარ მაგრამ მაინც გალიარებდე და გიყვებოდე ხის ანგელოზზე მოჯადოებულ ტყეზე ბიჭზე რომელმაც ოკეანეს გადაუფრინა იმიტომ რომ შენ უყვარხარ და წერს შენთვის ლექსებს და მიკვირდეს რატომ არ გჯერა ჩემი და მქონდეს ისეთი ღრმა გრძნობა რომ მის გადმოსაცემად სიტყვებს ვერ ვპოულობდე და მინდოდა შენთვის ვიყიდო კნუტი რომელზეც ვიჭყვიანებ იმიტომ რომ მას ჩემზე მეტ ყურადღებას დაუთმოდ და სანოლში გტოვებდე როცა წასასვლელი ხარ და ბავშვივით ვტიროდე და როცა ბოლოს და ბოლოს მოიშორებ ტარაკნებს და ვყიდულობდე შენთვის ისეთ საჩუქრებს რაც არ გინდა და ისევ გართმევდე მათ და გთხოვდე ცოლად გამომეყვ და შენ კიდევ ერთხელ მეუბნებოდე უარს მაგრამ მაინც გამუდმებით გთხოვდე რადგან მართალია შენ ეს არ გჯერა მაგრამ მე მაინც სულ სერიოზულად გთხოვდი ხელს პირველივე ცდიდან მოყოლებული და ქალაქში ვბოდილობდე და ვფიქრობდე რომ უშენოდ ცარიელია და მინდოდა ის რაც შენ გინდა და ვფიქრობდე რომ თავს ვკარგავ მაგრამ ახლა უსაფრთხოდ ვარ შენთან ერთად და გაგიმხილო ჩემი ყველაზე ცუდი ნაკლი და შემოგთავაზო საუკეთესო რაც შემიძლია რადგან შენ ნაკლებს არ იმსახურებ და გიპასუხო კითხვებზე მაშინ როცა მერჩივნა არ მეპასუხა და გაგიმხილო სიმართლე როცა მერჩივნა არ გამეგმხილა და ვცდილობდე გულწრფელი ვიყო რადგან ვიცი შენ ასე გირჩევნია და ვფიქრობდე რომ ყველაფერი დასრულდა მაგრამ კიდევ შევიცადო ათიოდ წუთით სანამ საკუთარი ცხოვრებად მომისვრი და დამავიწყდეს ვინ ვარ და ვეცადო უფრო მოგიახლოვდე იმიტომ რომ მშვენიერია როცა შენს შეცნობას ვსწავლობ და წვალებად ღირს და ცუდი გერმანულით გელაპარაკო და კიდევ უარესად ივრითზე და დილის სამ საათზე შენ გეალერსო და როგორმე როგორმე როგორმე მოგანვდინო მცირედი ნაწილი იმ / დაუძლეველი უკვდავი უძლიერესი უპირობო ყოველისმომცველი გულის-გამძვლები გონების-გამძვლები ამწუთიერი უსასარულო სიყვარულისა შენდამი რომ განვიციდ.

C (ხმადაბლა, სანამ A მორჩება ლაპარაკს) ეს უნდა



მორჩეს ეს უნდა მორჩეს ეს უნდა მორჩეს ეს უნდა  
მორჩეს ეს უნდა მორჩეს ეს უნდა მორჩეს ეს უნდა  
მორჩეს ეს უნდა მორჩეს (შემდეგ ნორმალურ ხმა-  
ზე) ეს უნდა მორჩეს ეს უნდა მორჩეს ეს უნდა მორ-  
ჩეს

- A ნუთუ არ ესმით? მნიშვნელოვანი საქმეები მაქვს.  
C სულ უფრო უარესდება.  
A დამერხა, ამ უთავბოლო ქალის გამო მაგრა და-  
მერხა.  
B შვილი უნდა ოლონდ ახლავე.  
A რა მეშველება როცა გამაგდებ?  
C უსმინე.  
B შეხედე.  
C უსმინე. აქ იმისთვის ვარ რომ გავიხსენო. აუცი-  
ლებლად... უნდა გავიხსენო. დარდი მანევს და არ  
ვიცი რატომ.  
A ყოველთვის გადასარევი ხარ მაგრამ როცა ათავებ  
მაშინ განსაკუთრებით.  
C ეს სასტიკი დაფეთებული დამბლადცემული ბავ-  
ში.  
A რაც უფრო ბრაზდება სულ უფრო მეტ ტანსაც-  
მელს იხდის და სულ უფრო ნაკლებად მეიმედება  
რომ თავისთან ახლოს მიმიშვებს.  
B გული ცუდს მიგრძნობს ცუდს ამ ცუდ გრძნობაზე.  
A ისე მარტო ვარ, ისე ყლესავით მარტო.  
C მე არ  
A მე არ  
C მესმოდა  
M კონტროლი, კონტროლი, რელაქსაცია და კონტრო-  
ლი.  
A ეს ის ქალია, უკაცრიელი თვალებით, ვის გამოც  
სიკვდილზე წავალ.  
C თმა თეთრი აქვს, მაგრამ რალაც მიზეზის გამო –  
ალბათ იმიტომ, რომ თმა აქვს თეთრი – ვერაფრით  
ვერ გვხვდები, რამდენი წლისაა.  
M მზიანი პეიზაჟები. კედლები პასტელის ტონებში.  
პაერის ზომიერი კონდიციონერა.  
A ვცდილობ გავიგო, მაგრამ არ მესმის.  
C ვუყურებ დიდ ჩალისფერ ჯვალს ბალიშს, ვცდი-  
ლობ ვიპოვო კავშირი, ვცდილობ გავიფიქრო სუფ-  
თა, ცარიელ ქსოვილში ჩაქსოვილი ჩემი თავი.  
A როდის უნდა მორჩეს?  
C და მერე შალის მწვანე ბალიშს, სრულებით რომ  
ვერ გამოხატავს ჩემს ვერცერთ ნაწილს – განსა-  
კუთრებით იმ ნაწილებს, მას რომ ვუჩვენებ.  
M კაცებთან ურთიერთობებში სირთულეები გაქვთ?  
A მოუცლელი ბედნიერი მოუცლელი ბედნიერი მო-  
უცლელი ბედნიერი  
M საერთოდ თუ გაქვთ კაცებთან ურთიერთობები?  
B ერთადერთი რისი თქმაც მინდა, უკვე ვთქვი და  
მაგარი ყლობაა ისევ გამეორება, მიუხედავად იმი-  
სა, რამდენად დიდი სიმაართლეა და მიუხედავად  
იმისა, რომ ეს ერთადერთი აზრია, რომელიც მთელს  
კაცობრიობას აერთიანებს.  
A როგორ შეგიძლია ასე მიმატოვო?  
C ჩემს დარდს კაცებთან საერთო არაფერი აქვს.  
ვკვდები და ამიტომაც გავტყდი.  
A დიდი ხნით ადრე, როცა შენით მთლიანად ტკობა  
ჯერ კიდევ არ შემეძლო, გიყურებდი და მატკობ-  
და მხოლოდ ის ნაწილები, რასაც ვხედავდი.  
B ქალი დრაკონის თვალებით.  
A მწვანეში გარდამავალი ლურჯი.  
C მთლიანად ლურჯი.  
A მუსიკა არ მაქვს; ღმერთო, ნეტავ მუსიკა მქონდეს,  
მაგრამ ერთადერთი რაც გამაჩნია, სიტყვებია.  
B Du bist die Liebe meines Lebens.<sup>iii</sup>  
A არ მომიკვითო.





- B ჩემში რაღაცაა და მაგრა დამპლურად მირტყამს.  
 C ყრუ ტკივილი მზის წნულთან.  
 B ხახაში გადაგებული გახრჩობს.  
 M ოდესმე საავადმყოფოში დაუნვენიხართ?  
 A ასოციაციით გამოწვეული ტკივილი.  
 C მხოლოდ სასწაული თუ გადამარჩენს.  
 M რისთვის?  
 A შეშლილობა.  
 C ანორექსია. ბულიმია.  
 B სულერთია.  
 C არა.  
 M არასოდეს.  
 C მაპატიე.  
 A სიმართლე მარტივია.  
 C მე ბოროტი ვარ, დაზიანებული ვარ და ვერაფერს გა-  
 დამარჩენს.  
 A ერთ-ერთი არჩევანი სიკვდილია.  
 B მეზიზღება საკუთარი თავი.  
 C დეპრესია არაა საკმარისი. მინიმუმ სრული ემო-  
 ციური კოლაფსი მაინც უნდა გქონდეს, რომ თავი  
 იმართლო ყველასთან, ვინც დააღალატე.  
 A ლაჩარი პოულობს გამოსავალს,  
 C გამბედაობა არ მყოფნის.  
 B შენზე ვფიქრობ  
 A შენზე ვოცნებობ  
 B შენზე ვლაპარაკობ  
 A ჩემი სისტემიდან ვერ ამოგაგდე.  
 M არა უშავს.  
 B მომწონხარ ჩემს სისტემაში.  
 M არაფერია შესასრულებელი.  
 C ერთ მშვენიერ დილით მაისის თვეში.  
 B არა ეგ არაა.  
 C დედად მეკუთვნი.  
 M მე არა ვარ დედაშენი.  
 C თავს დამნაშავედ ვგრძნობ და არა ვიცი, რატომ.  
 A მხოლოდ სიყვარულს შეუძლია ჩემი ხნსა და სიყვა-  
 რულმა გამანადგურა.  
 C მინდორი. სარდაფი. სანოლი. მანქანა.  
 B ერთ-ორ დღეში ახალი საყვარლის ძებნას დავიწყებ,  
 თუმცა ახლანდელ საყვარელთან რომანი ლამის  
 სერიოზულ ურთიერთობაში გადაიზარდოს.  
 M განაგრძე.  
 B თუ არ გინდა, რომ მოვიდე, არ მოვალ. შეგიძლია  
 მითხრა, სულერთია. არა, სულერთი არაა, მაგრამ  
 მაინც აჯობებს, მითხრა. მეცოდინება მაინც. ასეა.  
 M ზღვარს მიღმა.  
 A ტკივილს მიღმა.  
 M აირჩიე, ჩაულრმავდი, გამოიყენე.  
 B მგონი, კარგი შანსები მაქვს.  
 C ვყიდულობ ახალ დიქტოფონს და ცარიელ კასე-  
 ტებს.  
 B ყოველთვის ასეა.  
 C სინამდვილეში, ძველებიც მაქვს, ზუსტად ასევე  
 რომ გამოდგება, მაგრამ სინამდვილეს ბევრი არა-  
 ფერი აქვს საერთო სიმართლესთან, არადა აზრი  
 (თუკი იგი საერთოდ არსებობს) ისაა, რომ სიმარ-  
 თლე უნდა ჩავინერო.  
 A ისე დავიღალე.  
 C მინდა თეთრი შავ-თეთრზე, მაგრამ ჩემი ფიქრები  
 უსწრაფესად დაქრიან დიდებულად მყვირალა ფე-  
 რებში, მალეობენ, მაქლიან უხილავობის თბილ  
 საბანს, ყოველ ჯერზე როცა იგი ჩემს გონებას არა-  
 რაობაში ხვევს.  
 A ადამიანების უმრავლესობა,  
 B ეგუება  
 A დგება
- B ეგუება  
 A ფუტურო გული სიბნელით მაქვს ამოვსებული.  
 C ერთი შეხებით იწერს.  
 A ივსება სიცარიელით.  
 B კმაყოფილება არაფრით.  
 A ერთი შეხებით.  
 M იწერს.  
 C ნაწლავები მეხლართება მის შეხებაზე.  
 A საბრალო, საბრალო სიყვარული.  
 C ვერაფერს ვგრძნობ, ვერაფერს.  
 ვერაფერს ვგრძნობ.  
 B დავბრუნდი.  
 C ის რომ ნასულიყო -  
 A მალე მოვკვდები.  
 M ეს ძალადობა საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა.  
 C ყველგან მატლები.  
 B შენი მსგავსი არავინაა.  
 C როცა რაღაცას ძალიან ახლოდან ვაკვირდები, მო-  
 ფუთფუთე თეთრ მატლებს ვხედავ.  
 A სიშავე თანდათან ეპარება.  
 C პირს ვალებ და მეც სავეს ვარ მატლებით, ყელში  
 მიძვრებიან.  
 B რაღაც მოხდა.  
 A რა საზარელია.  
 C ვცდილობ ამოვიძრო, მაგრამ სულ უფრო გრძელ-  
 დება და დასასრული არ უჩანს. ყელაპავ და თავს  
 ვიტყუებ, ვითომ არც არსებობს.  
 B შეუმჩნევლად ნელა და უეცრად.  
 A არაფერი შთამბეჭდავი.  
 B გამუდმებით უკან ვბრუნდები ხოლმე.  
 A ისე ღრმად საზარელია, რომ მხოლოდ რიტუალი  
 შეიძლება მას შეიცავდეს,  
 M ხატავდეს,  
 B ხსნიდეს,  
 A ინარჩუნებდეს.  
 B *Besos bruja que me matan.*<sup>iv</sup>  
 C ლურჯი ჯინსის კაბა, რომელიც 6 წლის ასაკში მეც-  
 ვა, ნელზე მოხვეული ელასტიური ლურჯ-ნითელი  
 ქამარი, ნეილონის წინდები, გადაყვლეფილ მუხ-  
 ლებზე ქერცლი, ფეხებსშუა მოქცეული ლითონის  
 მილი სასრიალოზე, დევიდ -  
 A არა  
 M ვერ შეგიყვარებ, იმიტომ, რომ პატივს ვერ გცემ.  
 C სუფთა დაფა, ხანგრძლივი სიყვარული.  
 M თვითმფრინავისთვის უნდა მიმესწრო. ნათელ-  
 მხილველმა მინიანსწარმეტყველა, რეისზე დაგაგ-  
 ვიანდებო, მაგრამ შენი საყვარელი მიახლოებო.  
 თვითმფრინავი ჩამოვარდება და ის დაილუპებო.  
 არ ვიცოდი, რა მექნა. რეისზე რომ დამეგვიანები-  
 ნა, წინასწარმეტყველებას ავასრულებდი და ამით  
 ჩემს საყვარელს სასიკვდილოდ გავწირავდი. მაგ-  
 რამ წინასწარმეტყველების დასაძლევად უნდა ავ-  
 სულიყავი თვითმფრინავში, რომელიც ჩამოსავარ-  
 დნად იყო განწირული.  
 A და რა გააკეთე?  
 M დაიწყე თავიდან.  
 A დაიწყე თავიდან.  
 C იისფერი მანანის ტოტები ფეხებს მიკანწავს.  
 A ოღონდ ეს არა.  
 C სიმპატიური, ქერა, 14 წლის, ცერა თითებით ჯინ-  
 სის შარვალს დაბლა ექაჩება და ტრაკი ნახევრად  
 უჩანს, ლურჯზე ლურჯი თვალები მზით ავსებია.  
 ყელში ამომოვიდა, ძმაო, მაგრა ყელში მაქვს უკვე.  
 A რა გააკეთე?  
 B არაფერი, არაფერი. არაფერი არ გამიკეთებია.  
 M ამ ყველაფერს არანაირი მნიშვნელობა არა აქვს,



იმით რომ მე შენ უბრალოდ არ მიყვარხარ.

A და ვკანკალებ, მეტირება, როცა მაგონდება ის დრო, როცა ვუყვარდი, სანამ მისი მტანჯველი გავხდებოდი, სანამ ჩემში მისთვის ადგილი აღარ დარჩებოდა, სანამ ერთმანეთს ვეღარ გავუგებდით, იმ პირველივე წამიდან, როცა დავინახე ღიმილითა და მზით სავსე მისი თვალები, და ისევ მაძრუნებს ის წამი, მთელი ეს დრო თავიდან რომ ვერ მომიგლეჯია.

B დაიწყე თავიდან, დაიწყე თავიდან.

M გააგრძელე.

A ვუყურებ ძუძუებზე,

C რძით სავსე ბურთი,

M ადრე თუ გვიან,

C სისხლით სავსე ბუშტი

B ან ისე, ან ასე,

C მობუყბუყე სისხლი

B პირში რომ ჩამდის,

C შედედებული ყვითელი სისხლი,

A ჩემი ტკივილი არაფერია მის ტკივილთან შედარებით.

C მაგრამ მაგრამ მაგრამ

A (და ეს ძალიან მნიშვნელოვანია)

B უარს ნუ მეტყვი.

C გამუდმებით უკან გბრუნდები.

B ასეთ ეფექტს ახდენ.

M უარის თქმა არ შეგიძლია.

A ბნელი ანგელოზი ღვთაებრივი.

C ის კაცი კი არ მინდა.

A ძაან მაგრა მენატრები.

C ჩემი ქალიშვილობის ბრალია.

B მენატრება შენთან ტყნაური.

C თოთხმეტი წლისამ წამართვას ქალიშვილობა ველზე და მაუბნატიუროს, სანამ არ გავათავებ.

M ამ დღეებში

B მალე ძალიან მალე

A მანამდე მეყვარები

M (და მერე?)

C შვილები მყავს, ის კაცები მოდიან, ვჩხუბობ, მაგრამ მაინც მიჰყავთ ბავშვები, ვხვდები, ის კაცები, ისინი მოვიდნენ, ასე თქვეს, ლამით, ასე თქვეს.

A უარს ნუ მეტყვი შენ უარის თქმა არ შეგიძლია იმიტომ რომ დიდი შევბაა როცა ისევ გაქვს სიყვარული და წევხარ სანოლში და გეხვევიან და გეხებიან და გკოცნიან და გაღმერთებენ და გული საგულედან ამოგიხტება როცა ჩემს ხმას გაიგონებ და ჩემს ღიმილს დაინახავ და შენს სუნთქვას იგრძნობ კეფაზე და გული აგიჩქარდება როცა შენი ნახვა მომინდება და პირველივე დღიდან მოყოლებული მოგატყუებ და გამოგიყენებ და გიხმარ და გულს გაგიტეხავ იმიტომ რომ პირველმა შენ გამიტეხე გული და ყოველდღე უფრო მეტად შეგიყვარდები ვიდრე ამ წონას ვეღარ ზიდავ და შენი სიცოცხლე ჩემი გახდება და შენ მარტო მოკვდები იმიტომ რომ წაგართმევს იმას რაც მინდა მერე წავალ და შენი ვალი აღარ მექნება სულ აქ იყო ყოველთვის აქ იყო და ვეღარ უარყოფ სიცოცხლეს რომელსაც გრძნობ შევეცი მაგ სიცოცხლეს შევეცი მაგ სიცოცხლეს შევეცი მაგ სიცოცხლეს აჰა უკვე დაგკარგე

C გამიგე

B ახლა როცა გიპოვე შემიძლია საკუთარი თავის ძებნა შეწყვიტო.

C მკლავზე შემეხო და გამიღიმა.

B ერთ-ერთი ისეთი სახე, ვერასოდეს რომ ვერ წარმოვიდგენდი.

A სასტუმროში ისე დავრეგისტრირდით, თითქოს სექსს სულაც არ ვაპირებდით.

C თვალები, ჩურჩული, ჩრდილები და აჩრდილები.

M სად მიდიხარ ვის ხვდები რას აკეთებ?

B *Jebem radoznale.*

A იქ უნდა ვიყო სადაც მინდა ყოფნა.

M თავიდან ამას ვეღარ ავიტან.

A ჯერ ვისიყვარულეთ, მერე იმას გული აერია.

C არავინაა რომ მომეხმაროს არც დამპალი დედაჩემი არაა.

A ორი მდინარე გადავლახე და ერთის ნაპირთან ავტირდი.

M თვალებს ვხუჭავ და ვხედავ გოგო როგორ ხუჭავს თვალებს და როგორ გხედავს შენ.

A ყვითელი ნარცისის კივილი,

M კივილის ლაქა.

C ვუყურებდი როგორ სცემდა მამაჩემი დედაჩემს ხელჯოხით.

A ლაქა,

C ექო,

A ლაქა.

B ვწუხვარ რომ დაინახე.

C ვწუხვარ რომ ასე მოიქცა.

A უიმედობა იმედებს მაცლის.

M არაფერს ვნანობ.

A გეფიცები, ვეღარ ავიტან, ვერ შევძლებ, შემოგხედო.

C არაფერი არ გამიკეთებია, არაფერი.

B არაფერი არ გამიკეთებია.

C მინდა ფიზიკურადაც ისე ვგრძნობდე თავს, როგორც ემოციურად. ნაშიმშილარი.

M ნაცემი

A გატეხილი.

C მაკიაჟის ნაკრებს ყიდულობს ჩემთვის, ფერუმარილს და პომადას და თვალის ჩრდილებს. და სახეს დაჟეჟილობებით და სისხლით და ნახეთქებით და დაბუშტვებით ვიხატავ და სარკეზე ხასხასა წითლით ვწერ „მახინჯი“.

A სიკვდილი ჩემი საყვარელია და საცხოვრებლად უნდა გადმოსვლა.

B რას ნიშნავს რას ნიშნავს რას ნიშნავს ეს შენი სიტყვები?

C იყავი ქალი, იყავი ქალი, შენ შეგეცი.

M ვერაა მთლად სასიამოვნო, როცა უნდხარ ადამიანს, რომელიც ისეთი მთვრალია, რომ თვალში ვერ იხედება.

B შეგეცი.

C შევეცადე ამეხსნა, რომ არ მინდა დავიძინო ადამიანთან, რომელიც ვერ გამიგებს როგორ გამოიჭრდება მომდევნო დღით, მაგრამ სანამ ამის თქმას მოვასწრებდი, უკვე გაითიშა.

M რ.დ.გ. (რისი დამტკიცებაც გვსურდა)

C ისევ მამიკოსთან ერთად ძილი.

A თამაშები, ჩვენ რომ ვთამაშობთ,

M ტყუილები, ჩვენ რომ ვამბობთ.

B შენი თმა ღმერთის ნახელავია.

A ვიეტნამელი გოგო, მთელს მის არსებობას აზრი მხოლოდ იმ ოცდაათ წამში აქვს, სანამ თავისი სოფლიდან გამორბის, კანი ადნება, პირი ღია აქვს.

C ვერავინ შემიძულეს ისე, როგორც საკუთარი თავი მძულს.

A ის კი არა ვარ, რაც ვარ, მე ვარ ის, რასაც ვაკეთებ.

M რა საშინელებაა.

C რა სიმართლეა.

A ის, რაზეც დავიფიცე, არასოდეს ვიზამ მეტქი, რაზეც დავიფიცე არასოდეს –





- M მთელი ეს ტკივილი  
C სამუდამოდ  
B დღემდე.  
A ჩემი შვილების სიცოცხლეზე, ჩემი შვილების სიყვარულზე.  
M ამდენს რატომ სვამ?  
B სიგარეტი ისე სწრაფად ვერ მკლავს.  
C ჩემი სიცილი უიმედობის ბუშტია.  
M წესი პირველი.  
C არავითარი ჩანაწერები.  
M არავითარი წერილები.  
A არავითარი საკრედიტო ბარათების ქვითრები სასტუმროს ნომრებში გატარებული საღამოებისთვის, არავითარი ძვირიანი სამკაულების ქვითრები, არავითარი შინ დარეკვა და ხმის ამოუღებლად ყურმილის დაკიდება.  
C არა გრძნობა,  
B არა ემოცია,  
M ცივად ტყნაური და ოქროს თევზის მეხსიერება.  
C დამეცალა ნაწლავები.  
A მიფეთქავდა სირცხვილისა და დანაშაულის გრძნობით.  
C სიბინძურე. სიბინძურე.  
A მან იცის.  
B ეს მე არა ვარ.  
A არასოდეს შეინახო სუვენირი მკვლელობის სამახსოვროდ.  
M ყველაფერი ცხადია.  
C კიდევ ერთი გოგო,  
B კიდევ ერთი სიცოცხლე.  
C მე არაფერი არ გამიკეთებია, არაფერი.  
B მე არაფერი არ გამიკეთებია.  
M ზღვარს მიღმა.  
A ღმერთო მაპატიე სუფთა მინდა ვიყო.  
C მიკივის რომ დაინახოს რად გადავიქეცი.  
M განაგრძე.  
C რატომ ვერაფერს მელერსება ისეთი სიყვარულით, როგორიც მე მინდა.  
M დედად გეკუთვნი.  
B შენ არა ხარ დედაჩემი.  
M მალე ძალიან მალე.  
B ახლა.  
C ორგაზმი ადრეც გამითამაშებია, მაგრამ ახლა პირველად ვთამაშობ, თითქოს ორგაზმს არ განვიცდიდე.  
A კარს ქვემოდან გამონაჟონი შავი სისხლი გუბედ დგება.  
M რატომ?  
C რა?  
B რა რატომ?  
A რა?  
M როცა ხელგაშლილია, კეთილი, გულისხმიერი და ბედნიერი, ვხედები, რომ საყვარელი ჰყავს.  
C ჰგონია, ჩვენ სულელები ვართ, ჰგონია, არ ვიცით.  
M ის მესამე ჩემს სანოლში, ვისი სახეც ხელიდან მისხლტება.  
B უბრალოდ მე,  
A უბრალოდ ისეთი, როგორიც ვარ,  
C ვერაფერს იზამ.  
M გაეცი, თანაუგრძნე, აკონტროლე.  
B ახლა.  
C ისე დამალეს საიდუმლოებმა.  
M ეს მე არა ვარ.  
C ახლა რაღაც ნერვული აშლილობა აქვს და ნატრობს, რატომ შავკანიან და უფრო სიმპატიურ მაკაცად არ დავიბადეო.  
B ჩემს თავს ვიძლევი.  
C ან მხოლოდ უფრო სიმპატიურადო.  
B ჩემს გულს ვიძლევი.  
C ან მხოლოდ სხვანაირადო.  
M ეს ხომ ნამდვილი გაცემა არაა.  
C ოღონდ კი სხვა ვინმედო.  
A სათუთია და იხრჩობა.  
C უარს ამბობს იმ ყოველდღიურ ფარსზე, როცა ყოველ საათს მხოლოდ იმით უძლებდა, რომ ცდილობდა როგორმე აღარ ეფიქრა იმაზე, რომ არ იცოდა, მომდევნო ორმოც წელიწადს ცხოვრებისთვის როგორ გაეძლო.  
A მიყვარხარ მაინც,  
B თუმცა კი არ მსურს.  
C საკუთარ თავზე მესამე პირში ლაპარაკობს იმიტომ, რომ მის სიამაყეს არ შეუძლია შეეგუოს იმას, გააცნობიეროს და აღიაროს, რომ ის არის, ვინც არის, საკუთარი თავი და სხვა არავინ.  
B მაგრა დაბოღმილი.  
C გულისრევამდე მობეზრდა საკუთარი თავი და ნატრობს ნატრობს ნატრობს რომ რაღაც მოხდეს რაც ცხოვრებას დაანელებინებს.  
A მას შემდეგ რაც საყვარელი გავიჩინე გაცილებით უკეთესი ადამიანი გახდით.  
C თავის მოკვლა მხოლოდ მაშინ შეგიძლია როცა მკვდარი არა ხარ.  
M დანაშაულის გრძნობამ იცის ეგრე.  
A იმიტომ რომ ახლა ვიცი, ლალატი არაფერს ნიშნავს.  
C ორი ქალი ჯვრის ფერხით.  
B ყვავილი გადაიშლება მზის მცხუნვარებაში.  
A სახე ჩაჰკივის გამოფიტულ სიცარიელეს.  
B ნამდვილია, ნამდვილია, უსიკვდილოდ ნამდვილია, უსიკვდილოდ ნამდვილია.  
M პირადი იკონოგრაფია, რომელსაც ვერ ვმიფრავ,  
A უბრალოდ არ მესმის,  
C მიღმაა ჩემი,  
A მიღმაა  
B აზრის გამოკვეთილად ჩამოყალიბების უნარსა და ინტელექტს შორის არსებობს განსხვავება. ვერ ვაყალიბებ, რა განსხვავებაა, მაგრამ ნამდვილად არსებობს.  
M ცარიელი.  
A ყელში ამოსული.  
C თეთრი.  
B შემეყვარე.  
A დანაშაულის გრძნობა სიკვდილის სუნივით შერჩება ჰაერს და ვერაფერს მიხსნის ამ სისხლის ღრუბლისაგან.  
C შენ მოკალი დედაჩემი.  
A ის უკვე მკვდარი იყო.  
M თუ გინდა რომ გიხმარო გიხმარ.  
A ის მოკვდა.  
B ადამიანები კვებიან.  
M ხდება ზოლმე.  
C მთელი ცხოვრებაა ველი, მინდა ვნახო ადამიანი, მე რომ მაგიჟებს – კვირიდან კვირამდე სულს როგორ ლაფავს, სანამ ჩვენი მომდევნო თხუთმეტწიანი შეხვედრის დრო არ დადგება.  
A (ტელეფონის ლილაკი 6) MNO  
C სიმართლეს ვნერ და ეს მკლავს.  
B გაქცეული.  
M ვერსად დაიმალე.  
C ეს სიტყვები მძულს სიცოცხლეს რომ მაიძულებენ ეს სიტყვები მძულს რომ მიშლიან ახლავე სიკვდილს



B გამოვხატო ჩემი ტკივილი ისე რომ არ გავიყუჩო.  
C ჰა ჰა ჰა  
B ჰო ჰო ჰო  
M ჰი ჰი ჰი  
C ჩემთვის მიუღებელია ის რომ მე მე ვარ.  
A ჭკუიდან იშლები ჩემ თვალწინ.  
M შეუმჩნეველად დავკარგეთ კონტროლი.  
B გამიშვი.  
M წავიდე.  
A პატარა გოგონაზე სულ უფრო მეტად ზემოქმედებდა მშობლებს შორის გახშირებული ძალადობა და ჩხუბი. ზოგჯერ დამბლადაცემულივით საათობით შემდებოდა ტუალეტში, რადგან იმ მომენტისთვის, როდესაც მშობლებმა ჩხუბი დაიწყეს, შემთხვევით იქ აღმოჩნდა.  
ბოლოს კი, როცა ჩხუბი ჩანყნარდებოდა, მაცივრიდან ან წინკარიდან აიღებდა რძის ბოთლებს და იქ დგამდა, სადაც მოგვიანებით, შესაძლოა, უნებლიეთ გაშეშებულიყო. მისი მშობლები ვერ ხვდებოდნენ, რატომ ჰოულობდნენ ხოლმე ამჟავებული რძით სავსე ბოთლებს სახლის ყველა კუთხეში.  
M რატომ  
C რა?  
B რა რატომ?  
C რა?  
M რატომ ტირი?  
A აქ სიახლე არაფერია.  
B ისეთი მტკიცე იყავი.  
C სულ მე ვარ.  
M სულ იცოდი.  
B ველარ ვაკონტროლებ.  
C როგორ დავკარგე?  
A მომისროლე.  
C არა.  
M კი  
B არა  
A კი.  
B არა.  
C არა.  
A კი.  
(წამი-პაუზა)  
B არა.  
C არა.  
M კი.  
B არა.  
C არა.  
A კი.  
C არა.  
(წამი-პაუზა)  
A კი.  
C არა.  
B არა.  
M კი.  
A კი.  
M კი.  
C (აღმოხდება ერთმარცვლიანი, მოკლე კივილი)  
(წამი-პაუზა)  
C (აღმოხდება ერთმარცვლიანი, მოკლე კივილი)  
B (აღმოხდება ერთმარცვლიანი, მოკლე კივილი)  
M (აღმოხდება ერთმარცვლიანი, მოკლე კივილი)  
B (აღმოხდება ერთმარცვლიანი, მოკლე კივილი)  
A (აღმოხდება ერთმარცვლიანი, მოკლე კივილი)  
M (აღმოხდება ერთმარცვლიანი, მოკლე კივილი)  
C (აღმოხდება ერთმარცვლიანი, მოკლე კივილი)  
(წამი-პაუზა)  
M მე ვერ დაგეხმარები, თუ არ ილაპარაკებ.


B ეს ადგილი.  
C პალატა ES3.  
A მე კუთხეში მომწყვდეული მხეცი.  
C სიჩუმე ან ძალადობა.  
B არჩევანი შენზეა.  
C მუცელს ნუ მივსებ, თუ ჩემთვის გულის ავსება არ შეგიძლია.  
B თავს ისე მივსებ, როგორც მხოლოდ მას შეუძლია, ვინც აქ არ არის.  
M განსჯის უნარის დაქვეითება, სექსუალური დისფუნქცია, შფოთვა, თავის ტკივილები, ნერვიულობა, უძილობა, მოსუვენობა, გულზიდვა, დიარეა, ქავილი, კანკალი, ოფლიანობა, კონვულსიები.  
C აი რისგან ვიტანჯები ახლა.  
M არაფერია.  
B არა უშავს.  
A ეგ არაფერი.  
C ან დამაძინე ან მიმკურნალე.  
A სიცოცხლეს ვერავინ გადაურჩება.  
C და არავინ იცის როგორია ღამე.  
M ოდესმე თუ გიფიქრია, რომ არასწორ ადგილას ხარ?  
C არა.  
B არასოდეს.  
A არა.  
C თუ აქ მოვკვდი, ესე იგი შუადღის სატელევიზიო შოუებმა მომკლეს.  
A შენ გამო მოვიტყუე და ამიტომ ვერ შეგიყვარებ.  
M ნუ ითხოვ,  
A ნუ იხვეწები,  
B რატომ რატომ რატომ ვერ შევიგნე?  
C საათში ერთხელ მითიშავენ შუქს, რომ შეამონმონ, ისევ თუ ვსუნთქავ.  
B ისევ.  
C ვეუბნები, ძილის აკრძალვა წამების ერთერთი ფორმაა-მეთქი.  
B ისევ და ისევ.  
M თავს თუ მოიკლავ მხოლოდ იმიტომ მოგიწევს უკან დაბრუნება, რომ ყველაფერი თავიდან გაიარო.  
B იგივე გაკვეთილი, ისევ და ისევ.  
A არა ჰკლა თავი შენი.  
C სიჯანსაღე კი არა, ამაოება დამიხსნის ზიანისაგან.  
M ხმები გესმის ხოლმე?  
B მხოლოდ მაშინ როცა მელაპარაკებთან.  
A ნატანჯი სულები გამშრალი ტუჩებით.  
C მე ავად არ ვარ, უბრალოდ ვიცი, რომ სიცოცხლე არ ღირს.  
A აღარ მწამს გულწრფელობის.  
B აღარ მწამს  
M წინ, მაღლა, პირდაპირ,  
C აღარ.  
B 199714424  
M განაგრძე.  
C არ ვენდობი  
M არ მადარდებს  
C გარეთ, გარეთ საით?  
A ჩემი წილი სიყვარულის დამპალი შავი ხვრელი.  
M განაგრძე.  
A მძულს ყველა, ვისაც ანუგეშებენ და ვინც ანუგეშებს.  
C შენ აზრზე არა ხარ, როგორი გაბრაზებული ვარ.  
A ვერ გენდობი და პატივს ვერ გცემ.  
C აღარა ვარ გულწრფელი.  
A შენ გამო აღარა ვარ და ამიტომ ვერ შეგიყვარებ.  
M გაცოცხლება.



- C მანქანების ცარიელი პარკინგი, რომელსაც ვერას-  
დროს დავტოვებ.
- B შიში გრგვინავს ქალაქის ცაზე.
- M არყოფნას სძინავს შენობებს შორის შუალამისას.
- C სადგომზე მანქანებს შორის,
- B სადღაც შუაში დღისა და ღამის.
- A იქ უნდა ვიყო სადაც ჩემი ადგილია.
- B გა
- C მი
- M შვი
- A გარესამყაროს გადაჭარბებულად აფასებენ.  
(პაუზა)
- C დაიქცეს ის დღე, როცა მე გავჩნდი  
შთანთქას იგი ღამის სიბნელემ  
დაუბნელდეს განთიადის ვარსკვლავი იმას  
ველარ იხილოს ცისკრის ნამწამი  
რამეთუ დედის ჩემის საშოის ბჭენი დასტოვა ღია
- B ის მემართება, რისიც მეშინია.
- C მეზიზღები,
- B მჭირდები,
- M მეტი მჭირდება,
- C ცვლილება მჭირდება.
- A ეს სრულიად გულისამრევი სიცარიელე – ჩვენი  
ურთიერთობა, რომელშიც არაფერია მოულოდნე-  
ლი.
- M ნამდვილი ცხოვრება მინდა,
- B ნამდვილი სიყვარული,
- A რომელსაც ფესვები გაუდგამს და დღის სინათ-  
ლეზე სიმალლეში იზრდება.
- C რა აქვს ისეთი, რაც მე არ მაქვს?
- A მე.
- B თუ რამე მინდა, შენთან ერთად მინდა.
- M ეს. მე. არა. ვარ.
- A საიდუმლოები აღარ არსებობს.
- M მხოლოდ სიბრძნეა.
- A ვილაც ისეთი შეგყვარებია, ვინც არ არსებობს.
- C არა.
- M კი.
- B არა.
- A კი.
- C არა.
- B არა.
- M კი.
- C ასეც ვიცოდი,
- B ასეც ვიცოდი,
- C რატომ ვერ შევიგნე?
- A სიბნელეში ცხოვრებაზე არ ვარ თანახმა.
- B მზეს ნუ უყურებ, მზეს ნუ უყურებ.
- C მიყვარხარ.
- M გვიანია.
- A დამთავრდა.
- C (აღმოხდება სასოწარკვეთის უფორმო ყვირილი)  
(სიჩუმე)
- A ჩვენ არ ვიცით, რომ დავიბადეთ.
- C რა გამიკეთეს? რა გამიკეთეს? რა გამიკეთეს? რა  
გამიკეთეს? რა გამიკეთეს? რა გამიკეთეს? რა გა-  
მიკეთეს? რა გამიკეთეს? რა გამიკეთეს? რა გამი-  
კეთეს? რა გამიკეთეს? რა გამიკეთეს? რა გამიკე-  
თეს? რა გამიკეთეს? რა გამიკეთეს? რა გამიკე-  
თეს? რა გამიკეთეს?
- M უკვე დიდი ხარ, დედას ნულარ აბრალე.
- A ასეთია ცხოვრება.
- B ყვავილები,
- C მზის შუქი,
- A საღამოს მწუხრი.
- C შორდები,
- B კი არ უახლოვდები.
- A ჩემი ბრალი არაა.
- C თითქოს მიმართულება სულერთი არ იყოს.
- M ვინ იცის.
- B გული გამიტყდა.
- A ჩემი ბრალი არასოდეს ყოფილა.
- M შენ სულ ბრუნდებოდი ხოლმე.
- B ახლა და მუდამ.
- A შენთვის უკვე აღარ ვიბრძოლებ.
- B ეს ხედვა.
- M ეს დანაკარგი.
- C ეს ტკივილი.
- A ეს დანაკარგი.
- B ეს შენაძენი.
- M ეს დანაკარგი.
- C ეს სინათლე.
- B შენი სიკვდილი ძვლებს გამომაცლიდა. ვერავინ  
ვერ მივხდებოდა, რატომ დავეცი.
- C შენგან გათავისუფლება რომ შემეძლოს,
- B გათავისუფლება რომ შემეძლოს
- M არა, ეგ არა,
- A არა, ნამდვილად არა,
- B სულ სხვა რაღაცის თქმა მინდოდა.
- A გული გავუტეხე, მეტი რაღა მინდა?
- C ეს ხედვა.
- M ეს სინათლე.
- C ეს ტკივილი.
- A ეს სინათლე.
- M ეს შენაძენი.
- B ეს სინათლე.
- C ეს დანაკარგი.
- B წრე ერთადერთი გეომეტრიული ფიგურაა, რომე-  
ლიც საკუთარი ცენტრით განისაზღვრება. ქათ-  
მის და კვერცხის ამბავს კი არ ჰგავს, ჯერ იყო  
ცენტრი და მერე წრენიერი. დედამინასაც, თავის-  
თავად ცხადია, აქვს ცენტრი. და მხოლოდ ამ ამ-  
ბის მცოდნე სულელს შეუძლია წავიდეს, სადაც  
მოესურვება, რადგან იცის, რომ ცენტრი მას დაი-  
ჭერს და ორბიტიდან ამოვარდნის საშუალებას არ  
მისცემს. მაგრამ თუ ცენტრის შეგრძნება დაგერ-  
ღვა და ზედაპირზე ამოქანდა, წონასწორობა და-  
კარგულია. წონასწორობა დაკარგულია. წონასწო-  
რობა ჩემო პატარავ დაკარგულია.
- C როცა ის წავიდა -
- B ცხოვრების ხერხემალი დამემსხვრა.
- A რისთვის ეძლევა სინათლე ტანჯულს
- C დააბრუნეთ.
- A და სულგამწარებულს – სიცოცხლე.
- B აქ რომ ყოფილიყავი -
- M მე აქ ვარ.
- A როგორც ზაფხულის მრუმე ჩრდილი.
- B მიყვარს მენატრება.
- C დავამთავრე.
- M გააგრძელე.
- C რატომ არ მოვკვდი დაბადებისას
- M რატომ დამცალდა გამოღწევა დედის საშოდან
- B რად არ გავთავადი
- A დანისლულმა იარე ჩრდილში.
- M ტკივილი ჩრდილია.
- A ჩემი ტყუილის ჩრდილი.
- C საუკუნეთა წითელი კლდეო
- B არა ხარ ცუდი ადამიანი, უბრალოდ მეტისმეტად  
ბევრს ფიქრობ.
- C დამმაღლე შენში.
- M შეძლებ
- C იზამდი



- B იზამ (?)  
M განაგრძე  
A ღმერთს გეფიცები მეტს აღარ ვიზამ.  
B ხმას თუ დაგკარგავ, დავამთავრებ.  
M ისევ აქ.  
E მაგრამ მე არა,  
C ამჯერად არა,  
B მე არა.  
C ჯერ არა.  
M თითქოს ელოდები თმა როდის გაგეზრდება.  
B *Estás astravesada como el día Miércoles.*  
C ასეთი ვარ. სულ რეცეპტში ვარ. ვერასოდეს ვწყნარდები, არც აქეთ ვარ, არც იქით, ერთი უკიდურესობიდან მეორეში ვვარდები.  
C საყვარლობა.  
A ერთი შეხებით.  
B ძაან მაგარი საყვარლობა.  
M იწერს.  
C სად გაქრა ჩემი პიროვნება?  
A რალა დროს ჩემი ეგეტებია.  
M ნაკლებად ვერ მეყვარებოდი.  
B მეტად ვერ მეყვარებოდი.  
M სრულიად გულწრფელად რომ გითხრათ,  
C (განა ოდესმე ვარ "სრულიად გულწრფელი"?)  
B მეტი აღარ გინდა.  
(ნამი-პაუზა)  
C ეს არასოდეს მომხდარა.  
(სიჩუმე)  
A ხანდახან, ექსტაზში მეშლება ის, რაც სინამდვილეში მხოლოდ უდარდებლობაა.  
M ნურაფრის გეშინია.  
B ყველაფერი ან არაფერი.  
C აქედან არცერთი,  
B აქედან ყველაფერი,  
M არაფერი.  
C ემოციების პლაგიატორი ვარ, ადამიანებს ტკივილებს ვპარავ, ჩემს ტკივილებთან ვაჯამებ სანამ არ  
A ვერ ვიხსენებ  
B ვისი  
C უკვე აღარ  
A იქნებ შენ არა გიშავს,  
C იქნებ მე ვარ ცუდი,  
A მაგრამ ღმერთმა კანის ნიშნით დამაჯილდოვა.  
C წონა.  
A არ ვიცი.  
M თარიღი.  
A არ ვიცი.  
B ბედისწერა.  
C არ ვიცი.  
A ეს სასჯელია იმისთვის, რომ თავს იზღვევდი.  
M უკან დაბრუნდი.  
B ისევ და ისევ.  
A მარადიული დაბრუნება.  
B ხმას თუ დაგკარგავ დამენძრევა.  
C თეფშზე მძლნერი. სახეზე ენთუზიაზმი თუ ვერ შეგატყო, საკუთარი დედა დაგგლეჯს.  
M ღამის კაცები შემოიყვანე.  
A ჩემს ცხოვრებაში არაფერია განსაკუთრებული,  
C სხვების არ იყოს, შემთხვევითი მოვლენების ნაკადი,  
A მარილიან ოკეანეში ჩამდინარე ნაკადი, რომელიც გნესტრავს, გნესტრავს, მაგრამ არ გკლავს.  
M შენ ჩემთვის მკვდარი ხარ.  
B სიყვარულის გამოვლენა.  
C შენ დედაჩემი არა ხარ.





A ჩვენ ბევრი რამ ვიყავით.  
B რალაცამ გაიტყუა.  
M მაგრამ არასოდეს ვიტყვით, რომ ოდესმე ერთმანეთი გვიყვარდა.  
B ვიპოვე  
A მიყვარდა  
C დაკარგე  
M დასასრული.  
(სიჩუმე)  
C რალაც აინია,  
A ქალაქგარეთ,  
B სანამ ეს სირობა დაიწყებოდა,  
A ქალაქის თავზე,  
C კიდევ ერთი სიზმარი,  
M გადავკვეთე მდინარე, ჩრდილში რომ მიედინება  
B In den Bergen, da fühlst du dich frei,<sup>vii</sup>  
M ერთი ნატვრა,  
C გრილი ზაფხული და რბილი ზამთარი,  
B არც ბრძოლები, არც წყალდიდობები,  
C სიბნელე მოსავს მონყვეტილ ვარსკვლავს,  
A გრძელი ღრმა ძილი როცა მკლავებში მყავხარ,  
B არავინ არაფერი უეჭველი,  
C შერწყმული მაგრამ არა გამქრალი,  
A მშვიდობა,  
M არსაიდან მომავალი მბჟუტავი ნათება,  
A ბაცი ოქროსფერი ზღვა ბაცი ვარდისფერი ცის ქვეშ,  
M შორეული ზარის ხმა ცარიელ ზღვას კვეთს,  
B ღრუბლები ერთმანეთს ერწყმიან როგორც ვხედავ სფეროზე ვარ,  
C ტალღებს ქვითინი პულსივით უცემს.  
(ნამი-პაუზა)  
B აქ ვარ, კიდევ ერთხელ, აქ ვარ, აქ ვარ, სიბნელეში, კიდევ ერთხელ,  
A არაფრის ზღვარზე  
B აქ ვარ.  
C ხელი მომიკიდე,  
A დიდება მამასა,  
M სიმართლე შენს უკანაა,  
B შენ გამო ამ ყველაფერს დავთმობდი,  
C სინათლისაკენ,  
A როგორც დასაბამიდან ყოფილა,  
C სიბნელის მიღმა,  
M და იქნება უკუნიით უკუნისამდე,  
B სინათლისაკენ,  
A საბოლოოდ მაინც ამას უბრუნდება,  
B დროის მოგება,  
A მე მიბრუნდება,  
M მაგრამ სინათლის დაკარგვა,  
A მაინც ამას უბრუნდება,  
C სქელი და მზინავი და მკვდარივით მკვდარივით უშფოთველი  
M მე ვერ გიშველი,  
A და სუფთა.  
C სხვა სიცოცხლეები  
B არცერთ ნაბიჯვარს არ შეუძლია.  
M ბურთივით მოკუნტული.  
A იხსენ სული ჩემი მახვილისაგან.  
B სიზმრად ვიღვიძებ,  
M მარტო.  
A რომელიც ყველა გონებაზე უზენაესია.  
C სიზმრებს უკვე ვეღარ ვხედავ,  
A სიზმრები არ მაქვს.  
B სინათლის მოპოვება,  
C გადავკვეთე მდინარე,  
M მაგრამ დროის დაკარგვა.

B შენ უარს ვერ გეტყვი.  
C გათავისუფლდე მეხსიერებისაგან,  
M გათავისუფლდე სურვილისაგან,  
C იყო შენთვის წყნარად, არაფერი გამოიწვიო,  
B არაფერი თქვა.  
A უჩინარი.  
C როცა სიზმრებიც კი არაა პირადი.  
B აჯობებს დაივიწყო.  
A უაზრო სიხარულის შემთხვევითი გამოხატულებები.  
M მდინარის პირას ისიცვარულე.  
ყველა დაივიწყე  
(ნამი-პაუზა)  
B გამაუპატიურე.  
(პაუზა)  
M ეს შესაძლებელია?  
C განვიკურნე სხეული, სულს ვერ ვმკურნალობ.  
A ისე დავიღალე.  
B სულ ვბრუნდები.  
M იყავი ის ერთადერთი.  
C დამაკარი და დამახატე და დამანებე სახეზე მხერა.  
B ჩემი ცხოვრება შავ-თეთრში და უკუღმა.  
M სრული.  
A ჰქმენ რაიცა გსურს – იქნება უზენაესი კანონი.  
M ახლა.  
A სიყვარული კანონია, ნების მორჩილი სიყვარული.  
C ვერაფერს ვერ ვგრძნობ, ვერაფერს.  
ვერაფერს ვერ ვგრძნობ.  
A სატანავ, ჩემო მეუფე, შენი ვარ.  
B (ჩუმად, გაბმულად, სანამ A მორჩება მონოლოგს)  
არა არა არა არა არა არა არა / არა არა არა არა  
არა არა არა არა არა  
A და ნუ გავიწყდებათ, რომ პოეზია თავისთავადი ენაა. არ დაგავიწყდეთ, რომ როცა განსხვავებულ სიტყვებს არსებობის უფლებას აძლევთ, დამოკიდებულებაც სხვანაირია საჭირო.  
თავდაჭერა არ დაგავიწყდეთ.  
თავდაჭერა არ დაგავიწყდეთ.  
(ნამი-პაუზა)  
B მომკალი.  
(ნამი-პაუზა)  
A თავისუფალი ვარდნა  
B სინათლისაკენ  
C კაშკაშა თეთრი სინათლისაკენ  
A უსასრულო სამყარო  
C შენ ჩემთვის მკვდარი ხარ.  
M დიდებული. დიდებული.  
B და უკუნიით უკუნისამდე  
A ბედნიერი  
B ისეთი ბედნიერი  
C ბედნიერი და თავისუფალი.

i ფული მარტო მოდის (ესპ.).

ii. (სერბ.-ხორვატ.) არც ჯიბეში მაქვს, არც ჯიბის გარეთ.

iii. (გერმ.) შენ ჩემი ცხოვრების სიყვარული ხარ.

iv. (ესპ.) კუდიანების კოცნები, მე რომ მკლავენ.

v. (სერბ.-ხორვატ.) მოგიტყან ცნობისმოყვარეობა.

vi. (ესპ.) ჰგავხარ ოთხშაბათ დღეს.

vii. (გერმ.) იმ მთებში, სადაც თავს თავისუფლად გრძნობ.



მაქს ფრიში

# აფთიაქარ ისიდორის ამბავი

გერმანულიდან თარგმნა მაია ფანჯიკიძე

„აფთიაქარ ისიდორის ამბავი“ ნაწყვეტია მაქს ფრიშის რომანიდან „შტილერი“, რომელსაც 2017 წელს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“ გამოსცემს. წიგნი სამ დამოუკიდებელ მოთხრობას შეიცავს, რომელთა საშუალებითაც რომანის ძირითადი მოთხრობელი და მთავარი გმირი ცდილობს პარაბოლურად ახსნას საკუთარი ცხოვრების ისტორია, რომლის გადმოცემაც სულ უფრო და უფრო შეუძლებელი ხდება, რადგან სუბიექტური რეალობა მნიშვნელოვნადაა აცდენილი იმ წარმოდგენებს, რომელიც მისი ცხოვრების შესახებ ჩამოუყალიბდა მის გარემოცვას.

მაქს ფრიშმა, რომელიც ქართველი მკითხველისთვის კარგადაა ცნობილი რომანებით „ჰომო ფაბერი“ და „ვიქნები თუნდაც განტენზიანი“, მსოფლიო აღიარება სწორედ 1954 წელს გამოსული „შტილერით“ მოიპოვა.



ისიდორი აფთიაქარი იყო, შესაბამისად, პატიოსანი ადამიანი, მაგრამ ფულსაც გვარიანად შოულობდა. რამდენიმე შვილი ჰყავდა და საუკეთესო წლებს ითვლიდა; აღნიშვნაც ზედმეტია, რომ ერთგული მეუღლე გახლდათ, მაგრამ მაინც ვერ იტანდა, სულ რომ ეკითხებოდნენ, სად დადიხარო. ეს მართლა აცოფებდა, ოღონდ ჩუმად, გარეგნულად არაფერს შეიმჩნევდა. ჩხუბად არც ღირდა, რადგან, პრინციპში, როგორც ვთქვი, ბედნიერი ცოლ-ქმრობა ჰქონდათ. ერთ მშვენიერ ზაფხულსაც, მაშინ ეს მოდაში იყო, მაიორკაზე გაემგზავრნენ და თუ ცოლის მუდმივ შეკითხვებს არ ჩავთვლით, რომელიც მას გულში აბრაზებდა, ყველაფერმა საუკეთესოდ ჩაიარა. ისიდორი მაშინვე ძალიან მოსიყვარულე ხდებოდა, როგორც კი არდადეგები ეწყებოდა. ლამაზმა ავინიონმა ორივე ძალიან მოხიბლა. ხელკავით დასეირნობდნენ. ისიდორი და მისი მეუღლე, რომელიც ძალიან სასიამოვნო ქალბატონად უნდა წარმოიდგინოთ, ზუსტად ცხრა წლის ცოლ-ქმარი გახლდნენ, როცა მარსელში ჩავიდნენ. ხმელთაშუა ზღვა ისე ბრწყინავდა, როგორც პლაკატებზე გინა-

ხავთ. და აი მაშინ, როცა მეუღლე უკვე მაიორკისკენ მიმავალ გემზე ასულიყო, ისიდორმა გაზეთის ყიდვა მოინდომა; ქალი გაბრაზდა, მაგრამ ხმა არ ამოუღია. შეიძლება, ისიდორი ცოტათი ცოლის ჯიბრზე იქცეოდა ასე, თავს რომ აბეზრებდა შეკითხვებით, სად მიდიხარო. ღმერთია მონმე, ისიდორმა ეს არ იცოდა; უბრალოდ, რადგან გემი ჯერ გასვლას არ აპირებდა, ქუჩას ტაატით გაუყვა, როგორც ეს კაცებმა იციან ხოლმე. როგორც გითხარით, ცოლის ჯინაზე მთლიანად ჩაეფლო ფრანგული გაზეთის კითხვაში და მაშინ, როცა მისი მეუღლე მართლაც ულამაზესი მაიორკისკენ გაემგზავრა, ისიდორს გაზეთიდან თავი არ ამოუყვია, სანამ აგუგუნებულმა საყვირმა არ შეაკრთო და უცებ არ მიხვდა, რომ საკუთარი მეუღლის გვერდით კი არ იყო, არამედ საკმაოდ ჭუჭყიან სატვირთო გემზე, რომელიც სავსე იყო ყვითელ ფორმაში ჩაცმული კაცებით და რომელსაც ასევე ასდიოდა ორთქლი. ამ დროს აუშვეს ბაგირები. ისიდორმა მხოლოდ იმას-ღა მოჰყრა თვალი, როგორ რჩებოდა შორს ნავსადგური. ვერაგი სიცხის ბრალი იყო თუ ფრანგი სერ-



ჟანტის მიერ ნიკაპში ნათავაზები მუშტის, ისიდორ-მა გონება რომ დაკარგა, ნამდვილად არ ვიცი; სამაგიეროდ, გავბედავ და დარწმუნებით ვიტყვი, რომ ისიდორს, აფთიაქარს, უცხო ლეგიონში უფრო მძიმე ცხოვრება ექნებოდა, ვიდრე მანამდე. გაქცევაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. ყვითელი ციხე-სიმაგრე, სადაც ისიდორი გამოანართეს, უკაცრიელ უდაბნოში იდგა, უდაბნოში მზის ჩასვლა ძალიან შეუყვარდა. რასაკვირველია, ხანდახან, როცა ძალიან

დაღლილი არ იყო ხოლმე, თავის მეუღლეზეც ფიქრობდა და ალბათ მისწერდა კიდევ წერილს, მაგრამ წერა აკრძალული ჰქონდათ. საფრანგეთი ჯერ კიდევ იბრძოდა თავისი კოლონიების შენარჩუნებისთვის, ასე რომ, ისიდორი იმდენ ადგილას მოხვდა დედამიწაზე, მანამდე რომ ვერც იოცნებებდა. მას, ბუნებრივია, ისევე დაავიწყდა თავისი აფთიაქი, როგორც სხვები ივინყებენ თავიანთ კრიმინალურ წარსულს. დროთა განმავლობაში ის ქვეყანაც






ალარ ენატრებოდა, რომელიც, საბუთების მიხედვით, მის სამშობლოს წარმოადგენდა. და მხოლოდ მის კეთილსინდისიერებას თუ მივანერო, რომ მრავალი წლის შემდეგ, ერთ მშვენიერ დილას ბალის ჭიშკარში შეაბიჯა წვერიანმა და გამხდარმა ისიდორმა, ტროპიკულ ქვეყნებში რომ ახურავთ, ისეთი ჩაფხუტი ილლიაში ამოეჩარა, რომ თავისი საკმაოდ უჩვეულო სამოსით მეზობლები არ აელეღებინა, რომელთაც ისიდორი დიდი ხნის მკვდარი ეგონათ. რასაკვირველია, ქაშარში რევოლვერიც ჰქონდა გაჩრილი. კვირა დილა იყო. მისი მეუღლის დაბადების დღე. როგორც უკვე მოგახსენეთ, მას მეუღლე უყვარდა, მერე რა, რომ ამდენი წლის მანძილზე მისთვის ერთი ბარათიც არ მიუწერია. ერთი წამით შეყოვნდა, თვალწინ იდგა მისი სახლი, ზუსტად ისეთი, როგორიც დატოვა, ბალის დაუზნებელი კარებიც ისევე ისე ჭრატუნობდა, როგორც ადრე. სახელურს ხელი მოკიდა და შეიცადა. ხუთივე შვილმა შორიდანვე დაიწყეს ყვირილი, მამიკო! თითოეული მას ჰგავდა რალაციტ, მაგრამ ყველანი შვიდი წლით გაზრდილიყვნენ და მათი შეხედვა ეუცხოვა. უკან დასაბრუნებელი გზა მოჭრილი იყო. და ისიდორმა შეაბიჯა, როგორც ნამდვილმა მამაკაცმა, რთულ ბრძოლებში გამობრძმედილმა და იმედი ჰქონდა, რომ მისი საყვარელი მეუღლე, თუკი იგი სახლში დახვდებოდა, ანგარიშის ჩაბარებას არ მოსთხოვდა. მინდორი გადაიარა, თითქოს არაფერი შეცვლილიყოს და ისევ თავისი აფთიაქიდან დაბრუნებულიყოს და არა აფრიკიდან ან ინდოჩინეთიდან. მეუღლე ენაჩავარდნილი იჯდა მზის ახალი ქოლგის ქვეშ. ისიდორს არც ის ძვირფასი ხალათი ენახა მანამდე, რომელიც მას ემოსა. მოსამსახურე გოგონამ - ესეც სიახლე იყო - უმაღლესი კიდეზე ერთი ფინჯანი წვერიანი კაცისთვის, რომელიც აშკარად და, ამავე დროს, უსაყვედუროდ, ოჯახის ახალ მეთაურად აღიქვა. აქ როგორ გრილაო, თქვა ისიდორმა და აკაპინებული სახელოები ისევ ჩამოიწია. ბავშვებს უბაროდათ მისი ჩაფხუტით თამაში, რაც, რა თქმა უნდა, უჩხუბრად ვერ ჩაივლიდა და როდესაც ახალი ყავა მოიტანეს, იდლია სრულყოფილი იყო - კვირა დილა, ეკლესიის ზარების ხმა და სადღესასწაულო ტორტი. მეტი რა უნდა სდომოდა ისიდორს! ახალი მოსამსახურე გოგონა, რომელიც დანა-ჩანგალს აწყობდა, ისიდორს სათვალავში საერთოდ არ ჩაუგდია და ცოლს მოეხვია. „ისიდორ!“ წარმოთქვა მქალმა და ალელგებისგან ყავის დასხმაც კი ველარ შეძლო, ასე რომ, ამის გაკეთება წვერიან სტუმარს თავად მოუხდა. „რა იყო?“, ჰკითხა მან ნახად და მასაც შეუვსო ფინჯანი. „ისიდორ!“, გაიმეორა ქალმა და თვალზე ცრემლი მოადგა. ისიდორი ცოლს ისევ მოეხვია. „ისიდორ!“, ჰკითხა მან, „სად იყავი ამდენ ხანს?“ კაცს ერთი წუთით გონება დაეხინდა. ფინჯანი დადგა; ოჯახურ ცხოვრებას გადაჩვეოდა, ვარდის ბუჩქის წინ წამოიმართა, ხელები შარვლის ჯიბეებში ჩაეყო. „რატომ არასდროს მომწერე ერთი ბარათი მაინც?“ ჰკითხა ქალმა. ისიდორმა გაოგნებულ ბავშვებს უსიტყვოდ გამოართვა თავისი ჩაფხუტი, ჩვევაში გადასული განაფულობით ერთ წამში მოირგო თავზე, რაც, ალბათ, წარუშლელ შთაბეჭდილებას დატოვებდა ბავშვებზე - მამიკო ჩაფხუ-

ტით და რევოლვერის ბუდით - და ეს ყველაფერი არა მარტო ნამდვილი იყო, არამედ ხმარებისგან აშკარად გაცვეთილიც და როდესაც მეუღლემ წარმოთქვა: „იცი რა, ისიდორ, ასე მართლა არ უნდა მოქცეულიყავი!“, ისიდორს უკვე ყელში ამოსვლოდა მშობლიური კერა, უცებ ამოიღო რევოლვერი ქაშირიდან (ესეც ალბათ ჩვევაში გადასული განაფულობით, ასე მგონია) სამჯერ ესროლა ფუმფულა, ჯერ კიდევ ხელუხლებელ და ბეზეთი მორთულ ტორტს შუაგულში. ალბათ წარმოგიდგენიათ, როგორ მოითხვრებოდა იქაურობა. „ისიდორ!“, იყვირა მეუღლემ, მისი ხალათი თავიდან ბოლომდე ნაღების შეფეებით იყო მოწუნული, და რომ არა უმანკო ბავშვები, რომელთა თვალწინაც გათამაშდა ეს სცენა, ქალს მთელი ეს ვიზიტი, რომელიც, ალბათ, ათ წუთს ძლივს თუ გაგრძელდა, ჰალუცინაცია ეგონებოდა. ხუთი შვილით გარშემორტყმული ქალი ნიობს გავდა, მან მხოლოდ ისლა დაინახა, როგორ გავიდა ისიდორი, უპასუხიმგებლო ისიდორი, დინჯი ნაბიჯით ჭიშკარში, თავზე ის აუტანელი ჩაფხუტი ეხურა. ამ შოკის შემდეგ საბრალო ქალს ტორტის დანახვა აღარ შეეძლო, რომ ისიდორი არ გახსენებოდა. ამ მდგომარეობამ ძალიან დაასაწყლა და ჯერ ერთმა და შემდეგ უკვე რამდენიმე ადამიანმა ერთხმად ურჩია განქორწინება. მაგრამ ამ მამაც ქალს ჯერ კიდევ შერჩენოდა იმედი. ვინ იყო დამნაშავე, ხომ ისედაც ცხადი იყო. მაგრამ ჯერ კიდევ შერჩენოდა იმედი, რომ ისიდორი მოინანიებდა. მხოლოდ თავისი ხუთი შვილისთვის ცხოვრობდა, რომლებიც ისიდორისგან ჰყავდა და ახალგაზრდა ადვოკატს, რომელიც არცთუ პირადი დაინტერესების გარეშე სტუმრობდა და განქორწინებას აჩქარებდა, პენელოპესავით ერთი წელი ახლოს არ იკარებდა. და მართლაც, ზუსტად ერთი წლის შემდეგ, ისევ მის დაბადების დღეზე, ისიდორი კვლავ დაბრუნდა, ჩვეულებრივ მიესალმა, ჩამოჯდა, აკაპინებული სახელოები ჩამოიწია და ბავშვებს ისევ მისცა უფლება მისი ჩაფხუტით ეთამაშათ, ოღონდ ამჯერად, სიამოვნება, რომ ბავშვებს მამიკო ჰყავდათ, მხოლოდ სამი წუთი გაგრძელდა. „ისიდორ!“, ჰკითხა მეუღლემ, „ახლა სადღა იყავი?“. ისიდორი წამოიმართა, მადლობა ღმერთს, აღარ უსვრია, არც უდანაშაულო ბავშვებისთვის გამოურთმევია თავისი ჩაფხუტი, არა. ისიდორი მხოლოდ წამოდგა, სახელოები ისევ აიკაპინა, ბალის ჭიშკარში გავიდა და აღარასდროს დაბრუნებულა. განქორწინების ქალაქის მისმა საწყალმა მეუღლემ აუცრემლებლად ვერ მოაწერა ხელი, მაგრამ რა გაეწყობოდა, ისიდორი კანონით დადგენილ ვადაში არ გამოჩენილა, მისი აფთიაქი გაიყიდა, მეორე ქორწინება თავშეკავებულ ვითარებაში მიმდინარეობდა და კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ სამოქალაქო ბიუროშიც გაფორმდა. მოკლედ, ყველაფერი თავისი დინებით მიდიოდა, ეს კი მოზარდი ბავშვებისთვის მნიშვნელოვანი იყო. პასუხი კითხვაზე, სად ატარებდა მამიკო სააქაოში დარჩენილ სიცოცხლეს, ბავშვებს არასდროს მიუღიათ. არც ბარათი. დედიკოს არც უნდოდა, რომ ბავშვებს მამიკოს ამბავი ეკითხათ; მასაც ხომ არასდროს ჰქონია მამიკოსთვის რაიმეს კითხვის უფლება...



ივა ფეხუაშვილი

# ბატონი



## პირველი თავი

ქორწილი ძალიან კარგი ადგილია ახალი ამბის და-  
საწყებად და ამიტომ -

ეხლა რას აკეთებო? - ტულუტის რიგში შევხვდით  
ერთმანეთს. დიდი ხნის უნახავი კურსელები ვიყავით.  
იმას ახსოვდა, რომ მე მწერლობა მინდოდა, მე მახ-  
სოვდა რომ კონფორმისტი იყო, ამიტომ არასდროს  
გვიმეგობრია, მაგრამ ქორწილი ქორწილია, უნდა გაი-  
ლიმო და ტულუტის რიგი კიდევ ისეთი რამეა, სადაც  
საუბარს ვერ გაეჭევი და -

რაღი, გამომცემლობაში ვარ მეთქი  
ნეერ ისევო?

არა, აღარ... რაღი ხანდახან, მაგრამ უფრო რედაქ-  
ტორი ვარ, შენ რას აკეთებ-მეთქი?

ჩაელიმა. იმასთან ვმუშაობო...

ვისთან იმასთან მეთქი? - თავით ზემოთ მანიშნა, -

იმასთანო რა... ბატონთან ხო აზზე ხარო

ვინ ბატონთან-მეთქი?

ე ბიჭო რა დაგემართაო, ისევ ზემოთკენ მანიშნა  
თავით... ბატონთან რაო...

აააა, აა. ბატონთან-მეთქი?

ხოო! - გაეცინა

აგინყვია ცხოვრება-მეთქი...

ყველას ეგეთი წარმოდგენა აქვსო

რა, ეგრე არაა რო-მეთქი

მამენტ ეგრეაო

და რას აკეთებ, იქ იმასთან, ბატონთან-მეთქი

ნიპა, მოურავი ვარო

ამ დროს ვიღაცამ ურიგოდ სცადა ტულუტში შეს-  
ვლა და ლამის დედის გინებით გავაბრუნეთ უკან...

იზვინინე ბრაცცი, მეგონა პროსტა ბაზრობდი-  
თო...ვისი მხრიდან ხართ თქვენო?

მე სამსახურის პონჩი ვარო - მოურავმა



მე გოგოსი-მეთქი  
მარიკრუხასი? მაგას შემოვევლე, ძაან გოგოა, ძა-  
ანო... მე გიუშკის ბავშობის ბრადი ვარ, ლუკაო - ხელი  
ჩამოვართვით. სასიამოვნოა, მაგრად გამისწორდა  
თქვენი გაცნობაო... - მერე ორი წამი იწრიალა და  
ვინ არისო შიგნით?  
მეთქი-აზრზე არ ვარ  
დიდი ხანია შესულიაო?  
კი-მეთქი  
რას შვება მერე ამდენი ხანი ხომ არ ღადაობსო?  
ხოდა, სწორედ მაშინ გაიღო კარები და ვილაძე მო-  
ხეული ბიძა გამოვიდა, მურტლად შეგვათვალეირა, აშ-  
კარად გაიგო მასზე რომ ვლაპარაკობდით, თვალებით  
დაგვიბღვირა და ხელსაბანთან წავიდა  
ამან, გიუშკის ბრადმა, ჯიბიდან ხელსახოცი და-  
აძრო გადაშალა და მოსანევი გვანახა  
ხომ ყველას გვევასებაო?  
მეთქი რატომაც არა  
მოურავმა არა, არა სამსახურის პონჩი დამერხევა,  
ეგ კი არა სიგარეტსაც დავანებე თავიო  
რა პონჩი მეთქი?  
კაროჩეო რა!  
ჰა მოვწითოთ?  
მეთქი დავაი  
მოურავმა, ცოტა ხანი იყოყმანა და მერე - მოვწი-  
ოთ მაგის დედაც ვატირე, ვინ გაიგებსო.  
იმ მოხეულმა ჯიგარმა სარკიდან უცნაურად გა-  
მოგვხედა, აბა რა იქნებოდა, სამი კაცი ერთ კაბინაში  
ვეჭყეყებოდით...

მოვწით. გიუშკის ბრადი ისევე უცბად გაქრა, რო-  
გორც გაჩნდა. მოურავმა კიდე, იზვინი მეც ჩემებთან  
უნდა მივიდე და მერე გნახავო. ძალიან კარგი, არ მიყ-  
ვარს მოწეულს, ათას კაცთან ფიქრის გაყოფა. ჩემი  
მაგიდისკენ გავბლაყუნდი. მაგარ სტრანს კამანდაში  
ვზივარ, აი მშობლები რომ ძალით აპატიჟებინებენ, იმ  
სტუმრების მაგიდაზე მოვხვდი. ხოდა როგორ გინდა  
საერთო ენა გამონახო ადამიანებთან, რომლებიც შენ-  
ზე უფრო შორეული ნათესავები და შენზე უფრო უფ-  
როსები არიან, თან ამ ყველაფერთან ერთად ესეთი  
შორეული სანათესაოს მაგიდებს რაღაც ლუზერული  
სუნი ასდის, სულ რომ მზეჭაბუკი იყო, ქორწილის არც  
ერთი ნაშა ყურადღებას არ მოგაქცევს, არადა ქორწი-  
ლის ნაშები ძალიან კარგი და საინტერესო ფენომენია,  
ქორწილის ნაშები ის გოგოები არიან, რომლებიც მხო-  
ლოდ ერთი ღამით, მხოლოდ აქ და ახლა, მხოლოდ  
პირველი ხუთი ჭიქის მერე არიან სექსუალურები და  
სანდომიანები, მერე მეორე დღით ეს შირმა და მაკი-  
აჟის გოგრის ეტლი ინგრევა და ხელში ცერა თითზე  
გახეულ ჩულქიანი კონკია გრჩება. ეგრეა, ქორწილის  
ყველაზე ძერსკ გოგოებს, მოკლე კაბებით, მოტყევი-  
ლი ტყავის შარვლებით, ოდნავ დეკოლტით, ფუშ აფით,  
ოცდასამ სანტიმეტრზე შელაგებული, კასოი ფეხე-  
ბით, ტონა მაკიაჟით, მარიაჟით და იმის იქით რომ არ  
არის იმის იმით, ევრსაჩეთი, მანვლით, ლუი ვუტონით,  
თვალის წენით, ნიკოფსიიდან დარუბანდამდე ტუჩე-  
ბით და ტუჩებზე საცხით, მილიონ დოლარ ბეიბეეე...  
ჰაკო რაბანით, და დოლჩეთი და მან ივო გაბანათი,  
მაია მულატკაზე ცეკვის მერე, ქუსლიდან ბალეტკებ-  
ზე გადასვლის დროს, სამი ხაჭაპურის და ორი კოვზი  
ხიზილალის შემდეგ, ისევე ეტყობათ მუცლები, რო-  
გორც გლდანის შაურმის კლიენტებს, ტაქსისტებს, მუ-  
შებს და ზოგადად ჯიგრებს, მშრომელ ხალხს...

ასწორებს ქორწილები, ყოველდღიურობიდან ამო-

ვარდნილი პონტია და ჩემს დავინტროებულ რეალობა-  
ში რაღაც ახალი შემოაქვს, ადრე მოთხრობაც მაქვს  
დანერვილი ქორწილზე და თამადაზე, ეხლა აღარ ვწერ,  
მაგრამ ისევ ვაკვირდები და რომ აკვირდები და ფიქ-  
რობ, უცნაურ რაღაცეებს გამოკრავ ხოლმე ხელს. მა-  
გალითად, ყველაზე გადამკვდარი მოგონილი ტიპიც  
კი ვერ ქაჩავს ქორწილის ბოლომდე თავის მოგონილი  
მონოსპექტაკლის თამაშს. ღამის კლუბის, აუ ბაბუ ძა-  
ან გასული ვარ კამანდა, იგივე წარმატებით ერთობა  
საქორწილო ბენდებზე, როგორც ბერლინელ დიჯეი-  
ზე. ეგრეა, არავის უნდა თავის სპექტაკლის თამაში  
თუ მაყურებელი არ ყავს და ქორწილში კიდე მაყურე-  
ბელი ეგეთ ტიპებს არ ყავთ. ეგრეა! ეგრეა რა, მეინ-  
სტრიმთან მეზრძოლი ტიპები, ახალ მეინსტრიმს ქმნი-  
ან, რომელსაც თავის მხრივ სხვა მეინსტრიმთან მეზ-  
რძოლი ტიპები სხვა მეინსტრიმით ეზრძვიან, ქორწი-  
ლი კიდე ყველა მეინსტრიმის დედა, მამა და ბადრი  
მთვარეა, ისეთი ტრუხა ბისკვიტი და ისეთი დიდი კი-  
ჩია, რომ აქ სხვა სპექტაკლების ადგილები არ რჩება,  
ხოდა ამ მოგონილ ტიპებსაც, თუ ტვინი ყოფნით, თავის  
ფსევდოობის ნეტარ ნილაბს იხსნიან და გულაო-  
ბენ, ხოდა რომ გულაობ, უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს  
ბროდსკიზე ხარ გაზრდილი თუ ვარსკვლავებით მო-  
ჭედილი უძირო ცა ან სულაც საკუთარი ზნეობრივი  
მორალი გაკვირვებს, იმიტომ, რომ ვაგონი მიქრისაა  
ჩართული და შენც ჩუქუ ჩუქუ მატარებელში ხარ ჩაბ-  
მული...

ბიჭო ეს რა იყოო?

რა-მეთქი?

ძაან ცუდად ვარო, იმათმაც იმდენი კითხვა და-  
მისვეს, რომ მაგრად დავიზმენდი, არ დამწვან-მეთქი,  
ხო იცი მერე ენას მიიტანენ და კაროჩეო

დამშვიდდი, დაჯექი ვაფზე ვიზე ან რაზე ბაზრობ  
მეთქი

კაროჩეო, ამათმავო რა, ნეფე-დედოფალმა ან რავი  
დედამისმა და მამამისმა ბატონი და რამოდენიმე კაცი  
დაპატიჟესო რა, ხოდა ბატონი იასნა არ დადის ესეთ  
ადგილებში, ეგ ამათმაც იციან, მაგრამ ისიც იციან,  
რომ არდაპატიჟება არ გამოდის და ამიტომ პატიჟე-  
ბენ ხოლმეო, ბატონი რომ ვერ მოდის იასნა, ჩვენ გვაგ-  
ზავნიანო.

თქვენ ვინ ხართ-მეთქი

მეო რა და რამოდენიმე ბატონთან დაახლოებული  
პირიო რა

ზედა ეშელონებში ხარ-მეთქი

ტი შტოო. რას სვამო?

რავი ღვინოს მეთქი

დაიკიდე, წამო ბარში ჩვენთვის კაი კონიაკია გა-  
დადებულიო

მართლა კარგ კონიაკზე დამპატიყა.

ესაო, ბატონისა არისო, იასნა ყველა ბოთლში ესე-  
თი ისკარგე არ ასხია, ეს სპეციალურია, სპეციალური  
ხალხისთვის და სხვას რა შესვდება იგივე ფასში და  
იგივე ბოთლში მაგაზე ჩვენ არ ვიდარდოთ მე და შენ  
გაგვიმარჯოს მე ჩემს საქმეში და შენ შენსაშიო.

გაგვიმარჯოს-მეთქი

ესტანო, რაო რას ვარედაქტირებ იმ ჩემს გამომ-  
ცემლობაშიო?!

ბიოგრაფიებს-მეთქი - უაზრო გამომეტყველებით  
რომ შემომხედა მანდ განვმარტე - ნაპოლეონი, ბით-  
ლზი, ჩარლი ჩაპლინი, დაჟე იაოანე პავლე მეორეს ვებ-  
რძეი ეხლა, ცნობილი ტიპების ბიოგრაფიების სერია  
გვაქვს-მეთქი - ისევ იგივე ჩამოკიდებული მზერით



მიყურებდა

ანუ ამათი ცხოვრება და მოღვაწეობა-მეთქი  
გავიგე, უბრალოდ სხვა რაღაცაზე ჩავეფქრდიო  
რაზე-მეთქი?

დაიკიდე, დაიკიდეო...

ცოტა ხანი კიდევ ვსვამდით, მერე მოურავის ბრა-  
ტები, კარგ კოსტუმებში გამოწყობილი, კარგსუნინი  
ტიპები მოვიდნენ და ჩვენო, ჩვენდათავად წავედით,  
რომ რეკლამებიდან გადმოსულ, ჩვენს ლამაზ ცოლ-  
შვილებს მივხედოთ, და შენ რას იზამ თუ კაცი ხარ ეგ  
გვითხარიო, ამან, ჩემმა მზემ, საცა თქვენ იქაც მე, აქ  
არ დამტოვოთ, მეც თან წამიყვანეთ, თქვენი ლამაზი  
და ახალი მანქანებით, მე ჩემად, ჩემსაზე ვერ დავ-  
ჯდები, სასმელმა მაჯობა და სადმე ხათაბალასაც გა-  
დამყრისო. წამოდი, წამოდიო, იმათმა, მხარზე ხელის  
მეგობრულად დატყაპუნება რომ იციან და სინამდვი-  
ლეში კი ახალ მაჯის საათებს რომ ამარიაყებენ მაგ  
ჟესტით, ხოდა მოურავიც სტუდენტობის დროს იყო  
კონფორმისტი და ამ საათების მოყვარული და ახლა  
რა ღმერთი გაუწყნებოდა, რომ არ გაყოლოდა. გაყვა  
კიდეც. გაყვა იქ, სადღაც უკეთეს და ისეთ ქალაქში,  
სადაც ასფალტებიც კი უფრო სწორია.

მე კი დავრჩი დედოფლის შორეულ ნათესავებსა  
და ნონ კონფორმიზმს შენიშულ უკეთეს ცხოვრებაზე  
ფიქრებს შორის და ვწრუპავდი და ვდარდობდი ისე-  
თებზე, ალკოპოლს რომ მოყვება და მეორე დღეს ისევ  
ისე რომ შელაგდება ყოველდღიურობის სარდაფში,  
გეგონება შენი ნაწილები არ იყოს და მასთან ერთად  
არ გეთამაშოს ბავშვობაში და, გეგონება აი, ამ სიმ-  
თვრალეს მოყოლილ ფიქრებს ბავშვობის სამთვლიანი  
ველოსიპედის გემო და სუნი არა ჰქონდეს.

ე, ამ ფიქრებს კარგა ღრმად შევყვებოდი და კიდევ  
ცოტა ხანს ვიფიქრებდი იქნება და მეც სადღაც მოვ-  
ლუნულიყავი, რომ უკეთ მეცხოვრა-მეთქი, რომ არა  
გიუშკის ბრატი, ლადო, ხო, ლადო ერქვა მემგონი. ხო-  
და ეგ ლადო მოვიდა და რაო, რათ ზიხარ ეგრედ მონყე-  
ნით, წამო, ორი ისეთი გოგო მყავს ავადებული ე მაგათ  
ბუნებრივ გაზებსაც კი პუდრის სუნი აქვსო.

მერე იყო და გოგოები იცინოდნენ, მერე იყო და მე  
და ლადო ვიცინოდით, მერე აღმოჩნდა, რომ ლადოს  
ცოლი ყავს და ე, ამ გოგოების მასთან მიყვანა არაფ-  
რით იქნებოდა, ანუ აღმოჩნდა, რომ ლადო მეტად ცუ-  
დი კაცია, მაგრამ მე აღმოვჩნდი მეტად კარგი და ამა-  
დროულად ბინიანი კაცი და მერე ის იყო, რომ ე, ამ  
გოგოებიდან ერთ-ერთი კაბინეტის მაგიდაზე იოანე  
პავლე მეორეს ჯერ კიდევ გადასათეთრებელ ფურ-  
ცლებზე მივანვინე და მერე იყო და... და მერეც ბევრი  
რამე იყო...

## მეორე თავი

დილაა და თავის ტკივილია, ამ გოგოს სახლიდან  
როგორღაც გასტუმრებების მცდელობაა, ყავა მაინც  
დამალევიან და ჯინსზე გადასხმული რქა. ბებიამა-  
გისისამ, ლატეს გარდა სხვას არაფერს სვამს და კარ-  
გი ბიჭი ხარ შენო, მაგის თქმაა, ჩაის შეფუთვაზე ტე-  
ლეფონის ნომრის დატოვებაა, დამირეკეო და სამსა-  
ხურში დაგვიანებაა.

სამსახური კიდევ ის ადგილია, სადაც, რომ არ გიყ-  
ვარს იმას გაკეთებინებენ და სამსახური ის ადგილია,  
სადაც, რომ დირექტორს ჩიპების და ეგეთების ეშინია  
და ამიტომ იმის მაგივრად, რომ კარზე მიაწკაპო მხე-  
ცის ნიშანი და ამაყად აღნიშნო, აჰა ჩემმა მზემ დღე-

საც დავაგვიანეო, ეზოში ფეხაკრეფით შესვლაა, მან-  
ქანაში ორნიტოლოგის მოთმინებით და დიდი ბინოკლ-  
ბლოკნოტით შეიარაღებულ დირექტორის როგორმე  
დასხლექტაა... მაგრამ, დირექტორი ორნიტოლოგთან  
ერთად დიდი ძმაცაა და არაფერი გამოპარვია და არც  
არაფერი გამოეპარება და ამიტომ, ეს ერთი დაგვიან-  
ება ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ბედნიერებასთან ერ-  
თად, ერთი თვის ხელფასის ათი პროცენტის დაკლე-  
ბაცაა.

შენო ამ თვეში მესამედ იგვიანებ და გექნება რამე  
საპატიო მიზეზი და ეგებ მეც გამაგებინო - კაცს  
სწერვობა არ უხდება მე თუ მკითხავ, მაგრამ კაცია კი  
ჩემი დირექტორი? კი ვუპასუხებდი, ლამეს შენი უნი-  
ჭო მთარგმნელების, გუგლ თრანსლექსიითდან ნათარ-  
გმნების გადასწორების და იოანე პავლე მეორეს და  
ეგეთების ბიოგრაფიის თავიდან დაწერის გამო ვათე-  
ნებ და მაგიტომ ვაგვიანებ-მეთქი, მაგრამ ეგ დღეს მა-  
ინცდამაინც ზუსტი პასუხი არ იქნებოდა და თან პახ-  
მელიის მწვანე ღრუბელი ისე მურტლად მედო თავზე,  
რომ ფიქრების სიტყვებად გადაკონვერტირებას, მა-  
დონაზე ბიოგრაფიული სამტომეულის დაწერა მერ-  
ჩვენა.ამიტომ ბოდიში, მეტჯერ აღარ განმეორდება-  
მეთქი წავილულულე და გავჩუმდი.

ჩემნაირი გაჩუმებული ხალხი ქმნის დირექტორის  
რეპუტაციას. სიჩუმით ნაქნებული ეს იმბეცილი, ოთა-  
ხიდან-ოთახში მათრახით დადის და მტრისას, თუ რა-  
მე უმსგავსობაში შეგამჩნია, იმდენჯერ და იმდენს ჩა-  
მოგაჭრის ხელფასიდან, რომ თვის ბოლოს აქეთ მო-  
გინევს ფულის მოტანა, მაღლოების ნიშნად, რომ აქ,  
ოცნებების, ნერვების და თავმოყვარეობის სასაკლა-  
ოზე გამუშავენ, გცლიან და გტოვებენ ადამიანის  
ფიტულს, სულის გარეშე, გტოვებენ ცარიელს და დამ-  
ცირებულს, რომელიც, ოღონდ სამსახურიდან არ გა-  
აგდონ და კიდევ ცოტას გაუძლებს, კიდევ ცოტას, კი-  
დეც ცოტას, სანამ რამე ახალი და უკეთესი არ გამოჩ-  
ნდება, ახალი კი არადა არ ჩანს, იმიტომ, რომ არ არის,  
იმიტომ, რომ რაც ახალია, ისიც იგივეა, იმიტომ, რომ  
ჩემი დირექტორი მარტო ჩემი დირექტორი არ არის  
და ყველა დირექტორი დირექტორია და ამიტომ გი-  
წნევს მოთმენა, გაძლება, რომ არ მოგისროლონ, არ გა-  
დაგაგდონ და იყო იქამდე, სანამ შენს ფიტულსაც კი  
ჩრჩილები არ შეჭამენ და სანამ შენზე არ იტყვიან, რომ  
ამას ვადა გაუყიდა, აღარ ვარგა, გამოსაცვლელია,  
ბრაკი იყო, ქარხნული წუნი ქონდა და იქნება და გა-  
დაგვიცვალოთ რამეშიო... და ვერ გადაგცვლიან? გა-  
დაგცვლიან რომელია, შენს ადგილას ათი მოვა, გგო-  
ნია ვინმე დააძალებს? თავის ფეხით მოვლენ! თავის  
ფეხით მოვლენ და თავისივე ნებით გადაილუნებიან  
და იქნებ ნაიკუზონ კიდევ თუ საჭირო გახდა, იმიტომ,  
რომ სამსახურია და იმიტომ რომ ასე, ნელ-ნელა სიკ-  
ვდილში გიხდიან მაინც და თუ ნელ-ნელა და უშუშევა-  
რი არ მოკვდი, გარეთ უხელფასოდ დარჩენილი ერთი-  
ანად და მოცელვით მოკვდები, როგორც სხვა ათასი  
მომკვდარა და როგორც სხვა ათასი მოკვდება და ეს  
კიდევ მეუბნება -

დღეს საღამომდე მინდა პირველი ათი თავიო

სულ თორმეტი თავია წიგნში, საღამომდე ათი რო-  
გორ მოგცეთ-მეთქი

არ ვიცი ეგ შენ მოიფიქრეო

ეგრე არ გამოვა-მეთქი

რამე პრეტენზია გაქვსო?

კი! ეგრე არ შევთანხმებულვართ, კვირის ბოლოს  
უნდა ჩამებარებინა წიგნის ნახევარი მეთქი



მერეო?

მერე, სამშაბათია და ნახევრის მაგივრად მთელ წიგნს მთხოვთ-მეთქი

ეგ ჩემი ბრალი არ არის რომ ამ წიგნში მხოლოდ თორმეტი თავია, გაიხსენე აბა ოდესმე ჩამიბარებია ექვსი თავი? სულ ათ-ათ თავს ვიბარებო

მეხუმრებით-მეთქი?!

მემჩნევო? - არ ემჩნეოდა, ესეთი ტიპები მხოლოდ მაშინ ხუმრობენ, როდესაც დარწმუნებული არიან, რომ მათ ხუმრობაზე ყველა გაიცინებს, იმიტომ კი არა, რომ სასაცილოა, იმიტომ რომ ისინი ამბობენ.

ვერც მოატყუებ შობელძალს, რომ ნახევრად გადარედაქტირებული შეაპარო. ყველაფერს გიჟივით კითხულობს, რა ესმის ეგ ცალკე თემაა, მაგრამ კითხვით კითხულობს, თან ამ ბიოგრაფიების ამბით ძალიან აღფრთოვანებულია, მისი იდეა იყო, ტოპ ორმოცდაათიც თავად შეარჩია, ყნოსვა კარგი აქვს ოხერს, რასაც თვითონაც დიდი სიამოვნებით წაიკითხავდა, ის ყველაფერი კარგად იყიდება ამ ქვეყანაში.

ბოლმას და გულის რევას ძლივს ვიკავებდი. აშკარად ზედმეტი მომივიდა გუშინ და უფრო ზედმეტი მოუვიდა ჩემს დირექტორს დღეს. ცალ-ცალკე ზედმეტის მოსვლა კიდევ ასატანია, მაგრამ ერთ კოქტეილში ძალიან ცუდი პონტია. ოფლად ვიღვრებოდი და თავბრუ მეხვეოდა.

ამ ყველაფრის მიუხედავად, შუადღემდე მაინც რეაქტიულ რეჟიმში ვიმუშავე. შანსი არ იყო, ვერაფრით მოვასწრებდი ათი თავის რედაქტირებას, ეგ დირექტორმაც იცოდა, მთავარია, რაც შეიძლება მეტი მომესწრო, მერე სანამ ეს გადათეთრებულ ნახევარს წაიკითხავდა, მე მეორე ნახევარს დავანევი და ვიცხოვრებდით ესე ტკბილად და ბედნიერად...

რომ არა უცნაური შემთხვევა ფოიეში...

საითო? - ისეთი ტონით მკითხა, გეგონება ის იყო ჩემზე გაბრაზებული და გეგონება მე მივეცი წარმოუდგენელი დავალება.

შესვენებაზე გავდივარ-მეთქი - ლიფტთან წამასწრო, ორი ლუკმა რომ არ მეჭამა სული გამძვრებოდა შესვენების დრო გაქვს საქმე თავზე გაყრიო მშიერ კუჭზე არაპროდუქტიული ვარ-მეთქი ეეეჰო, მე კიდევ შენთან დაკავშირებით რამხელა გეგმები მქონდაო - ტიპი რა ნაგლია, უტიფარი, მატყუარა!

რამხელა-მეთქი?

დიდო - ლიფტში შევედი

ეგ როდის, პირველივე თვეს რომ ჩამომაჭერი ხელფასი თუ მაგის მერე-მეთქი

დღეს რაღაც შენს თავს არ გავხარო - დიდი სიამოვნებით მივახლიდი, რომ პირიქით, ამდენი ხანი არ ვგავდი ჩემს თავს და უფრო მეტად დავემსგავსებოდი, თუ მაგ ბავშვის ტრაკივით ფითქინა და ფაფუკ სახეს გავუერთიანებდი, მაგრამ ლიფტი იქამდე გაჩერდა, სანამ მე ფიქრებს თავი მოვუყარე. ფოიეში გამოვედი, კარისკენ დავიძარი, როცა უცებ შემაჩერა საითო?

საცხოხში გავდივარ-მეთქი

ბუფეტს რას უწუნებო? - ეს ბუფეტიც ბიოგრაფიების არ იყოს, მისი იდეაა, თითონ ყოველდღე აქ ჭამს და სხვებსაც აძალებს ხოლმე. ბუფეტში კიდე ყოველთვის საშინელი საჭმლის სუნი დგას, ჯიგარმა გამწოვებზე ფულის დახარჯვა არ მოინდომა, საჭმელი ამის შიშით გემრიელია, მაგრამ სუნი?

სიგარეტიც საყიდელი მაქვს-მეთქი, მოვიტყუე.

წამო, წამო ერთად ვჭამოთ და უკანა გზაზე იყიდო, თან დღეს ჩახოხილი დავაბარე, თითებს ჩაიკვნეტ ისეთი გემრიელიაო - ნეტავ თვითონ არ უქმნის ის სუნი დისკომფორტს? არ წუხს, რომ ბუფეტიდან ამოსული საშინლად ყარს? მაგრამ თვითონ დირექტორია, ფეხებზე არ კიდა? კიდა! ხელზე ხელი მომკიდა და ბუფეტისკენ ძალით წამატორია, კარი გამოალო თუ არა, ის საშინელი, შვიდჯერ ნახმარი ზეთის ყოვლისმომცველი, ყველაფერში შემღწევი და კანზე ტკიპასავით ჩამჯდომი სურნელი გამოვარდა. ეს სუნი თუ აიკიდე მტრისას, ტანსაცმელს ქიმწმენდის გარეშე ვერ უშველი... ეგ კი არა, ჩვენმა ერთ-ერთმა თანამშრომელმა მოყვა, ბუფეტის მერე ისე ყარდა ჩემი ტანსაცმელი კიევეური კატელეტის სუნად, რომ საღამოს სახლში დაბრუნებულს ქუჩის მანანწალა ძაღლები ამეკიდნენ, დაგლეჯას ძლივს გადავურჩიო.

მთელი დღეა გულისრევას ვიკავებდი, ამ სუნს უკვე ვეღარ გავუძლებდი, პირველივე კოვზ ჩახოხილზე ამოყოფდნენ თავს გუშინდელი ლამის ცოდვები, უვაზე ლვინო, კონიაკი, ნეფე-დედოფლის, დედამიშვილების და მიცვალებულების სადღეგრძელოები... მაგრამ მიცვალებულებზე ნუ გავჩერდებით და აქვე ვთქვათ, რომ ცალი ფეხით უკვე ბუფეტში ვიყავით, როდესაც ფოიეს კარი მოურავმა შემოაღო. დავინახე, დამინახა და შორიდან მივესალმე. დირექტორმა აღმაცერად გახედა ჩვენკენ მომავალ მოურავს, ხელი გამიშვა და ისე წამოიჯგვმა, როგორც ეზოს ძაღლებმა იციან უცნობი სტუმრის დანახვისას.

შენ ვინ ხარ და აქ რამ მოგიყვანაო

მოურავმა, მე ამ კაცის მეგობარი ვარო

დირექტორმა - მეგობრობა შვიდ საათს მერე ვიცი მეო

შენ ვინლა ხარო მოურავმა?

მე ვინ ვარო? - შეიცხადა დირექტორმა

ჩემი დირექტორია-მეთქი

ამის დირექტორი ვარო - დირექტორმა

დირექტორი ხარ ესე იგიო?

დირექტორი ვარო და აქო უცხო პირების შემოსვლა საერთოდ არ შეიძლება, ეს ბუფეტი მხოლოდ თანამშრომლებისთვის არისო

შესვენება ხომ მაქვს, ხოდა გარეთ დაველაპარაკები-მეთქი

აბა ჩახოხილიო? - დირექტორმა

რა ჩახოხილიო? - მოურავმა

ჩახოხილი გავაკეთებინე დღეისთვისო

ერთ წამს მომისმინე მეგობაროო, მოურავს ეტყობა ნერვებმა უმტყუნა, მე ამ კაცთან მოვსულვარ სტუმრად, ესა და ესა ვარ, ამასა და ამასთან ვმუშაობ, შენზე და თქვენზე აქეთური და იქითური გამიგია, ბატონიც კი კითხულობს თქვენს წიგნებს, ოღონდ მარტო იმათ, სქელ ყდებში რომ არის და ცუდ წარმოდგენას ნუ შემიქმნით თქვენზე, ახალგაზრდობას გაფიცებთო. დირექტორმა, ჩემმა მზემ, გეთქვათ აქამდის ვინ იყავით და ამხელა აურზაურს არ ავტყხდი ცაში ღმერთია მონმე, მინაზე კი ადამიანები, დიდიან-პატარიანა ყველა დამემოწმება, არ მიყვარს კონფლიქტებიო, აქ ესე, ათასი მეგობარი და ამხანაგი აკითხავს ჩემს მორჩილებს და ამათმა სულ რომ თითო-თითო მეგობარი შემოიყვანონ ამ დალოცვილ ბუფეტში, ამდენ კაცს რა ჩახოხილი ეყოფაო?

ჩახოხილისას არა ვჩივი, ეს კაცი ათიოდ წუთით გამაყოლე, მაღლიერი დაგრჩებო

დღეს საერთოდ თავისუფალია, ოღონდ ერთი პი-



რობითო

პირობას გააჩნიაო

დამპირდით

რომ დაგპირდე და ვერ შეგისრულოო

რთულს არასა გთხოვო

კაიპ, მაშინ ვფიცავ თუ რამე წმინდა მაქვს, ყველა-ფერსო

მამაჩემის ლექსების კრებულს გაგატან და ეგება და ბატონს უძღვნა ჩემს მაგივრადო...

რომელიღაც სუპერ ფეშენებელური რესტორნის, რომელიღაც ვიაიპი კაბინაში ვისხედით და რომელიღაც ძალიან ცნობილი შეფ მზარეულის სიყვარულით ნაკეთებს, რომელიღაც ძალიან ცნობილი ბრენდის დანა ჩანგლებით სვეცკად შევექცეოდით, ღირექტორის მამის "ასი საუკეთესო ლექსი" რომელშიც სულ ორმოცდათვრამეტი ლექსი იყო მაგიდის კიდეზე, გადავარდნაზე იდო, როდესაც მოურავმა დააბრეხვა -

ბატონს უნდა შენთან შეხვედრაო. ლუკმა გადამცდა და ჩემს მოსასულიერებლად ოთხი მიმტანი, რესტორნის უმცროსი და უფროსი მენეჯერები ერთად შემოვარდნენ, ზურგზე ხელები მიტყაპუნეს, ტრადიციული ტაილანდური მასაჟი გამიკეთეს, ამომასუნთქეს და ისევე უცებ გაქრნენ, როგორც გაჩნდნენ. აზრზე მოსულმა მოურავს ვკითხე

ჩემთან-მეთქი?

ხოო

რატომ-მეთქი?

მოკლედო, თავის თავგადასავლების და გასაჭირების ფურცლებზე გადატანა და ზემოდან სევდისფერის დადება უნდა დიდი ხანია, უბრალოდ სანდო და გამოცდილი კაცი არ ეგულებოდა აქამდე და გუშინ რომ მომიყვი იოანე პავლე მეორე და ეგეტებიო, ეგეტები არ უნდა-მეთქი, გავიფიქრე და დღეს შენი თავი ვურჩიე ჩვენს მამას და მარჩენალსო, იმან კიდე მაიტა, მოიყვა რა კაცია, ცალი თვალით შევხედოთო

ვახ-მეთქი

მადლობას მერე მეტყვიო.

## მესამე თავი

როგორი სასაცილოა ჩვენი წვალება, რომ ევრო-რემონტიანი ბინები გვქონდეს, რომ მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები გვქონდეს, რომ ჩაშენებული სამზარეულო გვქონდეს და რომ ცენტრალური გათბობა და ნათელი, მყუდრო და კუთხის ბინა გვქონდეს... როგორი სასაცილოა ეს ყველაფერი, როდესაც სადღაც, ჩვენს სახლთან ახლოს, იქვე, ჩვენს ქალაქში, საერთოდ სხვა და წარმოუდგენელი სამყარო არსებობს, სამყარო, სადაც ჩვენი უბნის ხელა ეზო აქვს ვილაცას და ჩვენი სახლის ხელა ტუალეტი...

ბატონის ეზოში რომ შევბიჯე, წარმოუდგენელი დაუცველობის გრძნობა დამეუფლა. მე სად ვარ? სად ვცხოვრობ? სად ვკვდები? როგორ შეიძლება მეც და ამ... ამ... არ ვიცი რა დავარქვა ამ რაღაცის პატრონიც ერთი და იგივე ქალაქში ვცხოვრობდეთ, როგორ შეიძლება მე და მას რაიმე საერთო გვქონდეს, როდესაც ის თავისი ოთახიდან თანამედროვე ედემს უყურებს, მე კიდევე ბეტონის ჯუნგლებს...

ქალაქია ქალაქი. მწვანე ქალაქი და ვილაცას იმიტომ, რომ უფრო მეტი ფული აქვს, აქვს უფლება უფრო სუფთა პაერთი ისუნთქოს, აქვს უფლება, რომ ნახევარი ქალაქი იყიდოს და თქვას ერიპაო, ესაო დღეიდან ჩემი სამფლობელოა და ლობის აქეთ შემოსვლა

თუ გინდათ, არ გინდათ, ნუ გინდათ, მაინც ვერ შემოხვალთო. ესაო, ესა ჩემი სამოთხეა და მე ვარ აქაო ღმერთიო და თუ მაინცდამაინც იქნა და შემოხვედით, იცოდეთ, ორი ხე მიდგას მე ამ ქალაქში, ხე ცნობადისა და კეთილისა და ხე ფულისაო. პირველი ხის ნაყოფი იმდენი გიჭამიათ მუცელზე გამსკდარხართ, მაგრამ, ფულის ხეს ხელი არ ახლოთ თორემაო...

ჰა როგორიაო? - ისეთი სახით მკითხა, გეგონება სიმბა იყოს და მამამის მუსტაფას, დაერიგებინოს - რასაც აქა ჰხედავ და რასაც მზე ანათებს, ყველაფერი შენია შვილო ჩემოო.

კარგია-მეთქი

კარგობები შენ შიგნით უნდა ნახო, აქ არაფერიო, ეზოა რა... შიგნით კიდე ათასია სანახავიო.

ე ამ ყველაფერს რომ უყურებ კაცი, სადღაც გულის სიღრმეში პატარა, მაგრამ ოთხკუთხედი ფიქრი გაგკრავს, ახალგაზრდობაში, ბურჟუას რომ ნეგატიურ სიტყვად ხმარობდი, ეგება და არ იყავი მართალი და ეგება ბურჟუობა გრეხი კი არადა ოცნებაც კია და ეგება შენგანაც გამოსულიყო კარგი ბურჟუა, აი ისეთი, პიჟამოთი რომ გამოტანტალდება თავის ნილ მწვანე გაზონზე და ველოსიპედისტ, ფართ თაიმ ფოსტალიონ, ფართ თაიმ თინეიჯერ და ფართ თაიმ სახლში რაღაცა არ უყიდეს და ფულს აგროვებს, ბიჭის მოტანილ გაზეთს ამაყად რომ დანვდება და ამაყადვე ნელში გამართული, ვინრო ქუჩის გადაღმა, ახალგაზრდა გოგონას მიესალმება, რომელიც ბურჟუაზიული სამეზობლოს პატარა და დიდ ძაღლებს ასეირნებს. ასეირნებს ბევრს ერთად, ბევრს და უფრო დაბანილებს და უფრო ჯანმრთელებს და უფრო ბედნიერს, ვიდრე სხვა და არაბურჟუა მოქალაქეები არიან.

სამიშია ეგეთი ფიქრები. შეგიყოლებს და წაგართმევს იმ რაღაცეებს, რასაც ნლობით ინახავ და უვლი და რასაც შენს პიროვნებას არქმევ და სინამდვილეში კიდეც, კაცმა არ იცის რა არის, იქნებ პიროვნებაცაა და იქნებ მართლა ხარ ეგეთი სტოიკური არსება, არაფრით რომ არსად მილიმეტრითაც არ წაიხარა, ანდა იქნებ ამ ტრაკის დაკარგვის შიშში ჩარჩენილი უტრაკო ხარ, რომელმაც თამაშის წესები ვერ მიიღო, რომელიც სუსტია და მამენტ ღირსიც კია, რომ ავტობუსით ინანალოს ყოველდღე, დილით და საღამოს, დილით ვილაც ოფლიანის ილიაში ჰქონდეს სახე ჩარგული, საღამოს კი თავისი; ოღონდ არავინ შევანუხო მორალის გამო, სამსახურიდან დალილს, სახლისკენ უკანა გზაზე, სკამზე ჩამოჯდომა ეუხერხულებოდა, ეგება და ვინმეს უფრო მეტად დასჭირდეს ეს ადგილი და სადღაც, შემდეგ გაჩერებაზე, დაუცველი მოხუცის მოლოდინში, ვილაც უტიფარი ახევდეს სკამს...

რას გაიგებ... შეიძლება ორივე მართალია.

რთულია და სამიში ესეთი ფიქრები.

რთულია და სამიში.

თან მითუმეტეს, იმდენად სწრაფად და გაურკვევლად მოხდა ყველაფერი, რომ ჯერ ბოლომდე ვერც ვიზარებ რას დავთანხმე, რას ვიგებ ან რას ვკარგავ ამ ყველაფრით... ესეც უაზრო შიშია, რა უნდა დავკარგო, რა მაქვს რო? ბიოგრაფიები? სამსახური? თავი? ტრაკი?

თავზე და ტრაკზე ვილაპარაკეთ უკვე...

აქ დაელოდო - აბსტრაქტული ნახატებით აჭრელებულ ოთახში შემიყვანა და ყველაზე რბილ სავარძელში ჩამსვა.

მოიცა-მეთქი

რა იყოო?



დაცვა შმაცვა? არ შემამონმებს-მეთქი  
გაეცინა - შემონმებული ხარ უკვეო  
ვერ გავიგე-მეთქი  
გაიგებო, ყველაფერს ნელ-ნელა გაიგებო... - ხან-  
დახან როგორი ორაზროვანი შეიძლება იყოს იდიო-  
ტი...

ლოდინი ყველაზე დიდი საშინელებაა, რაც შეიძ-  
ლება ადამიანს შეემთხვეს. სადღაც ოდესღაც სტატია  
მაქვს წაკითხული, რომ ადამიანი ამდენ და ამდენ სა-  
ათს კარგავს ლოდინში, რიგში და მისთანებშიო... ხო-  
და სადღაც ბანკის რიგში გაჭედოვს ტვინის რალაციით  
დაკავება მაინც შეგიძლია, ბუკლეტებს წაკითხავ, დო-  
ლარის კურსით შემოფოთდები ან რალაცას იზამ, ბო-  
ლო-ბოლო ადამიანებს მაინც დააკვირდები და აქ, აქ  
რა ჯანდაბა უნდა ქნა? ორი სავარძელი დგას, და კედ-  
ლებზე ყოვლად უგემოვნო, უშინაარსო და უაზრო,  
მაგრამ ალბათ ძალიან ძვირიანი ნახატები კიდია. ნა-  
ხატები თხუთმეტ წუთში ამოვწურე, დარჩა სავარძე-  
ლი, რომელიც, კი ბატონო, ძალიან რბილი, თბილი და  
სასიამოვნოა მაგრამ როდემდე? როდემდე? როდემდე  
და სანამ კარში ახალგაზრდა გოგო არ შემოვა. რა-  
ღაცნაირი მურტალი გოგოა, თან ძალიან ლამაზია და  
თან ძალიან უშნო, თან მაგარი ქლესა ღიმილი აქვს და  
თან ზედმინევენიტ პატიოსანია, ნაღდი იანუსია, ბატო-  
ნის კარიბჭეს კაკ რაზ ეს იცავს...

ხომ არ მოინყინეთო - გალიმებასავით ვცადე, მაგ-  
რამ ჩემი ფეხები, მეთქი ეხლა ხელს მომკიდებს და ბა-  
ტონთან შემოყვანს და რავარია გაილიმო, ბატონთან  
შესახვედრად მზად არ ვარ, ტვინში, მასთან შეხვედ-  
რა-მიღების სავარაუდო სცენარებიც კი არ დამილა-  
გებია ჯერ, ისიც კი არ წარმომიდგენია, რას მეტყვის  
ანდა მე რას ვეტყვი, რას მკითხავს და მე რას ვუპასუ-  
ხებ, რაზე იხუმრებს და მე რაზე არ გამეცინება.

ბატონმა ბოდიში შემოგიტვალათ, ცოტა ეწელება  
შეხვედრა, ხომ ხვდებითო

კი, კი როგორ არა, გადატვირთული გრაფიკი, ათა-  
სი საქმე, კი როგორ არა, მესმის-მეთქი

ღიახ, ღიახ სწორად გესმით, რამე ხომ არ გნება-  
ვთო?

თუ შეიძლება რომ სხვაგან დაველოდო-მეთქი  
ეს ოთახი რატომ არ მოგწონთო?

რავიცი, უბრალოდ, რავიცი... ჰაერზე რომ გავსუ-  
ლიყავი კარგი იქნებოდა-მეთქი

აა... ჰაერზე გნებავთო? მე მეგონა სხვა დალოდე-  
ბის ოთახში გინდოდათ გადანაცვლება, სწორად გამი-  
გეთ, სხვა ოთახებში სხვები ელოდებიანო

ბოდიში-მეთქი?

მოგეხსენებათ, ბევრს უნდა ბატონის ნახვაო...  
მოიცა-მეთქი

გიცდითო

სხვა კანდიდატურებიც განიხილება ბატონის ბი-  
ოგრაფად მეთქი - პლანშეტში რალაცას ჩახედა და ლი-  
მილით მიპასუხა

არა, მაგ მომლოდინეთა სიაში მხოლოდ თქვენ ხარ-  
თო

აბა, სხვები რას ელოდებიან-მეთქი

ეეჰო - არა, მართლა რა, ხანდახან როგორი ორაზ-  
როვანი შეიძლება იყოს იდიოტი...

ეზოში, თუ ტყეში, თუ მდელოში, თუ ედემის ბალ-  
ში, თუ რალაც მსგავსში გამოვედით და იანუსამ მითხრა

კარ-მიდამოს ექსკურსია თუ გნებავთ, ბიჭებს  
ვეტყვი ელექტრომობილს მოგიყვანენ, ტარება ხომ  
იცითო

რისი-მეთქი  
ელექტრომობილისო  
ვაფშე არ ვიცი ეგ რა არის-მეთქი  
მანქანა თუ გიტარებიანო  
ავტომატიკა-მეთქი  
იგივეა, ჰა რას იზამთ, აილებთ ექსკურსიასო?  
მაიტა-მეთქი

ყოველ ორმოცდაათ მეტრში ნიშნებია, ნიშნებს გა-  
ყევით და იმას იპოვით რასაც ეძებთო

პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით-მეთ-  
ქი - გახუმრება ვცადე

ვერ გავიგეო - მე მეგონა, რომ ბატონისნაირი ტი-  
პები ან ზოგადად დირექტორი ტიპები თანამშრომლე-  
ბის აყვანის დროს სივს გარდა მათ იუმორს და პერსო-  
ნალურ სკილებსაც ითვალისწინებდნენ, მაგრამ ჩემი  
ფეხები, დირექტორებს, ბატონებს და მათნაირებს მხო-  
ლოდ რობოტები ჭირდებოდათ, არანაირი ექსპრომტი, იმ-  
პროვიზაცია, ზედმეტი გალიმება და ეგეთები... დრო  
მოვა, როცა ბატონების და დირექტორების დაფინან-  
სებით მეცნიერები, რობოტ თანამშრომლებს მოიგო-  
ნებენ და ჩემნაირებს და ამ გოგოსნაირებს და დაჟე,  
მოურავისნაირებსაც კი სანაგვეზე მოისვრიან, ე, იმ  
რობოტებს, ბატონის და დირექტორის საამებელი  
სიტყვების კოდები და პროგრამებიც ექნებათ და ალა-  
რავის დაჭირდება ჩვენი ვაზელინით დარბილებული,  
დაშაქრული ლაპარაკი და შეუდრული ტრაკის ლოკვა.  
ეგრეა!

ნიშნებს მართლა მიყავხარ სადაც გინდა, უბრა-  
ლოდ სად გინდა ეგ არის პრობლემა, რა გაინტერე-  
სებს, რას ნახავდი დიდი სიამოვნებით, რისგან ჩამო-  
იგდებდი კილომეტრზე ყბას? რიტუალების სასახლე  
გაინტერესებს? მინიმუმები? ჩანჩქერი, ამ ეზოსაოც-  
რებაში ყველაფერია. ყველაფერი. ვზივარ ამ ჩემის  
ელექტრომობილზე, ცალი ხელით ვატრიალებს საჭეს  
და ჩანჩქერისკენ მივდივარ, ჩანჩქერი ასწორებს, გრი-  
ლა ჩანჩქერებთან და სასიამოვნო სუნია, თან მაინტე-  
რესებს, ნამდვილი ჩანჩქერია თუ ხელოვნური...

ნამდვილია... მაგრამ არც ისე დიდი, ჰა-ჰა ათი  
მეტრი იქნება სიმაღლეში, ჩანჩქერის სიახლოვეს გრი-  
ლა და კარგია, წყლის შხეფები სახეზე მხვდება და რა-  
ღაცნაირად მამშვიდებს... ისიც ადამიანია, მერე რა,  
რომ ჩანჩქერი აქვს, ისიც ადამიანია, ჩემნაირია, ოდ-  
ნავ უკეთეს სუნამოს ხმარობს და ოდნავ უკეთესი საა-  
თი უკეთია, ოდნავ უფრო დიდი ეზო აქვს, ვიდრე ჩემი  
უბანია, მაგრამ მერე რა? ისიც ადამიანია ისიც შედის  
ტუალეტში და მასაც აქვს პახმელია... ჩვენ ძაღლები  
გვყავს, კატები, ზაზუნები... მას სხვადასხვა ეგზოტი-  
კური ცხოველები, მაგრამ მაინც ადამიანია... ადამი-  
ანი.

ჯიბიდან სიგარეტი ამოვიღე, კარგია ჩანჩქერის  
ქვეშ მოწევა, სიმშვიდეა ჩანჩქერი და სიმშვიდეა სიგა-  
რეტი, მოვუკიდე და ყველაზე გემრიელი ნაპასი და-  
ვარტყი, სწორედ ამ დროს ჩანჩქერიდან წყარიშდიდამ  
ამოყო თავი და სირინოზის ხმით ჩამკივლა - აქ არ  
ენევიან, ხომ იცი ბატონს სიგარეტის სუნი აღიზია-  
ნებსო

ხო, მაგრამ ბატონის ადგილსამყოფელიდან კაი  
გვარიანად შორს ვარ-მეთქი

მაგას რა მნიშვნელობა აქვს, გაიხედ-გამოიხედე  
რამდენი კამერაა დამაგრებულიო

ხეების გარდა არაფერია აქ-მეთქი  
ხეზე ჩიტებს ხედავო?

კი-მეთქი



ხოდა ეგ ჩიტები მიუტანენ ბატონს ამბავსო  
მოიცა, ანუ ვაფუე ვერ მოვწევ-მეთქი  
თუ ბატონთან მუშაობა გინდა ვერაო  
ვახ-მეთქი  
აბაო...

შენ ნამდვილი ქალთევზა ხარ-მეთქი - არაფერი  
მიპასუხა, ჩანჩქერს უკუმიმართულებით აუყვა და გა-  
უჩინარდა.

## მეოთხე თავი

ვისაც ბატონის ბაღში, მეგრული მითოლოგიის  
ქალღმერთის ნახვა არ გაუკვირდა, მას ალბათ არც ის  
გაუკვირდება, რომ ბატონთან მომლოდინეთა რიგებ-  
ში კვირაობით მდგარი, ისეთ გადასარევ და კამფეტ  
ხალხს ვხვდებოდი, როგორც ქართული პოლიტიკის,  
შოუბიზნესის, მეცნიერების, სპორტის და მან ივო ინ-  
ნილიგენციის წარმომადგენლები არიან...

მაგრამ... მაგრამ!

მომლოდინეთა სიაში ყველაზე ხშირად მაინც "დამ-  
სახურებული შვილები" მხვდებოდნენ. ყველაზე აუტან-  
ლები, ყველაზე აუტანლებს შორის, მშობლის უზენაეს  
სახელს ამოფარებული, სპეკულიანტი, ხელგანვდილი,  
ამაყი მათხოვრები - "შენ იცი მამაჩემმა?" "აი დედა-  
ჩემმა რომ..." სხვისი წარსულის ცხოვრებით მცხოვ-  
რები აჩრდილები, ერთ დროს არასრულფასოვნების  
კომპლექსით ტვინ და გულ ნაღრძობი, ვერ შემდგარი  
საცოდავი კაცუნები და ქალუნები...

ოი როგორ მძულდა ეს გადასარევი საზოგადოება,  
წიგნების პრეზენტაციებზე, საუკუნის წინანდელი, ნაფ-  
ტალინის სუნიანი მუხებით რომ შემოლაგდებოდნენ  
და უკანა რიგებში რომ ხმამაღლა ქოთქოთებდნენ.  
სულ ქინძზე ეკიდათ, რა წიგნის პრეზენტაციაზე იყ-  
ვნენ და გგონიათ ამას მალავდნენ? არავითარ შემ-  
თხვევაში, დედიმამათივით და მამიმამათივით მაინც  
ვერავინ ვერასდროს დაწერდა, ვერ დახატავდა, ვერ  
დადგამდა და ვერ გადაიღებდა. ამაზე კამათს აზრიც  
კი არ ქონდა, ისინი ხომ დამსახურებული შვილები იყ-  
ვნენ, სახალხო არტისტები, ჩვენ? ჩვენ არავინ!

„დამსახურებულ შვილებს“ ასაკობრივი შეზღუდ-  
ვა არ აქვთ. არსებობენ როგორც დამსახურებული  
„დამსახურებული შვილები“, ასევე დამწყები „დამსა-  
ხურებული შვილები“ და არსებობენ კიდევ თაობებით  
„დამსახურებული შვილები“. ეს უკანასკნელნი ყველა-  
ზე განსხივოსნებული არიან, ისინი ამაყად მოერგნენ  
ყველა იდეოლოგიას, მთავრობას, რევოლუციას, ყვე-  
ლა ბატონს და საერთოდ ყველას, ყველას, ვინც კი ერ-  
თხელ მაინც აღნიშნა, რომ ისინი სამშობლოს დამსა-  
ხურებული შვილები არიან.

უკანა რიგებში მსხდომებს კიდე ასე თუ ისე აიტან-  
დი, მაგრამ უშუალო კონტაქტის დროს შეიძლება ხე-  
ლით შეხებოდი, ისე გიყურებენ და ისე გექცეოდნენ,  
გეგონება მართლა რამე გაუკეთებიათ ცხოვრებაში  
მშობლების სახელის ტირაჟირების და სპეკულაციე-  
ბის გარდა...

ბატონთან ერთ ნაცნობ „დამსახურებულ შვილს“  
შევხვდი, ადრე გამარჯობას რომ ძლივს იმეტებდა, ახ-  
ლა მთელი საათი მესაუბრა, ჩემი იქ ყოფნის მიზეზი  
რომ გაიგო, საერთოდ დატკბა და ქებათა ქება მო-  
მიძღვნა, მაქო და მადიდა, შენზე უკეთ მაგ საქმეს ვე-  
რავინ გააკეთებსო, ყოჩაღ ბატონსო, აი მალადეც, ნუ  
ბოჟე მოი... ჭკვიანი კაცი რომ იყო კი ვიცოდი, მაგრამ  
ასეთიო?

აბა-მეთქი

ჩემი ამბავი გაიგეო? - რომელი ერთი ნეტა? ეს  
ქალბატონი „დამსახურებული შვილი“ ხომ იყო, მაგ-  
რამ თავისზე უფრო დამსახურებულ შვილებს ცალკე  
ზრდიდა, მისი „დამსახურებული შვილები“ პროფესი-  
აში მასზე უარესები აღმოჩნდნენ, მაგრამ სამაგიეროდ  
ყველგან შეძვრნენ და ყველგან გამოძვრნენ, ყველა-  
ფერს მიედნენ და ყველაფერს მოედნენ. უბრალოდ ერ-  
თი კია, ამ გაძრომ-გამოძრომაში ნამეტანი დიდი ვა-  
ლები დაუგროვდათ და ათწლეულობით, დამსახურე-  
ბული შვილიდან დამსახურებულ შვილზე გადმოსული  
ქონება გაანიავეს, გაანიავეს იმდენად, რომ ლამის სახ-  
ლის გარეშე დარჩნენ, მაგრამ ქალბატონი „დამსახუ-  
რებული შვილი“ რისი „ქალბატონი დამსახურებული“  
შვილი იქნებოდა, გადასარევი გეგმა რომ არ მოეფიქ-  
რებინა.

ჩემი დამსახურებული ბებია-ბაბუის და დამსახუ-  
რებული დედ-მამის სახლს სახლ-მუზეუმად ვაკეთე-  
ბო

გადასარევი ამბავია-მეთქი

გადასარევია აბა რა არის, ერთი იმიტომ, რომ  
სახლ-მუზეუმში სახლ-მუზეუმად დამრჩება და კულ-  
ტურის სამინისტრო მის შესანახად ყოველთვე ფულს  
გადმომირიცხავს და მეორე იმიტომ, რომ კანონის მი-  
ხედვით ბანკებს და მაგ ოხრებს ჩემი სახლის დაყადა-  
ლება აღარ შეეძლება, კულტურული მემკვიდრეო-  
ბის ამბავიო.

რა კარგათ მოგიფიქრებიათ-მეთქი

საერთოდ არ დამჭირებოდა ამდენი მაიმუნობა,  
სამინისტრო რომ ცოტა ყურადღებას გვაქცევდესო  
და ბატონთან რა საქმეზე ხართ-მეთქი  
ეგ შენი საქმე არ არის ახალგაზრდავ, ნუ პლებეიო  
- თქვა და ნორკის შუბის ქვეშ გაუჩინარდა.  
ინილიგენცია მან ივო! ინ ნი ლი გენ ცია!!!

გმადლობ რომ არსებობთ!!!

ესლა მეორე, ლოდინის და მთავარ ფლანგზე რა  
ხდება... რომანის დაწერა გადავწყვიტე! დიახა! აი  
ეგრე! მეყო რაც ვარედაქტირე და ვიცოდი, დროა  
საქმეს მივხედო და თან ესეთი მგარი თემა კიდევ რო-  
დის დამეცემა თავზე... კი, ჩემი ძმა, სწორად მიხვდი,  
ბატონზე ვწერ, უფრო სწორად, ვწერ რომანს იმაზე,  
თუ როგორ ვწერ ბატონზე წიგნს და ე, მაგ რომანში ეს  
დამსახურებული შვილებიც შევლენ, აქ მომუშავე ჯიგ-  
რებიც, წყარიშდიდაც, იანუსაც და ყველანი ესენი და  
რომანი ესე, იქნება უფრო ღრმა და ყოვლისმომცვე-  
ლი, ვიდრე ევროკავშირთან დადებული შეთანხმება,  
რომლის პარაფირების რატიფიცირება თუ რატიფი-  
ცირების პარაფირება კაცმა არ იცის რატიფიცირდა  
თუ პარაფირდა...

რომანისთვის გადასარევი მეორეხარისხოვანი პერ-  
სონაჟები მყავს უკვე, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ  
რომანის მთავარ გმირს ჯერ არ შევხვდებივარ...

ხო, აი ეგრე მოხდა... მთელი თვეა დათქმულ დროს  
მოვბლაცუნობ ხოლმე, მიუხედავად იმისა, რომ უკვე  
ოთხჯერ თუ ხუთჯერ მომიწია ტყუილად მოსვლა, მა-  
ინც არასდროს ვიგვიანებ. აქ რომ ხალხი მუშაობს, თუ  
დადის თუ რასაც ვეება, ის ხალხი ამბობს ბატონს სი-  
გარეცის მწველებზე მეტად დამგვიანებლები რომ უყ-  
ვარსო, მე კი არაფრით არ მანყობს ბატონს რომ არ  
ეუყვარდე, მთელი თვის ხელფასი გავმაზე და ახლა ეს  
ბატონის ნაამბობიც რომ გამემაზოს, შემდეგ თვემდე  
ცოცხალი ვერ მივაღ, ის კი არა, რომ რომანს ვერ დავ-  
წერ, ან ის კი არა, რომ გაზის, შუქის და ეგეთების



ფულს ვერ გადავიხდი, ბანკს ვერ გადავიხდი, ბანკს! და ბანკის არგადახდა იცი რას ნიშნავს? იმას, რომ ჩემს სახლს წაიღებენ, წაიღებენ და მერე როგორ წაიღებენ! მე ხომ არავინ ვარ... არც დედაჩემი, არც მამაჩემი, არც მათი მშობლები და არც იმათი მშობლები არ ყოფილან სახალხო არტისტები, ჩემს საგვარეულოში ყველაზე წარმატებული კაცი, ჩემი დიდი ბაბუა გამოდგა, ანტიკომუნისტური საქმიანობის გამო დახვრიტეს, ხოდა, მეექვსეა მისმა სახელმა ჩვენს სახლს კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი მისცეს.

არადა პირიქით უნდა იყოს, საერთოდ პირიქით უნდა იყოს, კომუნიკაციების დროს რომ აშენდნენ და დამშენდნენ იმათი შვილები და შვილიშვილები რატომ არიან საზოგადოების მაღალი ფენადა მათზე რატომ ვზრუნავთ და ვფიქრობთ უფრო მეტს, ვიდრე ჩვენზე, ვისი ბებია-ბაბუებიც სისტემას ებრძოდა და ამ ბრძოლაში დახვრიტეს, გადაასახლეს, აწამეს და რავიცი, რა აღარ უქნეს, ჩვენ რატომ ვართ გაჭირვებული და მიგდებული?

სახელმწიფო ხომ უხდის ეკლესიას ფულს, ვითომ იმიტომ, რომ ტოტალიტარული რეჟიმის მსხვერპლები არიან... მე არ ვარ? კაი, მე არ ვარ დაუშვავთ, თაობები შეიცვალა და ჩემი რეაბილიტაცია მოხდა და იტაგდალი... მარა ბაბუაჩემი? ვისი მამაც კედელთან მიაცენეს? ან მაგის დედა ვატირე, თუ მე იმიტომ არ ვარ რეჟიმის მსხვერპლი, რომ ვრეაბილიტირდი, სამღვდელოება რით ვერ რეაბილიტირდა, თან მითუმეტეს, ყველაზე მძიმე ოქროსჯვრიანი მღვდლები გამოდიან და სტალინს, როგორც უდიდეს ბელადს, ხოტბას ასხამენ...

კაია არა, ჩემი ფულით ნაყიდი ჯიპები? სხვანაირი ჩანს ხო სამყარო როცა ფულს არაფერში გიხდინ, მე და ჩემნაირებს ვირეზივით გვინევს მუშაობა, რომ თვინდან თვემდე მივალნით, ან ერთ პატარა ბატონს უნდა დავეუდგეთ ან მეორე დიდს და ესენი კიდე... კაროჩე რა... რა აზრი აქვს?..

ლოდინის ოთახში ვიჯექი და ამეებზე ვფიქრობდი, როცა თავზე მოურავი დამადგა და კონვერტი გაომომინოდა.

აპაო

რა არის-მეთქი?

გახსენიო - გახსენი, ფული იყო. ბევრი. გამომცემლობაში რომ მთელი წელი უნდა ამელო, იმდენი. ძალიან ბევრი.

ვახ-მეთქი - ეს ვახ-იც ძლივს ამოვუშვი პირიდან. ყველა შოკზე უფრო რთულად გადასატანი, ბევრი ფულის შოკი ყოფილა, კიდეც კარგი ვიჯექი, თორემ მუხლებში მოვიკეცებოდი. ცივმა ოფლმა დამასხა და თავბრუს ხვევა დამენყო, მოურავის სიტყვები კიდე ამ ყველაფერს უფრო ამძიმებდა.

ესაო, ამ თვისააო, ბატონი ძალიანა წუხს, რომ ვერა და ვერ შეგხვდა, საქმეები, ხომ ხვდებიო, მაგრამ რალაცა იქნება, ასე არ დავრჩებით, შემდეგი და იმის შემდეგი თვეებიც წინ არ არისო - ამ თვის ფულიო, შემდეგი თვეო და იმის შემდეგიო, ანუ სამჯერ ამაზე მეტი... რაში ოღონდ? ლოდინში? აზრები მოვიკრიბე -

ამ ფულს რაში ვიღებ ჯერ არც კი შეგხვედრილვართ-მეთქი

მაგიტომ იღებ ასე ცოტას, მუშაობას რომ დაიწყებ მერე მოგემატება, ცოტაც გაუძელი, ცოტაცო - ცოტას იღებო, მგონი მელადავება...

როდის დავიწყებ მუშაობას-მეთქი

აბა რა გითხრა, შეუცნობელია ბატონის გზებით -

თქვა და ტელეფონმა დაურეკა

ახლავე ბატონოო - და ოთახიდან გავარდა, მე კიდეც დავრჩი ასე, ბევრი ფულით, ძალიან ბევრი ფულით ხელში, ვიყავი ბედნიერი და რატომღაც ცოტა შეურაცხყოფილი, ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს მიყიდეს, მართალია კარგ ფასში, მაგრამ რომ იყიდები, ტეხავს, უფრო მაგრად ტეხავს, რომ არ გიფიქრია და ისე იყიდები და კიდეც უფრო მაგრად ტეხავს, რომ ამას ისე აკეთებენ, რომ შეურაცხყოფას არ გაყენებენ, მაგრამ მაინც შეურაცხყოფილი რჩები... თუ ესეც ჩემი ზაიოებია... პრინციპში ბატონთან ვარ, მართალია არ ვმუშაობ, მაგრამ დროს ხომ ვკარგავ? სამსახურიდან ხომ წამოვვდი და მთელი თვე ხომ უმუშევარი ვარ, ხოდა სხვა თუ არაფერი, მაგაში და ლოდინში მიხდიან... ვახ, თავს ვიპრავებ თუ, თავს ვიტანჯავ? ზედმეტ კითხვებს ვსვამ თუ ადვილ პასუხებს ვიგონებ?

ჩემი ბრალია ფულს რომ მიხდიან? არა! დაველოდოთ როგორ განვითარდება მოვლენები... მაგრამ, რომ ველოდები მაგაში ფულს მიხდიან, და ფულს რომ მიხდიან ეგ მიტყდება და...

ვაააახ!

იანუ სა შემოვიდა და დღეს რახან ხელფასობაა მოკლე დალოდების დღეა და შეგიძლიათ სახლში წახვიდეთ ან სადაც გინდათ

კი ბატონო, მაგრამ ერთი შეკითხვა მაქვს-მეთქი ბრძანეთო

ლოდინში ფულს სხვებსაც უხდიან-მეთქი?

არა სხვები ელოდებიან, ელოდებიან და თქვენ ელოდებით რომ იმუშაოთ... სხვებს რატომ უნდა უხდიდეს, ბატონი გიჟი ხომ არ არისო?

არა როგორ გეკადრებათ-მეთქი

აჰა! მე ველოდები, რომ ვიმუშაო და მაგიტომ მიხდიან, ბოლომდე არ მესმის რას ნიშნავს, მაგრამ გასაპრავებლად გამოდგება მეგონი.

ბატონის ეზოდან გამოვედი, მანქანა უკვე მელოდებოდა... ჰო, დამავინწყდა, რაც აქ ლოდინი დავინწყე, მანქანა მემსახურება და ჰო, უფასო კვებაც მაქვს, დღეში სამჯერ და ჰო, ძალიან კარგ პონტში ვარ და ჰო, თუ ცუდი თვალთ მიყურებთ, მიყურეთ. ბოლომდე მეც არ ვიცი რა ხდება, თავი დამანებეთ! ასე მოხდა, წინა ფურცლებზე ხომ მოგწონდით, ბებიათქვენი სამ!

## მეხუთე თავი

მონურ შრომაზე უფრო დამამცირებელი, მონური ლოდინია. როცა არ იცი რამდენ ხანს უნდა ელოდო და როცა არ იცი რას უნდა ელოდო. შევალ ბატონთან და მერე? თუ მასთან შეხვედრამდე ლოდინით აუტანლად ვმცირდები, მასთან შესული, მუშაობის პროცესში რამდენ დამცირებას შევხვდები? თუ იქნებ ბატონის გარემოცვა დამცირებს და უშუალოდ ბატონი არაფერ შუაშია, იქნებ ის რადიკალურად განსხვავდება მისივე თანამშრომლებისგან, მაგრამ მისი თანამშრომლები ხო მისივე არჩეულები არიან... ნეტა მათაც ჩემნაირად ლოდინი უწევდათ, სანამ მოურავები, იანუსები, წყარიშდიდები, მძღოლები და ჩანჩქერის გამსუფთავებლები გახდებოდნენ? არ ვიცი! რაც ვიცი ისაა, რომ აქ მოსვლამდე სხვანაირი ადამიანი ვიყავი, უფრო უკომპრომისო, უფრო მართალი, სუფთა, ახლა? ახლა არ ვიცი, ახლა ძალიან დიდი თანხა მერიცხება ყოველი თვის ბოლოს ე, ამ რალაცებზე საფიქრელად, მაგრამ



ეს ფიქრები არსად ქრებიან, სულ ჩემთან არიან.

ამ ორთვიანი ლოდინის დროს ძალიან ბევრ უცნაურ ადამიანს შევხვდი და ისეთი სქილები ავიმალე, რომლებიც საერთოდ არც კი ვიცოდი თუ მქონდა. მაგალითად, სიფრთხილის და წინდახედულობის სქილი. ლოდინის საათებში ალაგ-ალაგ მოდიოდნენ ბატონის სხვადასხვა თანამშრომლები და მაფრთხილებდნენ, რომ იმას არ ენდო, ამას არ ენდო, რამოდენიმე ბატონზე ცუდად ლაპარაკიც გაბედა და ეგონა, მეც ავყვებოდი საუბარში და რომ მიხვდნენ, რომ არ ვაპირებდი, მალევე ჩამომშორდნენ, მხვდებოდნენ ისეთი ადამიანები, ვინც ერთმანეთზე რიგრიგობით მეუბნებოდნენ, ეგ ხომ იცი ინტრიგანია, მაგასთან რამე ზედმეტი არ წამოგცდესო... მე ერთადერთი რამ ვიცი, ვილაღ ვილაღაზე რომ გაფრთხილებს ეგ ინტრიგანიაო, პირველ რიგში იმაზე უნდა იფიქრო, ის ხომ არ არის ინტრიგანი, ვინც გაფრთხილებს?

ბატონის გარემოცვამ ჩემი მილიონნაირ თამაშში ჩართვა სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ, მეექვსე გრძნობის თუ ალღოს წყალობით ვხვდებოდი, სად მელოდა ხიფათი და ადვილად ვიცოდი თავიდან, მაგრამ როდესაც ვილაღის დაგებულ მახეს იცილებ, მახის დამგები ავტომატურად შენი მტერი ხდება, ხოდა ეგრე გახდა იანუსა ჩემი მტერი, უფრო სწორად, მე გავხდი მისი.

ბატონი თავის აგარაკზე დასასვენებლად წასული და თქვენც უნდა წამოხვიდეთ, იქ უნდა დაელოდოთ - მეთქი, მეღირსა, როგორც იქნა შევხვდები და ორ კვირას მაინც ვიმუშავე, ამ ჩემს საჯანდაბე კითხვებსაც გავცემ პასუხს და დავისვენებ კაცი-მეთქი.

აუ რა კაია, როგორც იქნა-მეთქი

რა როგორც იქნა?

ბატონს შევხვდები-მეთქი

რა იყო, ხომ არ დაიღალე - ესეც იმ ჩამჭრელი კითხვებიდან ერთ-ერთია, რომელსაც ლოდინის დროს ძალიან ხშირად ვისმენდი.

არაფერს რომ არ ვაკეთებ და ფული მერიცხება ეგ მანუხებს, მუშაობა მინდა, რომ ალებული თანხა გავამართლო და სინდისი არ მანუხებდეს-მეთქი - რეებს ვბაზრობ, რატო ვიპრავებ ამ ღურასთან თავს, მაგრამ რას იზამ? რას იზამ? რასაა???

მოკლედ, სახლში წადი, ბარგი ჩაალაგეო

აგარაკი სად არის-მეთქი

ჯერ ზუსტად არ ვიცი, რომელ აგარაკზე მიდის, ზღვისთვისაც მზად იყავი და მთისთვისაცო

აუ რა კარგია-მეთქი

ხო, რა გენალელება, დაისვენებ მშვენივრადო

მოიცა-მეთქი

გიცდიო...

დავისვენებ თუ სამუშაოდ მივდივარ-მეთქი

ეგ შენ დაასკენი რომ უნდა იმუშაო, მე არაფერ შუაში ვარო

ვერ გავიგე-მეთქი

ბატონი დასასვენებლად მიდის და შენ როგორ აპირებ მუშაობას, ეგ არ ვიციო

მოიცა-მეთქი

გიცდი, ხომ გითხარიო

ანუ რა გამოდის, ბატონი დასასვენებლად მიდის და მე უნდა გავყვე და უბრალოდ იქ უნდა ვიყო და უბრალოდ უნდა ველოდო შემხვდება თუ არა-მეთქი

არა, მაგ ყველაფერს აქ აკეთებ და იქ უნდა გაყვე და წინასწარ უნდა იცოდე რომ არ შეგხვდებაო

აბა რატომ მივდივარ-მეთქი

ხომ არ გავინყებდა ფულს რაში გიხდიანო - ნაბიჭვარი!!!

მე მგონი ეს ყველაფერი შენი გაჩალიჩებული-მეთქი

როგორო? - ისე შეიცხადა, გეგონება მამა აბრამის ბატკანი ყოფილიყოს და ცხოვრებაში არანაირი ჩათლახობა არ ქონდეს გაკეთებული, არადა ზუსტად ამ ქალბატონმა და წაკლა წყარიმდიდამ გამიჩალიჩეს, ეგაო ჩუმ-ჩუმად პაპიროზსა ეწევაო, დამასმინეს დაცვის უფროსთან და ის ამხელა, უჭკოლ მოზვერი კიდე საათნახევარი მირჩევდა საქმეს -

ბიჭო, შენ რით ვერ გაიგე რომ ბატონს არ უყვარს სიგარეტს რომ ეწევიანო

მეთქი, ბატონის სახლის ჭიშკართან ვიდექი, ჯერ შიგნითაც არ ვყოფილვარ

შემოსული და მეორეც, სიგარეტს კი არ ვენეოდი, ელექტროსიგარეტს ვაორთქლებდი მეთქი

ბიჭო, შეიგნე ბატონს ზოგადად არ უყვარს სიგარეტს რომ ეწევიან და ჭიშკრის იქით იყავი თუ აქეთ სულ ქინძზე მკიდა და ეგ ელექტროსიგარეტი ვაფშე არ ვიცი რა არის, მეორეჯერ შენი პირიდან არც ორთქლი დავინახო ამოსული, არც ბოლი თორემ ბატონს ვეტყვი ყველაფერსო.

მეთქი, სალოლ, რა მაგარი ჯაჭვი გაქვთ, ჩანჩქერის მწმენდავმა, წყარიმდიდასთან ჩამიშვა, იმან ამ დუბლეტ იანუსთან, იანუსამ შენთან და შენ ბატონთან გარბიხარ-მეთქი

ბევრს ლაპარაკობო!

ბევრს ლაპარაკობო! - იანუსამაც ეგ მითხრა, იანუსი კი არა ანუსია ნამდვილი, რა ბანძი კალამბური გავაძრე - ბარგი ჩაალაგე და წამოეთრიე, თორემ ბატონს ვეტყვი ყველაფერსო.

შენ კი არა, მე ვეტყვი ბატონს ყველაფერს-მეთქი რა ყველაფერსო?

აი რასაც აკეთებ, რომ მიჩალიჩებ-მეთქი

და რა იცი რომ მე გიჩალიჩებ, იქნებ და ბატონმა დამავალა შენი იქ წამოყვანაო

არამგონია-მეთქი

შენ რა გგონია, მე არ მაინტერესებს და თან რომ მემუქრები ბატონს ვეტყვიო,

ერთი მითხარი როდის აპირებ თქმას, ჯერ თვალთაც არ გინახავს და მე შენგან განსხვავებით ყოველდღე ვნახულობ და კაი, ჯანდაბას, მოხდა სასწაული და ნახე, ვის უფრო დაუჯერებს, მე თუ შენო?

საშინლად გავმწარდი, გავცოფდი, აღვშოთდი - შენ მე უპატრონო ხომ არ გგონივარ, იცი ვინ ვარ-მეთქი?

ვინო, ვინო, ვინ ჩემი ფეხები ხარო?

მე მოურავის სიყრმის მეგობარი ვარ-მეთქი

მოურავისო არა?

ჰო მოურავის-მეთქი

კარგი დავიმახსოვრებ, ეხლა კიდე დავაი დროზე სახლში ბარგი ჩაალაგე რომ გეუბნებიანო. - კარგი, დავიმახსოვრებო, ისეთი სახით და ტონით თქვა რომ მგონი მოურავი მაგრად გავშარე.

გამშარე აბა რა ქენი, შიგ ხომ არ გაქვს, ეგ რამ გათქმევინა, ეხლა უეჭველი

რალაცას გამიჩალიჩებს ეგ ჩათლაშკა არ იცი რა ინტრიგანიაო - მოურავი ბოლთას სცემდა და საშინლად ნერვიულობდა

წავალ ბოდიშს მოვუხდი ეგ თუ გიშველის-მეთქი

არა, არა პირიქით, ეგონება რომ ვერხი აიღო, ბო-



დიშის მოხდა არ გვიშველისო

აბა-მეთქი?

აბა ტრაკი დაგეყენებინა ჯობდა, მაგრამ გვიანია, რამე უნდა მოვიფიქროო

რითი გიშველო-მეთქი

შენ ვერაფრით ვერ მიშველი, მეტს ნულარ გამშა-  
რავ შენი ჭირიმე, ნადი ბარგი

ჩაალაგე და გააკეთე რასაც გეუბნებიან, ფეხებში, თვალეში და აღარაფერში აღარ მოედო მაგ გოგოს, თუ ღმერთი გნამსო.

ყველაფერი კარგად იქნება-მეთქი?

ვნახოთო

რალაც მინდა გკითხო, შეიძლება უადგილოდ და აბსურდულად მოგეჩვენოს

მაგრამ ძალიან მაინტერესებს-მეთქი

რაო?

ბატონი სინამდვილეში არსებობს თუ დიდი ძმასა-  
ვით არის-მეთქი

ვინ დიდი ძმასავითო, რეებს ბოდავ სუ გამოქლი-  
ავდიო?

რაგი-მეთქი, რამდენი ხანია აქ დავდივარ და თვა-  
ლითაც არ მინახავს, შენ თუ გყავს ნანახი-მეთქი?

თავი დაანებე მაგ სისულელეებზე ფიქროსო

არა, ნანახი გყავს-მეთქი?

შემეშვი არ ვარ მაგ ხასიათზეო

მიპასუხე ძალიან გთხოვ-მეთქი

შენი აზრითო? - ამ დროს ტელეფონმა დაურეკა -  
ვახ, მგონი დამერხაო, რა გინდოდა რას მერჩოდო -  
ტელეფონს უპასუხა და ლაპარაკ-ლაპარაკით გაუყვა  
გზას, არ ვიცი ვინ ურეკავდა, არ ვიცი რა უნდოდათ  
მაგრამ მგონი შარში იყო.

დიდი სიამოვნებით მივაგდებდი ყველაფერს, ფე-  
ხებზე დავიკიდებდი ბატონსაც, ინტრიგანკა გოგო-  
საც, დაცვის უფროსსაც, ჩამშვებ წყარიშდოდაც, მაგ-  
რამ მოურავის განირვა არ მინდოდა. დედამიჯმულ  
მოჯადოებულ წრეში ვარ, ხან წიგნი მაჩერებს, ხან ფუ-  
ლი, ხან ინტერესი, ხან რა და ხან რა! აღარაფერი აღარ  
მინდა, აღარც ფული მინდა ამათი და არც წიგნის და-  
წერა, არადა რა მაგარი იდეები მქონდა, ორნაირად ვა-  
პირებდი დანერას, ერთი წიგნი ბატონის დაკვეთილი  
მისი ბიოგრაფია იქნებოდა, მეორე კი ჩემი, ნამდვილი,  
სუფთა და მართალი წიგნი, ჩემი დაკვირვება ბატონ-  
ზე, მის გარემოცვაზე და იმ ყველაფერზე რაც ბატონს  
ბატონად აქცევს, მაგრამ ჯანდაბას ეგ წიგნიც, ფე-  
ხებზე მკიდია, ოღონდ აქედან მშვიდობიანად დამალ-  
წევინა თავი და რედაქციაში დამაბრუნა, იოანე პავლე  
მეორის ბიოგრაფიას კი არა, ლედი გაგას ცხოვრებას  
და მოღვაწეობას აღვწერ უფასოდ. ვახ, ეს რა შარში  
გაყვავი თავი, რა მინდოდა რა? ხამი, ხარბი და იდიო-  
ტი არ უნდა იყო ადამიანი... ვახ, არადა რა მაგარი  
პერსონაჟები მყავდა, რა მაგარი იდეები მქონდა წიგ-  
ნისთვის, ფაქტიურად ჩემი აქ ყოფნა უკვე ერთი დიდი  
მოთხრობა იყო და თან ჯერ ბატონთანაც კი არ ვიყავი  
შესული, იქიდანაც რამდენ რამეს გამოვიტანდი, მაგ-  
რამ ნახუი, არ მინდა, არა! ჩემთვის წყნარად და მშვი-  
დად ცხოვრება მინდა, მონობის, იძულების და შიშის  
გარეშე!

ბარგი ჩავალაგე და მანქანაში ჩავჯექი.

სად მივდივართ ზღვაზე თუ მთაში-მეთქი - მძღოლს  
ვკითხე.

ზღვაზე, მაგრამ მგონი ბოლომდე გადაწყვეტილი  
არ არისო.

მოურავთან რამოდენიმეჯერ ვცადე დარეკვა, არ

მპასუხობდა, ველავდი, თავი მისკდებოდა.

გზიდან უკვე მთები ჩანდა, როცა მძღოლს დაუ-  
რეკეს და მანქანის შემოტრიალება და ზღვის კურორ-  
ტისკენ წასვლა დაავალეს.

## მეექვსე თავი

თერთმეტსაათიანი მგზავრობის შემდეგ, როგორც  
იქნა ჩავალწიეთ დანიშნულების ადგილზე, ფეხზე ძლივს  
ვიდექი, მთელი ტანი დაბუჟებული მქონდა და საშინ-  
ლად მეძინებოდა, მთელი გზა ისე ვნერვიულობდი,  
რომ თვალი ვერ მოვხუჭე, მძღოლი კი ჯარის ისტორი-  
ებს მიყვებოდა. არაფერი საინტერესო, ერთი ისტო-  
რიაც კი, დაჟე გენერლის ცოლსაც კი არ... მოურავზე  
ფიქრი ტვინის კედლებს მილენავდა... ჩემ გამო რომ  
გაიშაროს მაგრამ არ მინდა, კარგად არის, კომფორ-  
ტულად, კმაყოფილია, მე რატომ უნდა დაუვნგრეო  
სიმწრით აშენებული კარიერა?

მთელი გზა კიდევ ერთი ფიქრი მიჭამდა ტვინს,  
რატომ არ მიპასუხა სერიოზულად ჩემს დასმულ  
კითხვაზე მოურავმა, იქნებ მასაც არ ჰყავს ბატონი  
ნანახი? რა, გაგიკვირდებათ? იქნებ მართლა არ არსე-  
ბობს ბატონი და ეს ყველაფერი უცნაური ექსპერი-  
მენტია, ან იქნებ ბატონი არსებობს, მაგრამ სინამდვი-  
ლეში ბატონი კი არ არის, არამედ ბატონს თამაშობს? და  
როგორც მე მიხდოდა ლოდინში ფულს, ისე მას უხდოდა  
ბატონის როლის თამაშში, რა, არ ითამაშებდი მაგ  
როლს, არ იცხოვრებდი იმ ედემის ბაღის რეკონსტრუქ-  
ციაში? მილიონი მონა-მოახლით და ეგეთებით?

კაი, მარაზმია მაგაზე ფიქრი და შეთქმულებების  
თეორიების ძებნა, მაგრამ საინტერესოა, ჰყავს თუ არა  
მოურავს ბატონი ნანახი... ან მე როდის ვნახავ, რო-  
დის? ჯერ ლოდინი ხო კომპარია, მაგრამ რა საშინე-  
ლებაა, როცა იცი, რომ აი აქედან აქამდე იმენა ტყუი-  
ლად ელოდები, არანაირი შანსი არ გაქვს რომ ნახო.  
დედაქალაქში კიდევ შეიძლებოდა ლოდინის გამართლე-  
ბა, მაგრამ აქ? აქ ლოდინი ცარიელი მონობაა, მონო-  
ბა, რომელსაც ჩემივე დაუდევრობის გამო ვერ ვაღწევ  
თავს.

თუ დედაქალაქის კარ-მიდამო ედემის ბაღის რე-  
კონსტრუქციაა, ეს ზღვის აგარაკი ნამდვილი ფუტუ-  
რისტული ჭინთვაა, მგონი ხეებიც კი პლასტმასისაა,  
რათქმუნდა, ჩანჩქერი აქაც არის და რათქმუნდა,  
სწერვა წყარიშდოდაც აქ ბრძანდება, შემოსასვლელში  
ის დურა იანუსაც შემხვდა, უკანა კორპუსში მესამე  
სართულზე, მერვე ნომერში იცხოვრებო, დანარჩენს  
ხვალ დილით გეტყვიო.

მოურავი ხომ არ გინახავს-მეთქი

არა და, შეიძლება შენც ველარ ნახო, ჰე ჰე ჰეო -  
გველურად ჩაიციხა და გამჭირვალე შენობაში შევიდა.  
ოთახში შესულმა ბარგი იატაკზე დავყარე, მინი-  
ბარს ვეცი, რომ ფიქრები, განცდები და დარდები ვის-  
კის პატარა ბოთლიკოებში ჩამეკლა, მაგრამ მინი-ბა-  
რი ცარიელი დამხვდა, საწოლის ქვეშ დატანებულ სოს-  
ლილას ვტუტე ხელი და მინიბარიდან ჯინმა გამოყო  
თავი

თქვენაო დამიძახეთო, იქნებაო

კი, კი მე გეძახდი-მეთქი

გისმენთ ჭირიმე რაი გნებავთო

ე, მაგ მინი-ბარიდან რომ გამოძვერი ადვილად გა-  
მაეტიე-მეთქი

კი, არა გამჭირვებია რა, ჩემმა მზემაო

მერე რატომ მოხდა ეგე ყოველი იცი-მეთქი?





ვერ ვხვდები საით მიგყავთ საუბარი ღმერთთა მონამო

საით ოქროს კაცო და მინი-ბარი ცარიელია-მეთქი

ვახ მე, რატომ მინა არ გამისკდება და შიგ არ ჩამიყოლებს, ახალი ვარ ნუ დამძრახავთ და ნურც ნურავის ეტყვი, ამ სამსახურის შოვნა ძვირად დამიჯდა და ეგება და ეს ერთი პატარა საიდუმლო შემინახოთ თქვენს ვაჟკაცობასო.

ჰეი, შენ! ჯინო! უჩინო,  
სულო, სულთაგანო სრულო და  
შენ ორიბოთლი მიშოვნე,  
მე არა გაგამტყუნო და  
ბოლო სურვილსაც გაგიმხელ,  
ფიქრო, ნატანჯო, რთულო და  
ეგებ, ლიმონსაც გადაწვდე,  
მე ტვინი მოვიდუნო და  
იქნებ, კოლასაც ხურდაში,  
კარქა რომ დავიძინო და  
შენს ავს არარავის ვეტყვი  
თუ ვინმემ მკითხა რამე და

ჯინმა ცოტა ხანს გაშტერებულმა მიყურა, ლექსის უკეთეს დასასრულს ელოდებოდა, რომ მიხვდა რომ გამგრძელებელი არ ვიყავი, შეტრიალდა, ქუსლი ქუსლს მიარტყა, გაქრა, გაჩნდა და ლექსად თქმული მაგიდაზე ერთ სუფრად დაყარა!

ჯინს რომ შეხვდები კაცი და სამ სურვილს რომ ესე უაზროდ გაანიავებ!  
კააროჩე!

დილაა და თავის ტკივილია, ვახ მოურავს რა ეშველება და ეს რა შარში გავყავი თავია, თავია და მორევია შავი ზღვის. ზღვაა და ისეთი მშვიდია და ისეთი მზიანია, კაცს სანაპიროზე ჩამოჯდომის, ლუდის მოწურუპის და გაბოლების მეტი არაფერი მოგინდება, მაგრამ აქ ვინ რას გაგაბოლებინებს, რქიანი დელფინები ამოგიხტებიან ზღვიდან და სულს გაგიპოვენ... ეს რა შარში გავყავი თავი, ეს რა შარში გავყავი თავი....

ფლიპ-ფლოპებს ვიცმევ და ეზოში მივბლაყუნებ. ბატონის მთელი სტაფი აუზზე ნებივრობს, ქალბატონი იანუსი, ანუსი გაჩრილი კუპალნიკით შეზღონგზეა გამზლართული. სათვალის ქვემოდან ნუ პაგადი მზე-რას მესვრის და ზურგზე ტრიალდება, ჯინს წყარიმდიდასთვის კოქტეილი მიაქვს, იანუსას შემეტენედ ულიმის და რალაცაზე ელაპარაკება. მოურავი არსად ჩანს... ბლიად!

ჯინს პლაჟზე ორი ბოთლი ლუდის ჩამოტანა ვთხოვე და ზღვისკენ დავიძარი.

კარგია ზღვა. ბევრნაირია ზღვა და ბევრნაირი ემოცია მოაქვს, მშვიდი ზღვა სიმშვიდეა და სიმშვიდეა, რაც ყველაზე მეტად მჭირდება და ლუდი მჭირდება და ლუდი კი ჯინს მოაქვს და ახალგაზრდაა ჯინი და ახალია ჯინი და გონია, რომ თუ ჯიგარი იქნება, ყველაფერი ჯიგრულად იქნება და ჯინმა არ იცის, რომ ესენი, მოურავიდან დანყებული, ზღვის მწმენდავით დამთავრებული, პირველ რიგში ჯიგრებს ინელებენ და მერე ამ ჯიგრების ადგილას თავიანთი ძმისშვილები, ბიძაშვილები და მამიდაშვილები მოყავთ ხოლმე. ახალგაზრდაა ჯინი და გონია რომ თუ პატივს მცემს... არ ვიცი რა გონია, არ ვიცი რატომ ეტენებიან ადამიანები ერთმანეთს, რატომ ეტენებიან მითუმეტეს ჩემნაირებს, რომლისგანაც ვერანაირ ხეირს ვერ გამოკრავ ხელს. არ იცის ვინ ვარ? იცის, გუშინვე იკითხავდა თავისიანებში და თავისიანები ეტყოდნენ, რომ მომ-

ლოდინე ვარ, მომლოდინე კი გარდამავალი სტატუსია, თან საჭირო კაცი ხარ და თან არც ხარ, მომლოდინეობა განსაზღვრულია, არც ჯოჯოხეთის ხარ და არც სამოთხის, მომლოდინეობა გრინ კარტაა და გრინ კარტა ცივი ომისგან ნაჭედი სიტყვა, ამერიკულ-რუსული, ქართველის ტვინში ვერგადააზრებული რუსეთის და ვერმიღებული დასავლური ღირებულებების ჭიდილია, ჭიდილი რომელმაც შეიძლება საერთოდ არ მოგიტანოს მოქალაქეობა და მოქალაქეობა პრივილეგია, მოქალაქეს აღარ ელოდები. მე მომლოდინე ვარ, იმდენად ვარ მნიშვნელოვანი, რამდენადც შეიძლება ბატონმა, კარგ და ძალიან საპასუხისმგებლო პოზიციაზე დამსაქმოს და იმდენად ვარ უმნიშვნელო, რამდენადც ბატონმა შეიძლება საერთოდ არ მოისურვოს ჩემთან შეხვედრა. მომლოდინე კაცი შროდინგერის კატასავითაა... მომლოდინე კაცი წმინდანია, ტანჯვით იწრთობს სულს და სხეულს და ელოდება განსხივოსნებას, უფრო მაღალ ხელფასს, შარავანდედს, შადრევანს და შევარდენს...

ესაო, ეს ლუდები ჩვენნაირებისთვის არ არის განკუთვნილი, ესაო, საუფროსო მაცივრიდან წამოვიღე, თქვენაო ისეთი კაი საქმე მიქენით, რომა ესა მინიმუმია, რითაც სამაგიერო შემიძლია გადაგიხადოთ

მეთქი, პირველ რიგში თქვენობით ნუ მელაპარაკები და მეორე რიგში ძალიანაც დიდი მადლობა-მეთქი - გამიღიმა - რა უცნაურია არა-მეთქი რაო

რა და, აი ჩვენნაირებისთვის რომ სხვა რამეა გათვლილი და სხვებისთვის კიდევ უფრო სხვა და უფრო ძვირიანი რამე-რუმეები-მეთქი

ხოო

კიდევ რა უცნაურია რომ ჩვენნაირ მსახურებს კიდევ მსახურები ყავთ-მეთქი

ხო, სადილს ჩვენც სხვა გვიკეთებსო

აი ხომ ხედავ-მეთქი

და ეგ რაა, იმ სხვას რა, თავის მხრივ სხვა არ ემსახურებო?

ეგაა სამყარო-მეთქი

ეგააო

და აქ კიდევ მიკრო თუ მაკრო სამყაროა-მეთქი

ეგ ორი არ ვიცი რას ნიშნავსო

პატარას და უფრო პატარას-მეთქი

ეგრე გეთქვათო

თქვენობით ნუ მელაპარაკები-მეთქი

დამავინწყდაო

ჩამოჯექი ერთი ჭიქა დალიე-მეთქი

მომკლავს იანუსა რომ დამინახოსო

ხო, მაგას ჯობია მოერიდო-მეთქი

რატომო?

ინტრიგანია-მეთქი

კაი ტრაკი კი აქვსო

ტრაკი წყარიმდიდას უკეთესი აქვს-მეთქი - გაეცინა

ეგეც ინტრიგანიაო?

უარესი, ეგ ენატანიაა-მეთქი ვთქვი და მანდ დამენძრა, და მანდ ამიტყდა ისტერიული სიცილი

რა გაცილებსო - ნეტა მართლა რა მაცილებს, აი ამ ზღვაში უნდა ვიხრჩობდე თავს, რა მაცილებს რა?

რა მაცილებს და აი როგორც ეხლა მე გიზივარ გვერდით, ეგრე ჩამომიჯდებოდნენ, აქაური გამოცდილი ჯიგრები და ეგრე მარიგებდნენ, რომ იმას არ ენდო, ამას არ ენდო, ის ჩამშვებია, ეს ინტრიგანიაო და მე კიდევ პირველ რიგში მაგ ჯიგრების მეშინოდა,



ყველაზე დიდი ინტრიგები ეგენი იყვნენ ჩემთვის და  
ეხლა კიდევ მეც ე, მაგათსავით მოვიქცეო-მეთქი  
ხო, ნამდვილად ეგრე გამოვივიდა, მაგრამ შენა  
მგონი არ გავხარ ინტრიგანსაო

არ ვგავდი და ეხლა ნაღდად არ ვიცი-მეთქი  
მე ინტრიგნობაში არ ჩაგინერ, გაფრთხილებად მი-  
ვიღებო

კაი ბიჭი ხარ ჯიწი-მეთქი, ალალი, ფრთხილად  
იყავი, არ მოგიწელონ-მეთქი

მადლობაო - თქვა და აუზზე საშინელი ხმაური  
ატყდა, იყო ერთი დედის გინება, განეც-გამოწევა და  
ისმოდა, წყარიშლიდას და იანუსას საშინელი წივილი  
და საზარელი კივილი და მე და ჯიწი სასწრაფოდ ნა-  
მოვხტით და აუზისკენ გავიქეციით.

დაცვის უფროსს იანუსა მხარზე მოეგდო და გა-  
სასვლელისკენ მიყავდა, იანუსა სახეში მუშტებს ურ-  
ტყამდა, წყარიშლიდა სიტუაციაში გარკვევას ცდი-  
ლობდა, მაგრამ დაცვის უფროსმა მკაცრად უთხრა,  
მიგაყოლებ ამას თუ არ გაჩუმდებიო. მოურავი იქვე  
იდგა და ჩუმად ხითხითებდა, გვერდით ამოვუდექი და  
რა ხდება-მეთქი, ვკითხე

რა ხდება და დავასწარიო  
ვის და რა-მეთქი?  
იანუსას, გაჩალიჩებო, ბატონთან უნდოდა იმ ამ-  
ბის მერე, ჩემზე რამე-რუმეების თქმა და მე დავასწა-  
რიო

ბატონთან იყავი-მეთქი?  
არა, დაცვის უფროსს ვაჩვენე ვიდეოებიო  
რა ვიდეოები-მეთქი?

კომპრომატები, ჯიგარო, კომპრომატებიო - მხარ-  
ზე ხელი უფროსი ძმასავით, ბრძენი კაცივით ან არ ვი-  
ცი, ვილაც ეგეთივით დამადო - მგელი უნდა იყო და  
მგელზე უფრო მგელიო

მეთქი, მგლობა არაფერ შუაშია, ნაბოზარი უნდა  
იყო და ნაბოზარზე უფრო ნაბოზარი-მეთქი - ცოტა  
ხანი გაჩერდა, ცინიკურად შემომხედა, რალაც საშინე-  
ლება გაივლო გულში, გადაიფიქრა და ღიმილით მითხრა

მგელიც კაი ნაბოზარი არსებაა ისეო, ის მოთხრო-  
ბა რად ღირსო, სახელს ვერ ვიხსენებო

ეგ ბუნების კანონია-მეთქი  
ხოდა ეგაა აქაც, ტყეში ხარ ძმაო და ჯუნგლებში  
და კიდევ უფრო უარესში, ვერ ხედავო? კაი დაიკიდე,  
ჩემი ბრალია ყველაფერი, ძან მიგაგდე და ბევრი არა-  
საჭირო რალაცის ნახვა მოგინია, დღეს უეჭველი შევ-  
დივარ ბატონთან, აი უეჭველი და შენზეც ვეჭყვიო

ერთადერთი, რაც უნდა უთხრა ისაა რომ გამიშ-  
ვან, თავი დამანებონ, შემეშვან, აღარაფერი აღარ მინ-  
და, იმ ფულსაც მოვიტან, ოღონდ აქედან წავიდე-მეთ-  
ქი - ცოტა ხმამაღლა მომივიდა, მოურავმა უხეშად და-  
მავლო ხელი და პლაჟზე ჩამიყვანა. კიდევ კარგი იანუ-  
სა ისტერიკობდა და ჩემი ხმა არავის გაუგია, თორემ...  
თორემ აღარ ვიცი, მართლა აღარ ვიცი...

სუ გამოქლიავდიო ხო? თუ შენც ამათ შეეკარი და  
მიჩალიჩებო

პარანოია გჭირს-მეთქი  
მე კი არა შენ გჭირს პარანოია, ვინ გიჭერს, დავაი  
ნადი მიდიო

წავალ-მეთქი  
მიდი, მიდი რა გენაღვლება შენ მოჯმულს ისევ მე  
გამოვასწორებო, სუ ქინძზე არ გკიდია რო ჩემი მოყ-  
ვანილი ხარ და სუ ქინძზე არ გკიდია, იანუსისნაირი  
ნაბიჭვრები რო შემდგებიანო

არ მკიდია-მეთქი  
არ გემწნევო - ცოტა ხანი ორივე გაეჩუმდით, დაე-  
მშვიდდით, თავი ხელში ავიყვანეთ და მოურავმა -  
ცოტაც გაუძელი, იმენა მე ვიღებ ჩემ თავზე რო...  
აი დაჟე აქვე შეგახვედრებ ბატონთანო  
დასასვენებლად არის წამოსული და შენც იცი რომ  
არ შემხვედბა-მეთქი

შენ რა გინდა კაცო, აი მე გპირდები რომ შეგხვედ-  
ბაო

ნანახი გყავს საერთოდ-მეთქი  
პარანოია გჭირს, აბა რა გჭირსო - ამ დროს პლაჟ-  
ზე დაცვის უფროსი გამოჩნდა, მოურავს თავით რა-  
ლაც ანიშნა, მოურავმა გადმოხედა და ძალიან, ძალი-  
ან ხმადაბლა მითხრა

ორი დღე, ორად ორი დღე მაცადეო  
გასაბერი ნავით ზღვაში შევედი, გიჟივით ვუსვამ-  
დი ნიჩბებს და ყოველ მოსმაზე ვმორდებოდი ნაპირს,  
ბატონის საზაფხულო აგარაკს, მის მონებს, მისი მო-  
ნების მონებს, იქ დარჩენილ ჩემი პიროვნების ნაწილს,  
ჩემს პრინციპებს, ჩემს იდეებს, ჩემს უზარმაზარ ხელ-  
ფასს, ჩემს წიგნს ბატონზე, ბატონის წიგნს თავის თავ-  
ზე, ვმორდებოდი ყველაფერს და უფრო და უფრო  
ღრმად შევდიოდი ზღვაში, იმდენად ღრმად, რომ უკვე  
აღარაფერი ჩანდა სინყნარის და სიმშვიდის გარდა და  
აქ, ამ ლურჯ სიცარიელეში, ფეხზე წამოვდექი და და-  
ვიღრიალე.

ვღრიალებდი ხმის ჩახლეჩამდე  
ღრიალს ამოვაცოლე თუ რამე მქონდა შიგნით დარ-  
ჩენილი, ხელშეუხებელი, სუფთა და მოსაფრთხილე-  
ბელი...

ღრიალს ამოვაცოლე ყველა ის სიბინძურეც, რაც  
აქ ვნახე, განვიცადე, გადავიტანე, რაც გავაკეთე, რაც  
გამიკეთეს, რაც დავაშავე, რაც მოვითმინე, რაც ავი-  
ტანე, რასაც გაეუძელი.

ჯერ კიდევ ვღრიალებდი, როდესაც მაშველები და-  
მადგნენ.  
ცოტა ჩუმად, ბატონს შუადღის ძილი აქვს, არ შე-  
ანუხბო - ამის თქმა იყო და მეორე ტალღა ამოვუშვი.

ამ ღრიალში იყო მთელი ჩემი აგრესია, ჩემი, რა  
დავაშავე ჩემი, აღარ შემიძლია, ჩემი, გულისრევა, ჩე-  
მი დაგლეჯილი ნერვები, ჩემი, ფუ ჩემი და ჩემი, თქვე-  
ნი დედას შევეცი!!!

## ინტერმეცო

სამწუხაროდ, ეს ამბავი ზღვაში არ მთავრდება და  
ეს ამბავი არც ნაპირზე არ მთავრდება და ეს ამბავი  
არც მაჟორულად არ მთავრდება და ეს ამბავი საერ-  
თოდ არ მთავრდება ისე როგორც თავდაპირველ ჩა-  
ნაფიქრში იყო...

რადგან ამბავი ესე არ გამოდგა ამბავი ინდივიდ-  
ზე, რომელიც მონებით, ვიგინდარებით და ნაბოზერე-  
ბით იყო გარშემორტყმული და მაინც არა გატყდა,  
ცოცხალი თავით არა გატყდა და იდგა ეგრემც შუა  
ზღვაში და ღრიალებდა, ღრიალებდა გულისწასვლამ-  
დე და ამ ღრიალს აყოლებდა თავის სულს, მრავალნა-  
ტანჯს, დაქუცმაცებულს, ალაგ-ალაგ გაყიდულს, ალაგ-  
ალაგ მიშენება გაკეთებულს, ჭერანეულს და შეუ-  
რაცხყოფილს...

არა! ამ ამბავს ეგეთი მაჟორული ფინალი არ აქვს.  
ამ ამბის გმირი ცოცხალია, მისდა სამწუხაროდ,  
და ეს ამბავი გასაგრძელებელია, ჩემდა სამწუხაროდ.  
ამბავი ესე მთავრდება, გამჭირვალე შენობის უკა-



ნა ფლიგელში, მესამე და მეორე სართულს შორის...

გამოაბუნძულეს რა ზღვიდან ჩვენი მთავარი გმირი, სასტუმროში დაბრუნებულმა ხსნა ალკოჰოლის სმაშილა ნახა, სვამდა დიდ ხანს და უმონყალოდ, მუს-რი გააელო მინი-ბარში ჩანიკნიკებულ ყველა ბოთლს ვისკიდან-ვიდრე ლუდამდის, არც არაყს მორიდებია და არც ლიქიორს, სვამდა თავგამოდებით და არას-დროს არ ყოფილა ისეთი მართალი, როგორიც მაშინ, როცა სვამდა და იცოდა რომ სხვა გზა არც ჰქონდა დარჩენილი, მაგრამ რამდენ ხანს გაუძლებს მინი-ბარი გადაკარგვას მონადინებულ კაცს, რაც არ უნდა რამ ჯინის შევსებული და მომარაგებული იყოს ესე ბოთლები, ადრე თუ გვიან მაინც დამთავრდება და აკი, მთავარ გმირსაც გამოელია სასმელი, გამოელია სწორედ მაშინ, როდესაც მოურავთან ბოლო დიალოგის დაიწყებას ცდილობდა და ამ ავი მუსაიფის ვერ მომ-შორებელმა, სასწრაფოდ დაჰკრა თითი ემერჯენსი ლი-ლაკს, დაჰკრა და ჯინის მოლოდინში გაირინდა, მაგ-რამ ჯინი არც პირველ დაძახებაზე გამოჩენილა, არც მეორეზე და არც მესამეზე. მაშინ კი ველარ გაუძლო მთავარმა გმირმა ამხელა ტანჯვას და მთვრალი ნაბი-ჯებით გაბანცალდა ჯინის მოსაძებნად. ხოლო ჯინი არ დაუხვდა მომსახურეთა მოსაცდელ ოთახში და ჯი-ნი არ დაუხვდა არც საპირფარეოში და ჯინი არ და-უხვდა არც მის ოთახში მეხუთე სართულზე, მაშინ ჩვენმა მთავარმა გმირმა მომსახურეთა სადარბაზოში გადანყვიტა მისი მოძებნა და არეული ნაბიჯით დაუყ-ვა სართულებს, დაუყვა და რა დაინახა, დგას ესე ჯი-ნი, წყარიშდიდას ტრაკზე მეოცნებე, მესამე და მეორე სართულს შორის და სიგარეტს უდარდელად აბოლებს, შეცბა ჩვენი მოთხრობის მთავარი გმირი, ველური ყი-ფინით გაეშურა, ყმანვილკაცისკენ, ხელზე ხელი აუკ-რა, სიგარეტი გადაადგებინა და ესე შესძახა

რას აკეთებ, გადაირიეო? კამერებს ვერა ჰხედა-ვო? ანდა არ იცი, ბატონს არ უყვარს რომ ენევიანო - ე, ამ სიტყვებს ამბობდა და სიგარეტს ქუსლით სრეს-და, როცა, მუხლებში ძალა გამოელია და მოიკეცა, მო-იკეცა და დაეშვა კიბეზე და თავი ხელებში ჩარგო და ატირდა და არ დაჰხვევია ქვეყნად არავის თავს ბრუ ისე, როგორც მთავარ გმირს დაეხვა მაშინ და არა ჰქო-ნია არავის ისეთი მრუმე და წვეტიანი, ტოლფერდა ფიქრები, როგორც ჩვენს გასაცოდავებულ მეგობარს და ის მიხვდა...

ისიც მათ დაემსგავსა...

მათ, ვისაც მონებს ეძახდა...

ისიც დაემონა...

და დამონება მოხდა ისე შემთხვევით და გაუაზ-რებლად, რომ ვერც კი გაიგო როდის გადადგა მონო-ბისკენ ნაბიჯები.

იქნებ მაშინ, როდესაც მესამეჯერ უშედეგო ლო-დინის შემდეგ მეოთხედაც მივიდა ბატონის კარზე, ან იქნებ მაშინ, როცა მაღალი ხელფასი წიგნის დანერის წმინდა სურვილით გააპრავა, ან იქნებ მაშინ, როცა ინტრიგან და ენატანია ხალხს ალლო აულო, ან იქნებ სულაც მაშინ, როდესაც ე, ამ ჯინს უთხრა იმას არ ენ-დოო, ან ეგების იქ, როცა ზღვაში შესულმა ღრიალს თავი დაანება და მაშველებს სთხოვა, ნაპირზე გამიყ-ვანეთო... ვინ იცის?

ვინ?

რაც ვიცით ისაა რომ, ნაბიჯების ხმის გაგონების-თანავე შეშინებულმა ჯინმა, ზემოთკენ მოუსვა, ხო-ლო ქვემოთა სართულიდან ჩვენს გაუბედურებულ და ავფიქრებიან მეგობარს პიჟამოში გამოწყობილი მოუ-რავი დაადგა თავზე და უთხრა -

ადე, ბატონს უნდა შენთან შეხვედრაო

და ჩვენი მეგობარი მიხვდა

ყველაფერს მიხვდა

ისე როგორც თქვენ მიხვდით, ბატონის მიერ დად-გმული ფარსის აზრს

და ჩვენს მეგობარს გაელიმა, სიმწრით და ტკივი-ლით და ამ ტკივილმა ჩვენს მეგობარს სული ჩაუნვა.

ჩვენი მეგობარი იდგა მოურავის წინ და ილიმოდა და არ იცოდა რა უნდა ექნა, შესულიყო თუ არა.

მაგრამ,

შესვლა არ შესვლა აღარ იყო უკვე საკითხავი ისე...

თქვენ რას იზამდით პატივცემულო?

შეხვიდოდით?

თუ არ შეხვიდოდით?

და მერე, საიდან მოიტანეთ რომ შესვლა ან არშეს-ვლა თქვენი ასარჩევია???





## რათი ამაღლობელი

\* \* \*

დროდადრო ჩემში იღვიძებს კაცი,  
ბოლომდე არც კი...

აქაურობა, სივრცე, დროება -  
ეუცხოება.

მანდობს დაფარულს, სიზმრებს ლექსებად  
მინერს, მესხნება.

და თუ ვნებდები ყოფის დინებას -  
ღრმად ეძინება.

### სალამო

სალამო - ნაკლები სინათლე  
და მეტი განწყობა შიგნიდან.  
სვლა შენი განცდების წინანდელ  
დაბურულ ლაბირინთში გინდა.

სალამო - ფოთლების სიმწვანე,  
ქუჩები - ჯადოქრის შეხვედრა,  
უეცრად სუნთქვას რომ გიმწვავებს -  
შეხედავ და თავბრუ გეხვევა.

სალამო კანკალებს ჩრდილებით,  
ცირცელის მარცვლები დაცვივდა,  
აივნებს მოუსხდნენ ჩიტები  
მაცნენი სულთა გარდაცვლილთა.

### ფოსფოროსი

სუროთი დაბურულ ეზოს მიაგენი სიღრმეში, შენს შიგნით,  
ეზო აშრილდა სალამოს ბალისებრ, შენ შეკრთი, შეშინდი.

ეზოდან ეზოში გაყავხარ ბილიკებს, ბალების ლაბირინთს,  
იქ, ძველი, ნაცნობი აჩრდილი შორიდან გიხმობს და გაგირბის.

სიღრმეებს შეყევი თრთოლვით და მაღალი თალების ოვალი  
ვარსკვლავთა ციმციმში გაფითრდა, ათრთოლდა გზა შუქ-ჩრდილოვანი.

აქ, წესით მუხის ქვეშ ოდესღაც ფიცრული რამ იდგა მერხივით,  
რომელზეც იჯექი, იწექი, თმა-ხშირი გარს გერთყა ხეხილი.

არ იცი - ხეების უკნიდან ქარია ფოთლებში გაჩრილი,  
თუ შენი მშობლების, ან სულაც ბავშვობის მეგობრის აჩრდილი.

მათი მონატრების სიმძაფრით სულ უფრო სიღრმეში ეშვები,  
აღვიძებ სიყვარულს, მისი ფრთის ყოველგან შემღწევი, შემშვები

შუქით გსურს გაფანტო კუთვნილი ქვესკნელის ბურუსი გოროზი,  
ინათოს, დაბრუნდეს ნათლის ანგელოსი ცაზე - ფოსფოროსი.





## ყვავილთა სული

ბინდდება. ველურ ყვავილებს მინდვრის  
 სული ამოსდით ჩამავალ მზისკენ,  
 ყვავილთა სული ვარსკვლავეთს მკვიდრობს,  
 ყვავილთა სული იქიდან გვიმზერს.

ბინდდება. ხსოვნაც ცა არი, ჰჰოვე  
 ამ ცის მნათობთა ამოალება,  
 თვალეზი ცაზე ვარსკვლავებს ძოვენ,  
 რომ ჩვენს შინაგან იქცნენ თვალებად.

ბინდდება. ფიქრის საზღვართან მიხვალ,  
 სად სივრცე დროდ და დრო იქცა სივრცედ,  
 სივრცის იქით კი ვარსკვლავებს მიღმა  
 იგრძენი ვილაც და იქაც გიგრძნეს.

## ლოგოსი

მინდვრად ბალახის, ქვაზე ხავსის, კედელზე სუროს  
 ზრდის და ამოსვლის ძალას მალავს და მათში ცურავს

სიტყვის უთქმელი შიდა მხარე და გარეთ მწყურვალ  
 თვალთათვის უმალ ხილულქმნილი განკაცდა სრულად.

სიტყვა, რომელმაც სიმაღლეთა პირველსამყოფლის  
 წიაღი განვლნა, ცანი განვლნა და იაკობის

კიბით დაეშვა იესოს ხის მწიფე ნაყოფზე -  
 ღმერთი კაცის და კაცი ღმერთის წიაღ ამყოფა.

ხსოვნის სკნელებში მოგონების შუქით გათოვდა,  
 სიტყვა განივრცო, გავარსკვლავდა, გა-ცა-მნათობდა.

ამ ვარსკვლავეთის ცანი მოსცა კაცის შინაგანს,  
 კაცს - ცის სიღრმეში, ცის სიღრმეს კი - კაცში ინახავს.

მოედოს ფიქრის ვრცელ მოედანს, აზრის ასპარეზს  
 ცა-მთოვარ-მთიებ-მუშთარ-მარიხ-ზუალ-ასპიროზ.

მზის სიღრმეთაგნ ხმა არათუ მოდის აქ ექოდ,  
 არამედ თავად, მიღმა ცათა, ზოდიაქოთა

გამოუთქმელი ღმრთეებრივი სიტყვა გამოთქვა,  
 ვარდი გაშალა. ქრისტე აღდგა. ლოდი გაგორდა...

## მზის სული

აგვისტოს საღამოს გვიანდელ  
 ზღვებზე რომ ბზინავდა - სინათლეს,  
 დარდი და წუხილი წინა დღის  
 უამბე, მიანდე.

მიყვარხარ, საღამოს ვეება  
 ზღვაში ჩამავალო მზეო, მე...  
 დღეების ფერხულში შევები,  
 ღამეებს შიგნიდან ვეომე.





ცხრა ზღვაში, ცხრა მთაში ჩასულო;  
დავივლი ბნელ კალთებს ღამეთა,  
გიპოვნი წარსულში ჩანურულს,  
იქიდან ამენთე.

ამო და ამენთე მზეო, შინ...  
მწეო და ჩემო ზე ამწეო -  
ნათლის მწდე წყვდიადში შეუშვი,  
აქციოს სამზეოდ.

## ოქტომბრის ანგელოსი

პერსეფონე

აგრილდა. ფრთები სექტემბერმაც მოკეცა, ბაღებს  
ოქტომბრის მცველი ანგელოსი შიგნიდან ალებს.

ბაღში ფაქიზ და გამჭვირვალე სინათლის ფარდაგს  
გაფენს და ირგვლივ ფოთოლ-ცვენის მასშტაბებს ადგენს.

აგრილდა. უკვე ეს ზაფხულიც ჩემშია, შიგნით:  
სინათლედ, სითბოდ, ფურცელ-ფურცელ გადაშლილ წიგნად

წევს და საკუთარ თავს მაკითხებს ხსოვნის ხის ჩრდილში.  
დღემ იკლო. ღამემ მოიმატა, სიბნელის შიშით


თუ მოიწყინეს მიპყრობილმა გარეთ თვალებმა,  
თქვი: მე ვარ შიგნით ზაფხული და მზის მხურვალეზა.

## ქამმერდე

სოსო მეშველიანს

ოქტომბრის ტყეში  
ჭრელდება ნეშო  
და შრება შეშა  
მეტყველის მოგრო-  
ვებული,  
რომელსაც შეშლის  
(თვალი თუ მოკრა)  
ტყის-ჭინკა-გოგო,  
ჩანს, არ გამოგო-  
ნებული.

ვინც მიხვრა-მოხვრას,  
ვნებთან ოხვრას  
და ძახილს არც თუ  
მსუბუქად მაცდურს  
გაუძლებს,  
ოქტომბრის ტყეში,  
მის ოკრო-ბოკრო  
ბორცვებზე მზიდან  
დაღვრილი ოქრო  
ფიქრის აუზებს  
აუვსებს.





## დემეტრა

ცივი  
ნოემბრის წვიმა -  
ცივი  
დემეტრას ცრემლი  
მძივად.

...  
ზევიდან ქვევით  
ქტონებში მძირავს  
შავეთის მძიმე  
ქანები, ქვეები -  
ქვესკნელის გზებით  
გძებნი და მივე-  
ქანები ქვევით.

ექოა ხმების -  
არი აქ ვინმე  
ჩემი  
ნუგეშისმცემი?

## ნოემბრის ტყის ანგელოსი

გავიდა ზაფხული,  
ხსოვნას გადაბარდა.  
ბუჩქები ალპური -  
დეკა და კატაბარდა  
გადაბარდნა.

ვუსინჯავ თანდათან  
ამინდებს გემოს და  
ახალი ცვლა დადგა  
ცაში ანგელოსთა.

სამხრეთით მოვარდნენ ქარები,  
ძალების ყეფით და ყიჟინით,  
დაფხრინეს ფერადი ალმები,  
ჩქარობენ,  
სიმშვიდის შიში აქვთ.

ყეფენ და ყვლეფენ  
ტყეებს ხშირფოთლოვანს,  
სიმშვიდის შიში აქვთ.

ტყეებს ჭრელფოთლოვანს,  
რომელშიც მოთოვა -  
ამ ცაცხვით, იმ შინდით  
მოიცავს სიმშვიდე.


აქ ვპოვე მგლოვიარ  
ტაძრის რამ ნანგრევი,  
რომელშიც მგონია  
შევალ და გავქრები.

## ჯვარცმა თოვლში

მზე ჩადის მთაში...  
ცის ფერადოვან  
ფარდაგთა მცვეთი  
მზე ჩადის თვალში,



მის ბროლში, ლალში  
და სისხლის წვეთი -  
დენადი ცეცხლი,  
თხევადი ალი  
ეცემა თოვლზე  
წყვილ-წყვილ და  
წყვეტილ  
მძივების ვარდნით  
და ყვავილ-ყვავილ  
იშლება ვარდად,  
წითლდება თეთრი  
სივრცე და არ ვლილ  
ულრანში მდებრი  
წარსული  
ბარდნის.



## პაემანი

თქვენ გარდაცვლილები  
სიზმრის სარკმლით  
მოდისხართ ჩემში.  
როდესაც მისი  
შედარებით ნათელი შრიდან  
ძილის მეორე, მესამე  
დაფარულ სიღრმეში ვეშვები,  
ვვარდები -  
იქ მისაფრდებით,  
მელოდებით  
და მიმძაფრდებით.

თქვენ, გარდაცვლილები  
მოდისხართ -  
ჩემში იკრიბებით,  
როგორც ტაძარში -  
მის კან-ქვეშა კატაკომბებში  
და მეც თქვენი მოგონების  
ნანგრევები ვარ,  
სადაც ნებივრობთ,  
როცა კედლებზე ზვერავთ  
ფრესკებად  
თქვენს განვლილ დღეთა  
ანარეკლებს, სურათ-ხატებებს  
და უნებურად

ჩემში იხსნებით,  
ჩემში იხსენებთ დედამიწას,  
მის სასრულ წარსულს  
და დრო-ჟამიერს,  
რომელიც დათმეთ,  
ან ჯერ რომ არ თმობთ  
სრულებით,  
ერთმანეთს ვათბობთ  
სულებით  
და განვისვენებთ  
ურთიერთში,  
ანუ ვიცვებით  
ისევე -



მე,  
 თქვენგან განცდილ  
 უყამობით,  
 ახალ მიზნებით,  
 რასაც ისახავთ  
 ცის რუკაზე,  
 რასაც მისდევთ და  
 რასაც მისდევდით  
 მზისკენ, ღვთის ნებით -  
 თქვენი თვალებით  
 ვუმზერ იმ გზებს,  
 მაგ მზით ვიგზნები.

## ზამთრის ბალის ანგელოსი

აგვისტოებით, მაისებით, შემოდგომებით  
 ბალი საუბრობს იგივეზე, შენ მონდომებით

ბალს უვლი და მეც შენი ბალი მიყვარს ზამთრობით:  
 თოვლით, აუზით გაყინულით, ერთი ნათურით

მბჟუტავი ბალი სიმშვიდეზე როცა საუბრობს -  
 შენი სარკმლისკენ მოელვარე თვალი გაურბის.

შენც ყინვით დამსკდარ ტუჩს მიაღებ სარკმლის მინაზე  
 და მოსჩანს ბალი საშობაოდ გამთბარ ბინაში.

თოვლზე ფეხის ხმით, შეღებისას ჭიშკრის ჭრიალით,  
 ძაღლების ყეფით, ჩიტის ფრთების ფრთხილი ფრთხილით,

თოვლს რომ იბერტყავს, ვარსკვლავების იალკილით  
 ბალი გარედან შენი ფიქრის შიგნით იელვებს.



## საშობაო

უფროსებისთვის

თოვლის ბაბუა გადაცმული ქრისტეა, ღამე  
 მოქმედებს წმინდა ნიკოლოზის ხანდაზმულ სახით,  
 ცხრა ცის სიღრმიდან ნახტომს გაშლის ირემი ცხრავე  
 და შეებმება მისი ძღვენის უხილავ მარხილს.

თმენა, იმედი, მონყალემა, სიმდაბლე, რწმენა,  
 თავისუფლება, თანაგრძნობა, სურვილთა ძლევა,  
 მსხვერპლად გაღება, ერთგულება, სიმტკიცე, ნდობა,  
 მშვიდობისყოფა, თავდადება, შორსმჭვრეტელობა.

ყველა ეს ნიჭი უსაზღვრო და აურაცხელი  
 შენია, ხსოვნის ბნელ სარდაფში ნუ კეტავ გროვად.  
 ახედე ზეცას - ვარსკვლავების ბაბუანვერას  
 ქრისტე უბერავს სულს და ასე იწყება თოვა.



## ბექა ახალაია

### ლინდა

მაშინაც ბარდნიდა,  
კოჭამდე იდო თოვლი და წვებოდა ყრუ ბინდი,  
ძროხები სუნთქვით ათბობდნენ  
ჩვრებით ღრიჭოებამოქოლილ ბოსლებს.

ეზოებში შედიოდნენ ნაფეხურები,  
და იმავე ნაფეხურებით  
ეზოებიდან გამოდიოდნენ ნაფეხურები,  
თეთრფეროვნებით თავბრუდახვეული ქათმები  
ქანდარებზე ისხდნენ და სდუმდნენ.

სახლებიდან კვამლი ამოდიოდა,  
შობის წინა სალამო იყო,  
სოფელში სისხლიანი თოვლის სუნი იდგა,  
საღორეებთან ნაქცეული წითელი სიკვდილი,  
თეთრ თოვლზე ნაქცეული წითელი სიკვდილი  
ისე ფერმკრთალდებოდა, თითქოს არცკი ყოფილა.

გრძნობდა ლინდა,  
რალაცას გრძნობდა ნაგაზი ლინდა,  
რალაცას ხვდებოდა გერმანული ნაგაზი ლინდა,  
თავისი უშველებელი სახლიდან გამოყოფილი თათები  
თოვლზე ელაგა,  
თოვლზე დალაგებულ თათებზე უშველებელი თავი ედო,  
თვლები მიელულა და ხვდებოდა,  
რომ რალაც ვერ იყო რიგზე.

მე ბავშვი ვიყავი  
და მხოლოდ იმას ვგრძნობდი,  
რომ ლინდა რალაცას გრძნობდა,  
ჩემი უშველებელი ლინდა,  
ჩემი პატარა ლინდა,  
ჩემი ცხენი ლინდა,  
ჩემი ძმაცაყი ლინდა  
და მეგონა,  
რომ ყველაფერი იყო რიგზე.

ლინდამ არ იცოდა მეგრული,  
არც მე ვიცოდი გერმანული,  
მაგრამ ჩვენ ჩვენი ენა გვექონდა,  
ჩვენ მხოლოდ თვლებით ვსაუბრობდით,  
ჩვენ მხოლოდ ხელებით ვსაუბრობდით,  
ჩვენ მხოლოდ გულებით ვსაუბრობდით  
და ყველაფერი იყო რიგზე.

ლინდას ჯაჭვი  
ღობემდე გაჭიმულ  
უდრეკ მავთულზე იყო მობმული  
და ლინდა დადიოდა წინ და უკან,  
მე და ლინდა დავდიოდით წინ და უკან,  
ეს ოცმეტრიანი მარშრუტი იყო ჩვენი სამყარო,  
რომელიც არასდროს იყო მოსაწყენი,  
რადგან ხან ჩემი ცხენი იყო,  
(ვემჩატებოდი ლინდას  
და ვგრძნობდი, რომ უხაროდა ჩემი ტარება),  
ხან ხარი იყო,  
რომელსაც კუსტარულ ურემ-ურიკას  
თუ პატარა გუთანს გამოვაბამდი,  
ხან მფრინავი დრაკონი იყო,  
უფრო ხშირად ძმაცაყი იყო ლინდა.





დიახ, სულ დაბმული იყო,  
რადგან, როგორც ამბობდნენ,  
სანდო არ იყო ლინდა,  
არადა კეთილი იყო ლინდა,  
არასდროს არავისთვის დაუღრენია,  
არასდროს არავისთვის დაუყეფია,  
უბრალოდ მე ვუყვარდი  
და უბრალოდ მე მიყვარდა  
და ბედნიერები ვიყავით  
და სხვა არაფერი გვინდოდა,  
გარდა იმისა, რომ სულ ყოფილიყო  
ჩვენი ოცმეტრიანი უდრეკი ბედნიერება  
და ყველაფერი იყო რიგზე.

ტანსაცმელზე სულ ლინდას სუნი ამდიოდა,  
ტანსაცმლიდან სულ ლინდას ბალანი მცვიოდა  
და პირიც სულ ლინდას ბალნით მქონდა სავსე  
და ყველაფერი იყო რიგზე.

მე ეს ჩვეულებრივი ამბავი მეგონა,  
მაგრამ უფროსები, თურმე,  
სხვანაირად ფიქრობდნენ.

და როცა სახლებიდან კვამლი ამოდიოდა,  
და როცა, შობის წინა საღამოს,  
მთელ სოფელში სიკვდილიანი თოვლის სუნი იდგა,  
მოვიდა კაცი,  
გამხდარი, უშნო და მაღალი,  
ოცმეტრიან უდრეკ ბედნიერებას  
ჩახსნა ჯაჭვი და წაიყვანა ლინდა.

მე მაკავებდნენ და კიდევ მაკავებდნენ,  
ვტიროდი და კიდევ ვტიროდი,  
ვბლაოდი და კიდევ ვბლაოდი.

ლინდამ მომხედა  
და მხოლოდ ერთხელ დამიყვანა  
თბილად და სევდიანად,  
ადამიანვით დამემშვიდობა ლინდა  
და მე მივხვდი,  
რომ ლინდამ მეგრული ყოველთვის იცოდა,  
უბრალოდ დროს ელოდა,  
რომ დამლაპარაკებოდა  
და ახლა დრო იყო,  
იმასაც მივხვდი,  
რომ ლინდა ამ დღესაც ყოველთვის ელოდა,  
ჭკვიანი იყო ლინდა,  
მე კი სულელი ბავშვი ვიყავი.

კარგა ხნის შემდეგ,  
როცა ძლივს გავიგე იმ კაცის მისამართი,  
მივედი და გავიხედე  
ცოცხალი ეკლის ლობეში,  
ინვა აშვებული ლინდა პატარა ლინდებს შორის  
და არც ისე ბედნიერი ჩანდა.

და მე გავბრაზდი და ვიეჭვიანე პატარა ლინდებზე,  
მე რა ვიცოდი, რომ "ლინდა" გოგოს სახელი იყო,  
რომ ლინდა გოგო იყო,  
რომ ლინდას შვილების გაჩენა შეეძლო  
და რომ გოგოებს შეუძლიათ ბიჭებზე უკეთესი ძმაკაცობა?!

მალევე მოკვდა ლინდა,  
დაუკითხავად და უმიზეზოდ,  
ადგა და მოკვდა,  
იცოდა,





ჩვენმა ძველმა ახალმა სახლმა  
ჩვეთან ერთად  
იმდენ ხანსაც კი ველარ გაძლო,  
თავისი სუნი რომ გასჩენოდა.  
ყველა სახლს აქვს თავისი სუნი,  
როგორც სული,  
და ორპირებით  
რამდენიც არ უნდა სცადონ მისი განდევნა,  
ის მაინც არ შორდება  
თავის სხეულს.  
და მე დავდივარ ხანდახან  
შენს ახალ ძველ სახლში  
და ვყნოსავ  
ძველ ახალ სახლამდელ სუნს,  
როცა ჯერ კიდევ ერთად ვიყავით.  
და გზაში ყოველთვის ვფიქრობ,  
რომ ჩემი ცხოვრების სიგრძე თუ ჩემი წლებია,  
მისი სიგანე მანძილია  
ჩემი ახალი ძველი სახლიდან  
შენს ახალ ძველ სახლამდე.



\* \* \*

შენ ამბობდი,  
რომ როცა ჩემს მკერდზე იძინებდი,  
მთელი ღამე ჯარისკაცები გესიზმრებოდა,  
რადგან ჩემი გულისცემა გაგონებდა  
მათ მწყობრ ფეხისხმას.  
სხვაში ვერაფრით შეაღწევინ  
ჩემი გულის ჯარისკაცები.  
მხოლოდ, როცა ჩვენს შვილს სძინავს  
ჩემს დაღლილ მკერდზე,  
მისი თვალების რიტმული ცახცახით ვხვდები,  
როგორ არხევს, ფარდასავით, ყრუ ფეხისხმა  
მის გამჭვირვალე,  
თხელ ქუთუთოებს.  
და როცა ცერს ნამოვკრავ საკუთარ,  
გაჩერებულ გულს,  
და სახით ჩავემხობი  
მარტოსაფლავში,  
ჩემი მკერდიდან ამოვლენ ჯარისკაცები,  
მწკრივად დადგებიან  
ხავსმოდებულ ქვეშ შორის,  
და მქუხარე ზალპით გამცნობენ  
ჩემს გარდაცვალებას.

## მაგრძნობინებელი

ქვა მომაქვს, რომ შენს დიდ ეზოში ხის ძირას დავფლა,  
მხოლოდ იმისთვის, რაც უნდა გითხრა,  
გავიზიარო ამ ტკივილის მეთასედი.  
თვალი ვერცერთი, ვერც – ხელი და სიტყვა არცერთი  
ამ დროს არაფრის მაქნისია, და ამათ ნაცვლად  
ქვამ თქვას თვალები, ხელები, სიტყვა.  
შენი ფრჩხილები, დახოკილი ლოყებით სავსე –  
შავი ღრუბელი ჭადრების თავზე.

მომაქვს ნახშირი, რომ დირეზე შიშველი ქუსლით  
დავფშვნა და ირგვლივ გაფანტოს ქარმა,  
რომ მე ვარ, და ვარ მონანილე ამ მწუხარების,  
და სადღაც შენთვის ჩამორეკეს გლოვის ზარები,  
როცა მტვერი ვარ და მტვრობითლა ვამბობ და ვუხსნი  
ტკივილს, რომელიც ცოტაც კი არ მაქვს.  
შენი ფრჩხილები, დახოკილი ლოყებით სავსე –  
თეთრი ყვავები მუხების თავზე.

ნაცარი მომაქვს, რომ ჭიშკართან ჭალარა თმები  
გადავიფიფქო, ცალ მუხლზე დავდგე,  
რომ თანაგიგრძნო მცირედით და არ უღერდეს ყალბად,  
რადგან, ასეთ დროს, ეს ყველაფერს სჯობია, ალბათ,  
რადგან, თქვენ, როცა სამუდამო სიკვდილში წვებით,  
მე სწორედ მაშინ მიჩნდება საქმე.  
შენი ფრჩხილები, დახოკილი ლოყებით სავსე –  
შავი გედები გორაკის თავზე.

მომაქვს ხანჯალი, რომ ნახევრად ამომშრალ ჭაში  
ჩავაგდო, რათა დაფაროს შლამმა,  
და რომ ეს არის სამძიმარი, რთულად სათქმელი.  
მე ვარ პირველად შენს თვალებში ცრემლის დამთვლელი,  
და რომ ხსოვნიდან, რომც ეცადო, ვერაფრით ნამშლი,  
დამიმახსოვრებ გულცივად ამაყს.  
შენი ფრჩხილები, დახოკილი სიკვდილით სავსე –  
თეთრი ყორნები ნეკერჩხლის თავზე.

მომაქვს ხანჯალი, რომ ნახევრად ამომშრალ ჭაში...  
ნაცარი მომაქვს, რომ ჭიშკართან ჭალარა თმები...  
მომაქვს ნახშირი, რომ დირეზე შიშველი ქუსლით...  
ქვა მომაქვს, რომ შენს დიდ ეზოში ხის ძირას დავფლა.





## ირმა ბერიძე

\* \* \*

ის ყოველთვის დიდი მოსდის ხოლმე ცხოვრებას  
განიერი კაბასავით,  
არ ერგება  
და უხერხულ ნაოჭებად  
დაჰყრია წელზე,  
ფშუტე ფრთებივით  
უფარფატებს სახელოები,  
კაბის ბოლოც  
არ უფრიალებს  
როგორც ქარში,  
როგორც სიზმარში.  
ამიტომ  
უნდა ჩაიკეროს,  
ჩაეინროვდეს  
გათვლების და გაცემების  
მიღების და დაბრუნების  
ბასრი გვირისტით,  
უნდა მოერგოს  
ცხადს სიზმარი  
ოცნება - დილას,  
სადაც ტუჩებში აღარ კოცნიან  
და მის სახელს არ ახსენებენ.  
უნდა მოერგოს  
სახლის კიბეს -  
შეშინებულ გამოპარებას,  
ჭუჭყიან ლიფტს,  
ერთმანეთის ჩამოხანვას  
გაყრისთანავე,  
ღამეებსაც უნდა მოერგოს -  
საკუთარი სინოტივის შეშრობას და  
თითების ჩუმ ხმას...  
რომ გადარჩეს სიყვარული  
რომ იცოცხლოს,  
მარტო იყოს,  
თავის თავთან,  
თავის თავში,  
თავის ცაზე!



## სიკვდილი ლიმონათის ქარხანაში

ბოთლებს ვრეცხავდით,  
ყინულიან წყალში ვავლებდით,  
ბოტები გვეცევა  
და ფეხები გვისველდებოდა,  
დედაჩემის ხნისები იყვნენ,  
მე - ცხრამეტის,  
იმ ბოთლების რახარუხში,  
წყლის თქრიალში  
ვპირდებოდი საკუთარ თავს  
აქ არ დაგტოვებ!  
არ დაგტოვებ!

შესვენებაზე  
მოვიხსნიდით სველ წინსაფრებს,  
სასადილოს გრძელ მაგიდას მივუსხდებოდით,  
ან ეხუმრათ,  
ან დაეჩვილათ,  
წვნიან კერძს რომ მარილი აკლდა,  
ან შვილებზე ელაპარაკათ,  
მოეყოლათ ბოთლისპირზე შეჭრილ თითებზე.  
აქ არ დარჩები!  
არ დარჩები!  
ვიმეორებდი.



სასადილოს მაგიდაზე მანვენდა ხოლმე  
ქარხნის უფროსი -  
მელოტი და ლიპიანი.  
მის ტკბილ ბოთლებს ჯაგრისებით ვწვდებოდი ფსკერზე -  
ის ჯაგრისივით ენას ჩემში ატრიალებდა...  
არ დაგტოვებ,  
აქ!  
ვჩურჩულებდი.

გაფიცვაში დაგვეხმარა პროფკავშირები,  
ჩვენ მოვითხოვდით:  
მენეჯმენტის ცვლილებას  
და უსაფრთხო შრომას,  
გაცდენილი დღეების სარგოს,  
დენი დევიტოს გადაყენებას...

მუხლებამდე წყალში დგომა მძიმე ბოტებით,  
ჩუმი ყოფნა,  
დამუნჯება,  
ყოფნა არა  
სიკვდილი იყო  
უფანჯრებო,  
ტკბილსუნთან  
ლიმონათის  
ქარხანაში.

\* \* \*

იყავნ ნება შენი  
ვთქვი და ენაზე შენი სუნი ამივიდა,  
იყავნ ნება შენი  
თითები ტუჩებზე გადავიტარე,  
იყავნ ნება შენი  
ვთქვი და უეცრად გაყვავილებული ძუძუები შარფში დავმალე,  
იყავნ ნება შენი  
ვთქვი და მუხლებს, რომლებიც ხელისგულებში გიფეთქავდნენ  
ძარღვები ჩაეშალათ.  
იყავნ ნება შენი  
იყავნ ნება შენი  
იყავნ ნება შენი  
ღმერთო!  
მიეცი ეს კაცი სხვა ქალს  
ჩემზე ლამაზს  
ან ულამაზოს,  
ჩემზე სუსტს  
ან ჭკვიანს  
სულერთია  
რანაირი მუცელი აქვს,  
რამდენჯერ ნამშობიარევი საშო,  
როგორი ფეხები...  
მიეცი ეს კაცი  
ვისაც ჩემზე მეტად სჭირდება,  
თუკი ჩემზე მეტად სჭირდება  
სახის ხელისგულებში მოქცევა  
მუხლების ხელისგულებში ჩატევა,  
თუ ვინმე დაბადებიდან  
ჩემსავით მორჩილად  
ელოდა თავის ჯერს,  
არაფერი უთხოვია,  
არაფერი მიუტაცია,  
თავისთვის იდგა და ელოდა  
ზურგზე მიკვრას,  
მიხუტებას,  
შემოსვლას - ერთ სხეულად გადაქცევას,  
ერთ სულად შრიალს.






ტიმ პეიჯი

# საჩუქარი, რომელიც ჯონ კეიჯმა მოგვიძღვნა\*

ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ



ზოგჯერ ნაწარმოებებს უშუალო კავშირი არა აქვთ იმ უდიდეს ზეგავლენასთან, რომელსაც მათი ავტორი ახდენს ხელოვნებაზე. ამგვარ შემოქმედთა რიცხვს მიეკუთვნებოდნენ მარსელ დიუმანი, ენდი უორჰოლი და, რა თქმა უნდა, ჯონ კეიჯი (1912-1992). კეიჯთან ერთად მუსიკაში შემოიჭრა სრულიად ახალი მძლავრი ნაკადი, რომელმაც გააუფასურა მუსიკის დარგში არსებული ტრადიციული წარმოდგენები და დეფინიციები; კეიჯის კომპოზიციათა უმრავლესობა ამჟამად ნაკლებ ინტერესს იწვევს, ვიდრე მისი იდეები, მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ, ზოგადად, ამ გიგანტმა ძირფესვიანად შეცვალა მუსიკალური ხელოვნების ლანდშაფტი.

ალბათ, კანონზომიერია, რომ ლოს-ანჯელესელი გამომგონებლის ვაჟმა საზოგადოების ყურადღება მიიპყრო თავისი ხელნაკეთი ინსტრუმენტით. ეს იყო “პრეპარირებული ფორტეპიანო”, ანუ ჩვეულებრივი პიანინო, რომლის სიმებს შორის ჩატენი-

ლი იყო ქალაღი, ჭანჭიკები და სხვა ნივთები. ამგვარი ტრანსფორმირებული პიანინო დადაისტურ ოინს ნააგავს (“აბა, ჩემო კარგებო, ვნახოთ, რისი ჩატენა შეიძლება ამ პიანინოში!”), მაგრამ, შედეგად, საკრავის ჟღერადობა ისეთი სპეციფიკური, ეგზოტიკური, კეთილხმოვანი და მკვეთრი გახდა, თითქოს ამ ყუთიდან ორკესტრის ხმები გაისმოდა.

1943 წელს თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში გამართულმა კონცერტმა კეიჯს სკანდალური შემოქმედის სახელი დაუმკვიდრა. “კეიჯმა გამოიყენა ორმოცამდე სახეობის საკრავები: პიანინოს სიმები, ძროხების ზანზალაკები, ყვავილების ქოთნები და, წარმოიდგინეთ, ბგერათა სიხშირის გენერატორიც კი, - წერდა ნოელ შტრაუსი New York Times-ში. - ამ “საკრავთა” სხვადასხვაგვარი კომბინაციების მეშვეობით გამოცემული ხმები გარდუვალად იწვევდა ასოციაციას ხმაურთან, რომლითაც თავს იქცევენ ხოლმე ბავშვები, როდესაც გასართობად ჯოხებს ურტყამენ თუნუქის ქვაბებს და სამზარეულოს სხვა ჭურჭელს”.

მსმენლების უმრავლესობა კონცერტზე, რა თქმა უნდა, ცნობისმოყვარეობის გამო მივიდა. ამის შემ-

\* რეცენზია ნიგნზე: The Selected Letters of John Cage, edited by Laura Kuhn, Wesleyan University Press, 651 pp.



დეგ დაიწყო კამათი კეიჯის შემოქმედებასა და მხატვრულ მანერასთან დაკავშირებით, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში გაგრძელდა. კეიჯის ადრეული ქმნილებები (უმეტესად, დასარტყამი საკრავებისა და პრეპარირებული პიანინოსთვის განკუთვნილი ნაწარმოებები, აგრეთვე - სიმებიანი კვარტეტი, რომელიც შუა საუკუნეების მუსიკას წააგავს) თითქოს უჩვეულო და საინტერესო იყო, მაგრამ ესაა კეიჯის ერთადერთი ნაწარმოებები, რომლებსაც ჯერ კიდევ უკრავენ საკონცერტო დარბაზებში. 1950-იანი წლებიდან მოყოლებული, ახალი მუსიკალური კონცეფციებით გატაცებულმა კომპოზიტორმა უგულვებელყო ტრადიციული საკომპოზიციო მეთოდები, რომელთა მეშვეობითაც ხდება მუსიკალური მატერიის რიტმული და ბგერითი ორგანიზება.

ამგვარად, კეიჯი თავის შემოქმედებაში ახალ გზას დაადგა და მთელი სიცოცხლის განმავლობაში ნოვაციებისკენ მიისწრაფოდა. “ნარმოსახული პეიზაჟი 4” (1951) დაწერილია თორმეტი რადიომიმლებისა და ორი შემსრულებლისთვის, რომელთაგან ერთი მანიპულირებს სიხშირის რეგულატორებით, მეორე კი - ხმის სიმაღლის რეგულატორებით. ნოტაცია ზუსტია, მაგრამ სხვადასხვა შესრულებისას იცვლება და დამოკიდებულია იმაზე, თუ რა გაისმის თერში ამა თუ იმ დროს.

*Atlas Eclipticalis* (1961) მოიცავს ოთხმოცდაექვს ინსტრუმენტულ პარტიას, რომლებიც შეიქმნა სანოტო ქალაქში ასტრონომიული რუკების აღბეჭდვის გზით. ის შეიძლება შესრულდეს ნებისმიერი კამერული ანსამბლის ან ორკესტრის მიერ. *HPSCHD* (1969) ლეჯერენ ჰილერთან ერთად დაიწერა. მისი ზოგიერთი ნაწილი (რომლებშიც აქა-იქ ჩართულია მოცარტის მელოდები) განკუთვნილია შვიდი გაძლიერებული კლავესინისთვის, რასაც ერთვის კომპიუტერული მუსიკის ორმოცდათორმეტი ჩანაწერი.

ამ კომპოზიციების მოსმენას არ გირჩევთ. სხვა მოდერნისტების, მაგალითად ელიოტ კარტერის ან პიერ ბულეზის მუსიკა ძალზე დახვეწილია, რასაც ვერ ვიტყვით კეიჯის ვრცელი ნაწარმოებების შესახებ. ისინი სულაც არ წააგავს კონცეპტუალური მუსიკის ისეთ შედეგებს, როგორებიცაა პიერ ჰენრის “ვარიაციები კარისა და ოხვრისათვის” (1963) ან ელვინ ლუსიერის “ოთახში ვზივარ” (1969).

მიუხედავად ამისა, თვით ის კომპოზიტორებიც, რომლებსაც არ მოსწონდათ კეიჯის მუსიკა, მის ზეგავლენას განიცდიდნენ. მაგალითად, სტივ რაიხი აღიარებდა, რომ მოუთმენლად ელოდა კეიჯის გვიანდელ კომპოზიციებს და რომ არასოდეს შექმნიდა მაგნიტური ლენტის შენებებულ ნაგლეჯებზე ჩანერილ ციკლური ფორმის ელექტრონულ ნაწარმოებებს (მაგალითად, “წვიმას აპირებს” (1965) და “აქედან გადი” (1966), რომ არა კეიჯის მუსიკა მაგნიტოფონისთვის, მაგალითად, *Williams Mix* (1952). კეიჯის ზეგავლენა იგრძნობა პოპ მუსიკაშიც (ბიტლების “თეთრი ალბომის” “რეკოლუცია” თითქოს კეიჯის დაწერილია), ზოგადად კი, მისი ნაწარმოებები, კონცეპტუალური თვალსაზრისით, შეიძლება ციფრული ტექნოლოგიების წინარე საფეხურად მივიჩნიოთ.

“ჯონ კეიჯის რჩეული წერილები” - კომპოზიტორის ვრცელი კორესპონდენცია, რომელიც ლორა კიუნის რედაქციით გამოიცა, საინტერესო ინფორმაციას გვანდის კეიჯის ბიოგრაფიის შესახებ და გვათვითცნობიერებს მის მხატვრულ პრინციპებში. წერილებში კეიჯი ბრძენი გურუს სახით კი არ წარმოგვიდგება, არამედ როგორც ცნობისმოყვარე და ენამახვილი პიროვნება. ამას ცხადყოფს ყმანვილი კეიჯის მიერ უცხოეთიდან შინ გაგზავნილი პირველივე წერილი (“ნეაპოლი ერთიანად ბინძურია, მაგრამ - ხალისიანი. აქაურები შრომობენ და თან მღერიან. დეკემბერში მათ ქუჩაში, მზეზე სძინავთ”).

ეს მკაცრი და პირუთენელი კრიტიკოსი ორიგინალურად აფასებდა სხვადასხვა ტიპისა და ეპოქის მუსიკას. კეიჯი წერდა:

“მას შემდეგ, რაც ჩაიკოვსკის მეექვსე სიმფონია ერთხელ მოვისმინე, მისი კიდევ ერთხელ მოსმენის სურვილი აღარ მაქვს (ისევე, როგორც, ჩემი აზრით, ყველა იმ ადამიანს, ვინც ჩემთან ერთად საკონცერტო დარბაზში იმყოფებოდა) - სიმფონიის ნაწილები უამრავჯერ მეორდება, ამიტომ მისი ერთხელ მოსმენა იგივეა, რაც მრავალჯერადი აღქმა”.

ადრეული შთაბეჭდილება სტრავინსკის “ხუთი თითის შესახებ” (ესაა მარტივი პიესა ფორტეპიანოსთვის, რომელიც კეიჯის ზოგიერთი საფორტეპიანო ნაწარმოების წინამორბედად შეიძლება ჩაითვალოს):

“ამ ნაწარმოებში ასახული არაა არავითარი “იდები”. ესაა თითქმის წარმართული საგნობრივი მუსიკა. მასში სიცოცხლის სიყვარული ხმიანობს და არა მაგიური მისტიფიკაციების ზუზუნი. იმდენად მკაფიო რიტმი აქვს, რომ ცეკვა მოგინდებათ და “გახეხებული სტრუქტურა” სულაც არა აქვს”.


ადრეული შეფასება ერიკ სატის მუსიკისა, რომელიც კეიჯს ყოველთვის ალაფროვანებდა:

“სოკრატე” წარმოუდგენლად მშვენიერია. მიუხედავად იმისა, რომ არც მუსიკა და არც ტექსტი ექსპრესიულობით არ გამოირჩევიან, ნაწარმოები არაჩვეულებრივად ექსპრესიულია. მელოდია მოლივლივე ჰაერს წააგავს. აკომპანემენტი სხვა არაფერია, თუ არა მარტივი ელემენტების უწყვეტი ნაკადი, მაგრამ მათი კომბინაცია ძალზე ნატიფია!”

ასეთივე ენთუზიაზმით წერდა ის ახალგაზრდა ბულეზის შესახებ: “განსაცვიფრებელი მუსიკაა! ტყვიამფრქვევის ჯერივით მოგცელავს. ბულეზის ყოველი თხზულება ნამდვილი აღმოჩენაა”.

კეიჯი, რომელიც მოგვიანებით ესოდენ შეურიგებული იყო ეგოიზმის ყოველგვარი გამოვლინებების მიმართ, წიგნში წარმოგვიდგება, როგორც პატივმოყვარე ჭაბუკი, რომელიც აპირებს შესთავაზოს თავისი მუსიკა ჩარლი ჩაპლინს, ჰენრი ფორდსა და ლეოპოლდ სტოკოვსკის. ის ფულადი დახმარების თხოვნით მიმართავს სხვადასხვაგვარ ფონდებს და კავშირს ამყარებს სხვა ახალგაზრდა კომპოზიტორებთან და მხატვრებთან. 1950 წელს კეიჯი უახლოვდება კომპოზიტორ მორტონ ფელდმანს (მათი მეგობრობა დაიწყო კარნეგი-პოლში იმ საღამოს, როდესაც უნდა შესრულებულიყო ანტონ





მერს კანინგემი და ჯონ კეიჯი

ვებერნის სიმფონია op. 21 და სერგეი რახმანინოვის “სიმფონიური ცეკვები”. ვებერნის სიმფონიის მოსმენისთანავე კეიჯმაც და ფელდმანმა სასწრაფოდ დატოვეს საკონცერტო დარბაზი - არ სურდათ, რომ ვებერნის სიმფონიისგან მიღებული შთაბეჭდილებები რაიმეს დაეჩრდილა).

კეიჯი გულუბრყვილოდ ტრაბახობს იმით, რომ “ნიუ იორკერმა” გამოაქვეყნა სტატია მის შესახებ. “გავიცანი ანჯეი პანუფნიკი, რომელიც ძალზე თავაზიანად შემხვდა” - წერს ის პარიზიდან. - “გავანდე ჩემი თვალსაზრისი მისი ნაწარმოებების შესახებ (მითხრა, ღამით თვალი არ მომიხუჭავსო) და ჩემი მუსიკის შეფასებაც მოვისმინე”. ვირჯილ ტომსონმა სარეკომენდაციო წერილით მიმართა გუგენჰაიმის ფონდს და კეიჯს უწოდა “ყველაზე ორიგინალური კომპოზიტორი ამერიკაში, შესაძლოა - მთელ მსოფლიოშიც”.

1938 წელს სიეტლში მან გაიცნო ახალგაზრდა მოცეკვავე მერს კანინგემი - და აღფრთოვანდა: “მაყურებლები ძალზე ემოციურად რეაგირებდნენ, როდესაც თქვენ სცენიდან გადიოდით”, - წერდა ის კანინგემს მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი მარტა გრეჟემის საბალეტო დასის სოლისტი გახდა. - “და გამოგნა იმან, რომ თქვენი სახელი რეცენზიების სათაურებში არ იყო მოხსენიებული. რას იზამ! ნიჟინსკისაც კი ასე ექცევიან!”

კანინგემი კეიჯზე შვიდი წლით უმცროსი იყო და ინტელექტით კომპოზიტორს ვერ გაუტოლდებოდა. “გთხოვთ, ნუ დაგაფრთხობთ დისკუსიები ხელოვნების შესახებ”, - უთხრა მას კეიჯმა 1943 წელს. - “ყურადღებას ნუ მიაქცევთ ამ საუბრებს და იცო-

დეთ, რომ ბედნიერი უნდა იყოს ის, ვისაც ბედმა თქვენთან დაახლოების საშუალება მისცა”. 1940-იანი წლებიდან ისინი ერთად მუშაობდნენ და ერთად ცხოვრობდნენ მანჰეტენზე, სანამ კეიჯი გარდაიცვლებოდა.

“რჩეული წერილების” მეშვეობით ვეცნობით კეიჯის შეხედულებებს მისი მუსიკალური სტილის შესახებ. 1963 წელს, მას შემდეგ, რაც ლეონარდ ბერნსტაინი დათანხმდა ედირიჟორა კეიჯის, ფელდმანისა და ერლ ბრაუნის ნაწარმოებებისთვის ნიუ-იორკის ფილარმონიაში, კეიჯმა მას სამადლობელი წერილი გაუგზავნა: “ჩვენ ალტაცებულნი ვართ თქვენი გაბედული საქციელით ახლა, როდესაც ჯერ კიდევ ვგრძნობთ ბევრი ადამიანის მტრულ დამოკიდებულებას”, და, რაც ნიშანდობლივია, დასძენს: “გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ჩვენი ნაწარმოებების შესრულებისას იმპროვიზება დაუშვებელია. იმპროვიზაცია ფართო გასაქანს აძლევს გემოვნებასა და მეხსიერებას, ჩვენ კი სწორედ ამას არ მივსაღებთ”.

რა მიზანს ისახავდა კეიჯი თავის მუსიკაში? 1956 წლის 22 მარტს ის დეტალურად, თუმცა კი რამდენადმე გაღიზიანებული კილოთი უხსნიდა მუსიკათმცოდნე პოლ ჰენრი ლენგს - “ნიუ იორკ ჰერალდ ტრიბუნის” მთავარ კრიტიკოსს: “არასოდეს მსურდა საზოგადოების გაოგნება, თუმცა, ზოგჯერ (იშვიათად და სინდისის ქენჯნით) იძულებული ვიყავი ასე მოვქცეულიყავი, თუნდაც ამ დროს “ხელოვნების საზღვრები” დამერღვია.

ანთროპოცენტრული (თვითგამოხატვაზე ორიენტირებული) “ხელოვნება” და “მუსიკა” ტრივია-



ლურია და, ალბათ, არასაკმარისად აქტუალური. ჩვენს სამყაროში მყოფობენ საგნებიც და ადამიანებიც. ხეები, ქვები, წყალი - ყველაფერი ექსპრესიულია. ჩემი აზრით, ერთმანეთში გადაედინება ენერგიები, რომლებიც ყველა მიმართულებით და განუწყვეტლივ მოძრაობენ. ეს შეხედულება შეესაბამება თანამედროვე ცოდნას ბუნების შესახებ. ამიტომაც ვცდილობ, გადმოვცე ბგერების ინდივიდუალური ჟღერადობა დროში.

ზოგიერთი (და, მათ შორის, ალბათ, თქვენც) ფიქრობს, რომ ჩემი მცდელობები უაზროა. უაზრო საქმიანობის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. დეზიუსის მსგავსად, გაზაფხულის დღეს ვამჯობინებ კონცერტს კი არ დავესწრო, არამედ სოფლის მინდვრებსა და ტყეებში ვისეირნო. მიუხედავად ამისა, დროდადრო ქალაქს უნდა ვენვიო ხოლმე და გავიარო ტაიმს-სკვერი, რომელიც ყოველთვის მძაგდა. მაგრამ ზოგიერთი ამერიკელი მხატვრის, კერძოდ, ბობ რაუშენბერგის წყალობით, ახლა უკვე შემოძლია ტაიმს-სკვერზე გავლა ისე, რომ ზიზღი არ ვიგრძნო.

ასევე, რადიომუსიკის დაწერამ საშუალება მომცა შევეგუებოდი არა მარტო ბგერებს, რომლებიც რადიომიმღებებიდან გაისმის, არამედ - შევრიგებოდი ტელევიზიისა და მიუზიკის ხმებსაც კი. უნინ ისინი გამუდმებით მალიზიანებდნენ, ახლა შევიცვალე ჩემი დამოკიდებულება მათ მიმართ. უკვე ვხვდები, რომ შემოძლია მათი მოსმენა და აღქმა. ამას ჩემი ნაწარმოებებიც ადასტურებს; ამ ხმებს ცხოვრების ერთ-ერთ გამოვლინებად მივიჩნევ.

რადიომიმღებებს, ტელევიზორებს და ა.შ. არსებობის უფლება აქვთ, დროებით მაინც, - ასე მთავრდება წერილი. - და ისინი ზემოქმედებენ ჩვენზე. ჩემი აზრით, არჩევანი აშკარაა და მოქმედებისკენ მოგვიწოდებს”.

წიგნი შესანიშნავადაა რედაქტირებული. ხელოვნებათმცოდნე, ბარდის კოლეჯის პროფესორი ლორა კიუნი მჭიდროდ თანამშრომლობდა კეიჯთან ამ უკანასკნელის სიცოცხლის ბოლო წლებში და ახლა მისი სახელობის ფონდის დირექტორი და ერთ-ერთი დამფუძნებელია. “რჩეული წერილები” საშუალებას გვაძლევს, ბევრი რამ შევიტყოთ კეიჯის ცხოვრების შესახებ; თუკი წიგნი არ გვანვდის ინფორმაციას იმის თაობაზე, გამოეხმაურა თუ არა მეცენატი ელიზაბეტ სპრეგ კულიჯი კეიჯის თხოვნას ფულადი დახმარების შესახებ, დენიელ ვულფის (რომელმაც *Village Voice* დააარსა) საინტერესო ბიოგრაფიულ ფაქტებს ხომ ვეცნობით? და იმასაც, თუ ვინ იყო “ბრიყვი კრიტიკოსი”, რომლის რეცენზიამ კეიჯის გულისწყრომა გამოიწვია? განა არჩევანი გვაქვს?

ნეტარი ღიმილის მიუხედავად, რომელიც კეიჯს გამუდმებით ეფინა სახეზე, მას საოცრად ალაშფოთებდა ავტორიტარიზმი. “ჯერ კიდევ არაფერი გვცოდნია ადამიანის ბუნების შესახებ, - წერდა ის 1973 წელს. - დააკვირდით, რა ხდება ჩინეთში მათ ძე-დუნის მოძღვრების წყალობით”. ის იცავდა ისეთ “სამართალდამრღვევებს”, როგორებიც იყვნენ, მაგალითად, კომპოზიტორები ელვინ ლუსიერი და მაიკლ ნაიმანი, ასევე - კრიტიკოსი პოლ გრიფიტსი.

როდესაც ერთ-ერთმა კორესპონდენტმა დანერა, რომ კეიჯის შემოქმედება ბრუკნერისას ჰგავდა, კეიჯმა გამანადგურებელი პასუხი გასცა:

“თუკი - გაუგებარი მიზეზების გამო - ჩემი მუსიკით დატკობა გასურთ, მაშინ სმენა უნდა გავარჯიშოთ: ყოველდღე, დღეში ორჯერ, ორი საათის განმავლობაში უსმინეთ (ისე, რომ ყურადღება არაფერზე გაფანტოთ) ბრუკნერის მუსიკას, სამჯერ - ყოველ მეშვიდე დღეს და ა.შ., სანამ აღმოაჩენთ, რომ ის სრულყოფილი კი არა, ძალზე მოსაწყენია”.

(მოსაწყენია? *Atlas Eclipticalis*-თან შედარებით? ეჭვი მეპარება.)

მაგრამ ჯასპერ ჯონსს კეიჯმა მისწერა: “ვიმედოვნებ, თქვენი შემოქმედებითი მუშაობა კმაყოფილებას განიჭებთ”.

მას ყოველთვის აინტერესებდა მომავლის მუსიკა და სიცოცხლის ბოლო დღეებამდე ესწრებოდა მანჰეტენის ცენტრში, სხვენებზე გამართულ კონცერტებს. სამოცდაჩვიდმეტი წლის ასაკში კეიჯმა თავის მეგობარს უთხრა, ახალა დავინყე ისეთი მუსიკის წერა, როგორზეც ვოცნებობდიო.

ერთხელ კეიჯმა მიაბმო, როგორ ასწავლიდა მას არნოლდ შონბერგი კონტრაპუნქტს ლოს ანჯელესში: ერთი ტექნიკური საკითხის თაობაზე კეიჯმა შედაგოგს მრავალი პასუხი შესთავაზა, მაგრამ შონბერგი მაინც უკმაყოფილო იყო. “ბოლოს ყოყმანით ვუთხარი, რომ სხვა პასუხი არ არსებობდა... შონბერგი დამეთანხმა და მკითხა, რა საერთო პრინციპი ედო საფუძვლად ჩემს ყველა პასუხს. ვერაფერი მოვიფიქრე, ეს მოხდა 1935 წელს. თხუთმეტ წელზე მეტი ხანი გავიდა, სანამ ამ კითხვაზე პასუხის გაცემას შევძლებდი. ახლა ვეტყოდი, რომ ყველა პასუხის საფუძველია კითხვა, რომელსაც ჩვენ ვსვამთ ხოლმე”.

ჯონ კეიჯის მუსიკას იშვიათად ვუსმენ, მაგრამ მისი წყალობით ეს მუსიკა გამუდმებით მესმის. სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტის ასპირანტურაში კომპოზიციას ვასწავლი. ერთხელ, სემესტრის ბოლოს, ჩემს სტუდენტებს ვთხოვე, გასულიყვნენ ეზოში, სადაც მზე ანათებდა, აღმოეჩინათ ნებისმიერი მუსიკა (თუ ისინი ამას მუსიკას უწოდებენ, სხვა რა გზა მაქვს, მეც ასე უნდა ვუწოდო) სამყაროს ხმებში, დაენერათ ორიოდ აბზაცი მოსმენილის შესახებ, შემდეგ აუდიტორიაში დაბრუნებულიყვნენ და ხმამაღლა წაეკითხათ ის, რაც დაწერეს. იქ მრავალი “შემსრულებელი” შეიძლებოდა ყოფილიყო, დაწყებული ხის ქვეშ მჯდარი გიტარისტით, და დამთავრებული ზარების რეკით, შადრევნების ჩქრიალით, ჩიტების ჭიკჭიკით და ხმაურით ავტომანქანებისა, რომლებიც ჰუვერ-სტრიტიდან ჯეფერსონის ბულვარისკენ უხვევდნენ. აუდიტორიაში დაბრუნებულ ალგზნებულ ახალგაზრდებს ერთი სული ჰქონდათ, ელაპარაკათ, ეკამათათ, დაეცვათ თავიანთი შეხედულებები და გარკვეულიყვნენ სამყაროს არსში. სწორედ ჩემს თხოვნაში მდგომარეობს კეიჯის მიერ ჩვენთვის მოძღვნილი ფასდაუდებელი საჩუქარი.



# ნა პაიქლაბა ყოფილიყო თქვანი ჩაქლაბა

ტელ: 577 747-719  
ელ-ფოსტა: [info@arilimag.ge](mailto:info@arilimag.ge)

